ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 მაისი **ხუთშაბათი** 2012 №103 (13709) ფასი 80 თეთრი

# სანიკ–სენსაცია

## AIR-GEORGIA-მ მონტეპასკი ჩამოხსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა




იტალიის ჩემპიონატში სენსაცია დაფიქსირდა: სიენას „მონტეპასკიმ" შინ ბოლონიის „ვირტუსთან" წააგო. სტუმართა გამარჯვების შემოქმედი ქართველი ფორვარდი ვიქტორ სანიკიძე იყო, რომელმაც 34 წუთში 16 ქულა, 15 მოხსნა, 3 დაფარება, 1 პასი მიითვალა და მატჩის საუკეთესო კალათბურთელი გახდა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 34-ს გაუტოლდა.

გაზეთ „ილ რესტო დი კარლინოში" ვკითხულობთ: „ბოლონიელთა სენსაციურ გამარჯვებაში (78:69) სანიკიძემ ლომის წვლილი შეიტანა"...

მოიგო მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუმაც", რომელსაც „მონტეგრანარო" ემსხვერპლა - 81:63. მანუმ 19 წუთში 8 ქულა, 2 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა.

ნიკა მეტრეველის „სასარიმაც" 81 ქულა ჩააგდო, „ვენეციას" კი 74 ქულა დაანება და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ქართველ თავდამსხმელს მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.




↳8

# დინამოიგო!



**ზესტაფონმა ჩაყვინთა ხუთიანი პლუსით მეტალურგს**

საქართველოს ჩემპიონატი ↳2-3

# ოქრო რეალისაა



## პლეი ოფი

| 02.05. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 2 500 მაყურებელი | |
|---|---|
| ზესტაფონი | 0 |
| დინამო | 1 |

0:1 კოშკაძე (90)

| ზესტაფონი 4-4-2 | დინამო 4-3-3 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | ლორია |
| ლონლაძე | ოდიკაძე |
| კობახიძე | თომაშვილი |
| სავჩაია | ხიზანეიშვილი |
| ელიავა | რეხვიაშვილი |
| აფციაური | ძარია |
| მენთეშაშვილი | კვეკვესკირი |
| გორგიაშვილი | ხმალაძე |
| შარიქაძე | ჩისკო |
| ოვონიკოკო | ალვარო |
| დვალი | რობერტინიო |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ჭიაბრიშვილი | რ. მუმლაძე |

**ზესტაფონი**

56. შარიქაძე – **შ. გრიგალაშვილი**
65. კობახიძე – **ხიდეშელი**
73. ოვონიკოკო – **დ. მუჯირი**

*სათადარიგოები:* მამალაძე, ბაბუნაშვილი, გუგუჩია, რაყამაშვილი

**დინამო**

62. კვეკვესკირი – **მერებაშვილი**
75. ძარია – **პაპავა**
76. ჩისკო – კოშკაძე

*სათადარიგოები:* სეფიაშვილი, ტვილდიანი, პარუნაშვილი, კოტო

გაფრთხილება: მერებაშვილი (83), ხმალაძე (84)

არბიტრი: ჯ. ხორავა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კოშკაძემ (შუაში) დინამოს ბოლო წამზე გაამარჯვებინა

ფოტო: www.fcdinamo.ge

# ზესტაფონი ბოლო წამებით გაწამდა

არბიტრმა მატჩის ძირითად დროს სამი წუთი დაამატა. მესამე წუთი იწურებოდა, როცა ახლად გამოჯანმრთელებულმა და შეცვლაზე შესულმა **გიორგი მერებაშვილმა** შეტევის მარცხენა ფლანგიდან დაარტყა. "ზესტაფონის" მეკარე **როინ კვასხვაძემ** ბურთი მოიგერია, "დინამოს" უმეთვალყურეოდ მიტოვებულ კაპიტანს, ასევე ცვლილებაზე გამოსულ **ალექსანდრე კოშკაძეს** კი ხელი ვერავინ შეუშალა და დედაქალაქელებმა უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვეს.

ფეროელებმა კი არანაკლებ მძიმე დანაკარგი განიცადეს და ლიდერ "მეტალურგს" უკვე მთელი ხუთი ქულით ჩამორჩებიან. მატჩი უგოლოდ რომ დასრულებულიყო, ვერავინ იტყოდა, რომ ეს შედეგი ალოგიკური იქნებოდა, მაგრამ "დინამოს" დაუმსახურებლად სულაც არ მოუგია. გუშინ არც მასპინძლებს და არც სტუმრებს განსაკუთრებით მაღალ დონეზე ნამდვილად არ უთამაშიათ, მაგრამ **რამაზ მუმლაძის** გუნდმა შეხვედრის დასკვნითი ნაწილი საკმაოდ ნორმალურად ჩაატარა, ამას რიცხობრივი უპირატესობაც დაემატა და "დინამომ" ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა.

"ზესტაფონის" შემადგენლობაში უჩვეულო არაფერი ყოფილა, "დინამოს" ცენტრფორვარდად კი მორიგი ახალი ფეხბურთელი ვიხილეთ – ამჯერად ეს ფუნქციები **მიკელ ალვაროს** დაეკისრა, რომლებსაც ფლანგებიდან თანამემამულე **ჩისკო** და **რობერტინიო** ეხმარებოდნენ.

პირველი ტაიმი ძალიან დუნე გამოდგა და ისეთი თამაში წარიმართა, უგოლო ფრეს რომ მოასწავებდა. შესვენებამდე რამდენიმე ნახევრადმომენტი კი შეიქმნა, მაგრამ მათი უმეტესობის დეტალურად გახსენება ნამდვილად არ ღირს. სამაგიეროდ, პირველი ნახევრისთვის დამატებულ დროში "ზესტაფონმა" დაწინაურების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. **ჯაბა დვალმა** მოჭრილი დარტყმა ოსტატურად შეასრულა, მაგრამ **გიორგი ლორიამ** ამ ეპიზოდში არანაკლები კლასი გამოავლინა და ბურთი მოიგერია.

"დინამომ" არანაკლებ სახიფათო მომენტით მეორე ტაიმის დებიუტშივე უპასუხა – კუთხურიდან მოწოდებული ბურთი **გიორგი რეხვიაშვილმა** იმერელთა კარში ერთი შეხებით, მიწიდან ასხლეტით გაგზავნა. "ზესტაფონი" კვასხვაძის რეაქციამ იხსნა, რომელმაც საკუთარი კარი ხარიხის "დახმარებით" იხსნა.

54-ე წუთზე კვასხვაძესთან პირისპირ ჩისკო გავიდა, მაგრამ ფეროელთა კიპერმა კარი დროულად დატოვა, ესპანელმაც უხეიროდ დაარტყა და ხიფათი განიმუხტა. თამაში ნელ-ნელა გამოცოცხლდა, ტემპიც შედარებით გაიზარდა და უკვე იგრძნობოდა, რომ ორივე გუნდს გამარჯვება სჭირდებოდა.

"ზესტაფონს" ცენტრალური მცველი **მამუკა კობახიძე** დაუშავდა და მის მაგივრად მოედანზე ახლად გამოჯანმრთელებული **გიორგი ხიდეშელი** შევიდა. სამწუხაროდ, რამდენიმე წუთში ისიც დაშავდა, თანაც, ერთი შეხედვით, კობახიძეზე მძიმედ. ძალიან საწყენი იქნება, თუ მძიმე ტრავმის მოშუშებიდან მცირე ხნის შემდეგ ამ ნიჭიერ მცველს კვლავ დიდი პერიოდი გაუცდება.

დარჩენილი წუთები სტუმრებმა რიცხობრივ უმრავლესობაში ჩაატარეს და კიდევ უფრო გააქტიურდნენ. უტევდა "ზესტაფონიც", მაგრამ წინა ხაზზე უფრო ეფექტური უკვე "დინამო" იყო. 87-ე წუთზე კვასხვაძესთან პირისპირ რობერტინიო გავიდა, მაგრამ სუსტად დარტყმული ბურთი მეკარეს ვერ ააცილა, გამარჯვების გოლი კი მიმოხილვის დასაწყისში აღვწერეთ...

"დინამო" კვლავ მეოთხეა, მაგრამ საკუთარ ქომაგებს უკვე უჩენს უკეთესი მომავლის იმედს, "ზესტაფონი" კი, რომელმაც ბოლო წამებზე მიღებული გოლით ზედიზედ მეორე მატჩი წააგო, გუშინ ოდნავადაც არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც გასულ შემოდგომაზე "დინამო" 5:1 გაანადგურა. საქართველოს მოქმედ ჩემპიონებს ჩემპიონატის დებულებისადმი არცთუ უსაფუძვლო პრეტენზიები აქვთ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ "ზესტაფონი" ძველ დონეზე ველარ თამაშობს. 6 მაისს **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი რუსთავში "მეტალურგს" ესტუმრება და ჩემპიონობის შანსის შესანარჩუნებლად მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება სჭირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| 02.05. ქუთაისი. ტორპედო. 2000 მაყურებელი | |
|---|---|
| ტორპედო | 3 |
| კოლხეთი | 1 |

0:1 პავლიაშვილი (18.ციცხვაიას პასით), 1:1 კვახაძე (32.გოცირიძის პასით), 2:1 საბანაძე (38. გოცირიძის პასით), 3:1 საბანაძე (42. დოლიძის პასით)

| ტორპედო 4-4-1-1 | კოლხეთი 4-5-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | ნადირაშვილი |
| რიგვავა | დ.ფოფხაძე |
| კვახაძე | ცხვიტარია |
| გამეზარდაშვილი | ლომაშვილი |
| გ. გურული | გაბუნია |
| დოლიძე | ტულუში |
| დილმელაშვილი | ცხადაია |
| გ. დათუნაიშვილი | გოგონაია |
| თარხნიშვილი | ძიგაძე |
| კუხიანიძე | პავლიაშვილი |
| საბანაძე | ციცხვაია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. გეგუჩაძე | დ. მახარაძე |

**ტორპედო**

27. თარხნიშვილი - **გოცირიძე**
55. დოლიძე - **იოსელიანი**
74. დათუნაიშვილი - **ფირცხალავა**

*სათადარიგოები:* ქვილითაია, ფარულავა, შერეგელაშვილი, ფანცულაია

**კოლხეთი**

46. ნადირაშვილი - **ხარშილაძე**
64. ცხადაია - **ბოიომო**
74. გოგონაია - **გ. კილასონია**

*სათადარიგოები:* წაბრია, ქორჩილავა, გულუა, ხატიაშვილი

გაფრთხილება: ციცხვაია (32)

არბიტრი: ლ.კვარაცხელია

# იუბილარის დუბლი და დროული ცვლილება

„ტორპედო" მესამე ადგილისთვის და ევროპის თასის საგზურისთვის იბრძვის, „კოლხეთი" კი უმოტივაციოდ არის დარჩენილი და შეხვედრებს ზედმეტი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ატარებს. ამიტომ კოლხური გუნდი ყველა მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. თუმცა, გუშინ ფოთელებმა მხოლოდ მატჩის დებიუტში შეძლეს „ტორპედოსთვის" ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა, როცა სტუმრებს გაცილებით უკეთ გამოსდიოდათ ყველაფერი, ვიდრე ფავორიტად შერაცხილ ქუთათურებს. **ბექა ტულუში, ილია პავლიაშვილი** და **დავით ციცხვაია** აქტიურად მოქმედებდნენ და მეტოქეს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდნენ. პირველი სახიფათო შეტევაც სტუმრებმა განახორციელეს. ტულუში მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და მცველების გარემოცვაში მყოფმა სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. მალევე ციცხვაიას პასით პავლიაშვილი გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ **ომარ მიგინეიშვილმა** მისი დარტყმაც მოიგერია. სტუმრების აქტიურობამ შედეგი მე-18-ე წუთზე გამოიღო, როცა ფოთელთა სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ ციცხვაიამ პავლიაშვილი ცარიელი კარის წინ ეულად დატოვა და მასაც არ გასჭირვებია ბურთის გატანა.მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** მატჩში კორექტივების შესატანად ნაადრევი ცვლილება განახორციელა და **თორნიკე თარხნიშვილის** ნაცვლად მოედანზე ქუთაისელთა საუკეთესო ბომბარდირი **რევაზ გოცირიძე** შეიყვანა. მატჩის სცენარიც რადიკალურად შეიცვალა. ქუთათურებმა ბურთზე კონტროლის დაწესება მოახერხეს და შორეულ დარტყმებსაც მოუხშირეს. **ნიკა საბანაძის** ძლიერი და მოჭრილი დარტყმა **ლადო ნადირაშვილმა** ნახტომში მოიგერია, თუმცა მომდევნო ეპიზოდებისას ფოთელთა მეკარემ საკუთარი გუნდი ველარ იხსნა, არადა ტორპედოელთა გოლები



ნიკა საბანაძე

აუღებელთა კატეგორიას ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ფოთელთა დამრიგებელმა **დავით მახარაძემ** ნადირაშვილი პირველი ტაიმის შემდეგ **მიხეილ ხარშილაძეთი** შეცვალა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გეგუჩაძეს ცვლილებამ აშკარად გაუმართლა, გოცირიძემ შესვლიდან რამდენიმე წუთში ორი საგოლე გადაცემა მიითვალა. ჯერ იყო და, მან შეტევაში ჩართულ **ლექსო კვახაძეს** დროული გადაცემა გაუკეთა, რომელმაც თავის მხრივ დაახლებით 25 მეტრიდან შესანიშნავად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა. მეორე ეპიზოდისას კი გოცირიძემ ასისტენტობა საბანაძეს გაუწია, რომელსაც გუშინ დაბადების დღე ჰქონდა და საკუთარი იუბილე დუბლითაც აღნიშნა. გოცირიძის პასის შემდეგ მან საჯარიმოს ხაზიდან ძლიერი დარტყმით ნადირაშვილს მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა. მეორე გოლმა სტუმრები საერთოდ დააბნია და ქუთათურებმა ისინი მალე მესამე გოლითაც დასაჯეს: მასპინძელთა სწრაფი კონტრშეტევის ბოლო ფაზაში **გრიგოლ დოლიძემ** საბანაძე დატოვა მეკარესთან პირისპირ და მანაც ოდნავ მახვილი კუთხიდან მოჭრილი დარტყმით ბურთი მეკარისგან შორეულ კუთხეში მოათავსა. შესვენებისას „ტორპედოს" პრეზიდენტმა **ლევან ფხაკაძემ** ქუთაისური გუნდისთვის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით (1962 წლის 2 მაისს „ტორპედომ" სსრკ უმაღლესი ლიგის სადებიუტო მატჩში მოსკოვის „ტორპედო" 4:2 დაამარცხა) ვეტერანი ტორპედოელები **გურამ ნიშნიანიძე** და **ნოდარ სარჯველაძე** კლუბის მაისურებითა და ბურთებით დააჯილდოვა.

მეორე ტაიმის საწყის 15 წუთში გეგუჩაძის შეგირდებს რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა შეცვლაზე შემოსულ **გივი იოსელიანს,** რომლის დარტყმის შემდეგაც ბურთმა მეკარესაც აუარა და მცველებიც ვერ შეწვდნენ, მაგრამ კარის ჩარჩოს მცირედით ასცდა. მორიგი შეტევისას საბანაძეს მართებდა გატანა, რომელმაც მცველს კარგად აართვა ბურთი, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად ველარ დაარტყა. შემდეგ სტუმრებსაც ჰქონდათ მომენტები, რომლებიც „სტანდარტულებითა" და შორეული დარტყმებით ცდილობდნენ მიგინეიშვილის დამწუხრებას. **ლაშა ქებაძემ** ორჯერ ძლიერი შორეული დარტყმით შეაწუხა ქუთაისელთა მეკარე, მაგრამ მიგინეიშვილი ორივე შემთხვევაში საიმედოდ გაისარჯა. ბოლო წუთებმაც ორმხრივ შეტევებში ჩაიარა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. „ტორპედომ" საჭირო სამი ქულა მოიპოვა,თუმცა ქუთათურებს იმედები მეორე იმერულმა კლუბმა „ზესტაფონმა" გაუცრუა, რომელიც მესამე ადგილისთვის „ტორპედოს" კონკურენტ „დინამოსთან" საკუთარ მოედანზე დამარცხდა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეტალურგი | 24 | 15 | 3 | 6 | 35 | 25 | 48 |
| 2 | ზესტაფონი | 24 | 12 | 7 | 5 | 41 | 26 | 43 |
| 3 | ტორპედო | 24 | 11 | 5 | 8 | 28 | 23 | 38 |
| 4 | დინამო | 24 | 9 | 10 | 5 | 39 | 29 | 37 |
| 5 | დილა | 24 | 8 | 7 | 9 | 28 | 25 | 31 |
| 6 | კოლხეთი | 24 | 6 | 8 | 10 | 21 | 31 | 26 |
| 7 | ბაია | 24 | 5 | 7 | 12 | 22 | 35 | 22 |
| 8 | მერანი | 24 | 5 | 3 | 16 | 28 | 48 | 18 |

**მომდევნო ტური**

**6 მაისი, კვირა**

დილა-კოლხეთი
ბაია-მერანი
მეტალურგი-ზესტაფონი
დინამო-ტორპედო

პლეი ოფი

# იოლი და გოლუხვი

02.05. გორი. თ. ბუხაიძე.
3 000 მაყურებელი

**დილა 3**

**ბაია 1**

1:0 ვანაძე(12), 2:0 ბექვაია(37), 3:0 ვანაძე (53)

| დილა 4-4-2 | ბაია 4-5-1 |
|---|---|
| სკენდერი | მაქაცარია |
| ალადაშვილი | პაჭკორია |
| სალუქვაძე | აფაქიძე |
| თოთაძე | ტყებუჩავა |
| მეგრელიშვილი | აკობია |
| კახელიშვილი | ზარნაძე |
| კაშია | ქვარცხავა |
| ბექვაია | ნ. შონია |
| გურული | გაბედავა |
| ხოჯავა | სიხარულია |
| ვანაძე | კუკავა |
| მწვრთნელი თ. შალამბერიძე | მწვრთნელი გ. ტყებუჩავა |

**დილა**

70. ვანაძე — **ბარაბაძე**
74. კაშია — **არზიანი**
78. ხოჯავა — **ახალკაცი**
*სათადარიგოები: შეყრილაძე, კანდელაკი, ნ. ნოზაძე, ინწკირველი*

**ბაია**

59. პაჭკორია - **შ. ლომია**
69. შონია - **ენდელაძე**
80. სიხარულია — **ფარჯიკია**
*სათადარიგოები: ჯომიდავა, გამრეკლიძე, ეხვაია, აქუბარდია*
გაფრთხილება: სალუქვაძე (29), მეგრელიშვილი (51), ლომია (85)
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

რაც გორში ფეხბურთი დაბრუნდა, „დილამ“ საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ მხოლოდ ერთადერთხელ შეაგდო ბურთი მეტოქის კარში. სამაგიეროდ ახლა „ბაიასთან“ გაილაღა და ცოტა დააკლდა, რომ დიდი ანგარიშით მოეგო. შეხვედრის დებიუტის ოდნავ მძიმე დასაწყისის მიუხედავად, პირველ გოლამდე სულ 12 წუთი მოგვიწია ლოდინმა. ამ დროს მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთის გამოტანა **გიორგი პაჭკორიას** გაუჭირდა და იქვე ჩასაფრებულმა **მათე ვანაძემ** მეორე ცდაზე, მაგრამ მაინც შეაგდო. გოლის მერე "დილას" ფრთები შეესხა, მასპინძლებმა დამაჯერებლად გაათამაშეს მეტოქის ნახევარზე ბურთი და ზუგდიდელთა კართან სახიფათო მომენტებმაც იმატა. როგორც ველოდით, „ბაია“ კონტრშეტევებზე აგებდა საკუთარ თამაშს, რაც, სხვათა შორის, საკმაოდ მწვავედაც გამოსდიოდა. განსაკუთრებით მათი ერთადერთი ფორვარდის **ლაშა კუკავას** გარჯაა აღსანიშნავი, რომელმაც მასპინძელთა მცველებს არაერთხელ შეუქმნა პრობლემები. თუმცა, „დილას“ ქომაგები პირველად არა მან, არამედ **ნიკა შონიამ** აანერვიულა, როდესაც დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერი დარტყმით ძელი შეაზანზარა. თითქოს ამას უპასუხაო, რამდენიმე წუთში **გიგა ბექვაიამ** ზუსტად იმავე მანძილიდან გაისროლა და ანგარიში 2:0 გახდა. ტაიმის ბოლომდე ვანაძეს კიდევ რამდენჯერმე მიეცა საგოლე შანსი, თუმცა მათე ზუსტად ვერ მოქმედებდა და საკუთარი დუბლის გაფორმება მეორე ტაიმისთვის გადადო. შესვენებამდე და მატჩის განახლებიდან რამდენიმე წუთში კუკავა ორჯერ დაუსხლტა მეურვეებს, მაგრამ ჯერ **სკენდერმა** გამოიჩინა თავი, მეორედ კი მცველებმა ბოლო წამს განმუხტეს საფრთხე. საერთოდ, მეორე ტაიმი კიდევ უფრო თვალსასეირო სანახავი იყო. ტაიმის დასაწყისში ისევ მართებდა გატანა ვანაძეს, კუთხურიდან ჩამოწოდებულზე **ლაშა სალუქვაძის** ახლოდან დარტყმული **ლევან ტყებუჩავამ** გამოიტანა ცარიელი კარიდან, **სანდრო გურულის** მახვილგონივრული პასით ბექვაია გავიდა სახეირო პოზიციაზე, მაგრამ ოდნავ არაზუსტად დაარტყა. ერთ წუთში კი გურულმა, რომელიც მთელ მატჩში განსაკუთრებით შესამჩნევი ფიგურა იყო მოედანზე, ახლა უკვე ვანაძეს გაუკეთა გამოზომილი პასი, მათემაც დაუფასა თანაგუნდელს გარჯა და ლამაზი თავურით ანგარიში გაასამა! მე-60 წუთზე, ანგარიშიდან გამომდინარე და ოდნავ ყურადღებამოდუნებულ მასპინძლებს კუკავა ისევ გაექცათ. საჯარიმოში შესულმა სტუმართა თავდამსხმელმა დაარტყა კიდეც, თუმცა სკენდერის ხელიდან ძელს მოხვდა ბურთი, მერე **შოთა ლომიამ** დაამატა ახლოდან, მაგრამ ხორვატმა მეკარემ ამჯერად უკვე ხელში გააქვავა. დარჩენილ დროში **გიორგი კახელიშვილის** მიერ ფლანგზე შესრულებული შესანიშნავი დრიბლინგი გვინდა აღვნიშნოთ, რომელიც გამოზომილი პასით დასრულდა ბარაბაძის მისამართით, თუმცა ამ უკანასკნელმა ბურთი ორიოდ მეტრიდან კარს ააცილა (!). თავის მხრივ სტუმართა მცდელობას კი შედეგი მაინც მოჰყვა. შეხვედრის მიწურულამდე რვა წუთით ადრე ახალშემოსულმა **აკაკი ფარჯიკიამ**, რომლის თამაშში ჩართვასაც სტადიონზე მოსული ზუგდიდელი გულშემატკივარი პირველი ტაიმიდან მოყოლებული **გოჩა ტყებუჩავას** ხმამაღლა მოუწოდებდა, გოლი გაიტანა. აი, ასე გადაურჩა “ბაია” დიდი ანგარიშით მარცხს.

**მატჩის შემდეგ**

**გოჩა ტყებუჩავა (ბაია):** „მიუხედავად იმისა, რომ წავაგეთ, ურიგოდ არ გვითამაშია. ყოველ შემთხვევაში, ამ ანგარიშით მარცხს მაინც არ ვიმსახურებდით. ჩვენმა ფეხბურთელებმა არაერთი საგოლე მომენტი გააფუჭეს, აღსანიშნავია სკენდერის კარგი თამაშიც“

**თემურ შალამბერიძე (დილა):** „შედეგით ცხადია კმაყოფილი ვარ. გარდა ამისა, სასიამოვნოა, რომ ჩვენი ფეხბურთელების გარჯაში იკვეთება ის ელემენტები, რომელიც გუნდის თამაშის სტილის ჩამოსაყალიბებლად გვჭირდება“

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



მათე ვანაძემ დუბლი შეასრულა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

02.05. მარტვილი. ცენტრალური.
2000 მაყურებელი

**მერანი 2**

**მეტალურგი 3**

0:1 სეთურიძე (28.გენაძის პასით), 1:1 გ.ჟვანია (40. პენალტით), 2:1 ტაპე (41. ე. გრიგალაშვილის პასით), 2:2 გენაძე (53), 2:3 მოდებაძე (86)

| მერანი | მეტალურგი |
|---|---|
| შეროზია | ბედიაშვილი |
| გეგეჭკორი | გავაშელიშვილი |
| იოგაშვილი | კვარაცხელია |
| გ. ჟვანია | მახვილაძე |
| სუხიაშვილი | ჯაფარიძე |
| დიდავა | დობროვოლსკი |
| მანწკავა | ი. მაისურაძე |
| ე. გრიგალაშვილი | რაზმაძე |
| ფონიავა | გენაძე |
| ტორონჯაძე | გ. სეთურიძე |
| ტაპე | ტატანაშვილი |
| მწვრთნელი: მ. ჟვანია | მწვრთნელი: კ. ჟორჟიკაშვილი |

**მერანი**

39. ფონიავა - **ვართაგავა**
55. გეგეჭკორი - **კაკუშაძე**
68. მანწკავა - **წონორია**
*სათადარიგოები: მელიავა, აბროლაძე, ტორაძე, შენგელია*

**მეტალურგი**

46. გავაშელიშვილი - ქავთარაძე
68. გენაძე - **სიხარულიძე**
80. ტატანაშვილი - **მოდებაძე**
*სათადარიგოები: გ.მიქაბერიძე, თექთურმანიძე,ჭედია, თებიძე*
გაფრთხილება: გავაშელიშვილი (40), მახვილაძე (52), ე.გრიგალაშვილი (63)
არბიტრი: თ. გვანცელაძე

ამ შეხვედრას, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, უპირველესად სტუმართათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა არც მარტვილელები თმობენ უბრძოლველად არაფერს, მით უფრო საკუთარ მოედანზე. დებიუტანტი გუნდის მიზანი ხომ ცხრილში დაწინაურებაა. ვთქვათ ისიც, რომ მერანელთა ყველაზე უხერხული მეტოქე სწორედ „მეტალურგია“, რომელთანაც სასურველი შედეგის მიღწევა მათ მიმდინარე სეზონზე ვერც ერთხელ ვერ შეძლეს.

მატჩმა მოლოდინი სავსებით გაამართლა, დაძაბულობასთან ერთად იყო ლამაზი ეპიზოდები, გატანილი გოლები. თავდაპირველად რუსთაველმა ფეხბურთელებმა იძალეს და რამდენიმე დასამახსოვრებელი მომენტი შექმნეს: პირველ წუთებში გამოსაყოფია **ირაკლი მაისურაძისა** და **დიმიტრი ტატანაშვილის** თავური დარტყმები, რომელიც არაზუსტი გამოდგა. აქვე იყო **გივი კვარაცხელიას** მიერ სახიფათოდ შესრულებული საჯარიმო. ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ თამაში გათანაბრდა და ამჯერად უკვე „მერანს“ არ გაუმართლა: **ელგუჯა გრიგალაშვილის** უძლიერესად დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა.

ტაიმის შუაწელს **რევაზ გენაძის** აქტიურობას პირველი გოლი მოჰყვა, მისი ჩაწოდების შემდეგ **გიორგი სეთურიძემ** შეუცვალა ბურთს თავით მიმართულება და დააწინაურა თავისიანები. ცოტა ხანში გუნდებმა გაცვალეს მომენტები: ჯერ ტრავმამოშუშებულ **გიორგი მანწკავას** არ გამოუვიდა დარტყმა, ხოლო შემდეგ კი მაისურაძეს. მომდევნო ეპიზოდისას დიმიტრი ტატანაშვილს ჰქონდა რეალური შანსი, მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა **ჯონი შეროზიამ** ითამაშა დამაჯერებლად.

მე-40 წუთზე მარტვილელებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს: სტუმართა მცველმა საჯარიმოში აკრძალული ხერხით შეაჩერა აქტიური ელგუჯა გრიგალაშვილი და მთავარმა მსაჯმა უყოყმანოდ მიიღო გადაწყვეტილება—პენალტთან ერთად **გავაშელიშვილი** ყვითელი ბარათით დასაჯა. თერთმეტმეტრიანი ზუსტად **გიგა ჟვანიამ** შეასრულა.სხვათა შორის, ეს ჟვანიას მიერ ზედიზედ ოთხ თამაშში გატანილი 6 ბურთია, რაც დაგვეთანხმებით, ცენტრალური მცველისათვის შესანიშნავი შედეგია.

## არბიტრის საჩუქარი თუ კანონზომიერი შედეგი?



რევაზ გენაძე

ზუსტად ერთ წუთში ფრთაშესხმულმა მასპინძლებმა მეორედაც იხეირეს. იმავე გრიგალაშვილმა მეკარესთან მარტო დატოვა კოტდიუარელი ლეგიონერი **მუნინი ტაპე,** რომელსაც გატანა არ გასჭირვებია.

თუ პირველ ტაიმში თანაბარი თამაში მიმდინარეობდა და ორივე კართან იქმნებოდა რეალური მომენტები , მეორეში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, მოედნის ბატონ-პატრონი სტუმრები გახდნენ. შესვენების შემდეგ მათმა დამრიგებელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** ,რომ იტყვიან, გუნდს ახალი სისხლი გადაუსხა. მოედანზე სამი შემტევი სტილის ფეხბურთელი შემოიყვანა: **გიორგი ქავთარაძე, ირაკლი სიხარულიძე** და **ირაკლი მოდებაძე** შემოსვლისთანავე ბევრს მოძრაობდნენ და მეტოქის მცველებს ბევრ თავსატეხსაც უქმნიდნენ. მათმა მონდომებამ ნაყოფი მალევე გამოიღო: რევაზ გენაძემ საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად გაისროლა და ანგარიში საყაიმო გახადა.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ შესვენების შემდეგ „მერანი“, ფაქტობრივად, დემორალიზირებული გამოვიდა მოედანზე: მატჩის ბოლომდე მათ მეტოდის კარისკენ არც კი დაურტყამთ. „მეტალურგი“ კი არ ჩქარობდა და თავის შანსს ელოდა. გატანა შეეძლოთ სიხარულიძესა და **დენის დობროვოლსკის,** თუმცა სიზუსტემ უმტყუნათ.

საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე „მეტალურგის“ კომბინაცია გოლით დასრულდა: ახლო მანძილიდან **ირაკლი მოდებაძემ** მესამედ აიღო მარტვილელთა კარი. ამ ეპიზოდში მასპინძელთა გულშემატკივრები თამაშგარის დაფიქსირებასა და შესაბამისად, გოლის გაუქმებას ითხოვდნენ, თუმცა **თორნიკე გვანცელაძემ** საკამათო გადაწყვეტილება მიიღო და ხელი მოედნის ცენტრისაკენ გაიშურა.

ამ მოგებით რუსთავის „მეტალურგმა“ სერიოზული საჩემპიონო განაცხადი გააკეთა.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან

**დღეს, პლეი აუტი. X ტური**
**3 მაისი, ხუთშაბათი**

მერცხალი-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-გაგრა
გურია-სიონი
დინამო (ბთ)-ჩიხურა

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 9 | 6 | 2 | 1 | 16 | 7 | 20 |
| 2 | გურია | 9 | 5 | 3 | 1 | 16 | 11 | 18 |
| 3 | ვიტჯორჯია | 9 | 5 | 1 | 3 | 9 | 6 | 16 |
| 4 | სიონი | 9 | 4 | 3 | 2 | 15 | 8 | 15 |
| 5 | სპარტაკი | 9 | 3 | 2 | 4 | 10 | 11 | 11 |
| 6 | ბათუმი | 9 | 3 | 2 | 4 | 6 | 10 | 11 |
| 7 | გაგრა | 9 | 1 | 4 | 4 | 8 | 10 | 7 |
| 8 | მერცხალი | 9 | 0 | 1 | 8 | 2 | 19 | 1 |

გაგრა. ინტერვიუ მთავარ მწვრთნელთან



# ზვიად ჯელაძე:
# ეკლიანი გზა ავირჩიეთ

ეროვნული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება და პრიზიორები და აუტსაიდერებიც გამოიკვეთა. საქართველოს თასის მფლობელი "გაგრა" ერთ-ერთი მათგანია, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა და პირველ ლიგაში დაქვეითების რეალური საფრთხე ემუქრება: პლეი აუტის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე, "გაგრა" 7 ქულით მე-7 ადგილზეა და 8 ქულით ჩამორჩება მეოთხეადგილოსან ბოლნისის "სიონს". მეოთხე ადგილი კი მომდევნო სეზონში უმაღლესში თამაშის გარანტიას იძლევა.

წარუმატებლობას თავისი მიზეზები აქვს: სეზონის დაწყებამდე კლუბში საკადრო ცვლილებები მოხდა, "გაგრა" ლიდერთა ნაწილმა დატოვა და გუნდის გაახალგაზრდავება დაიწყო. ამას დაემატა საფუძვლიანი პრეტენზიები მსაჯების მიმართ, რაც მცირე ხნის წინ ფედერაციამაც აღიარა.

დღეს "გაგრა" "ვიტ ჯორჯიას" შეხვდება და ამ შეხვედრის შემდეგ გაირკვევა, რამდენად რეალურია "გაგრას" მთავარი მწვრთნელის, ზვიად ჯელაძის იმედები, რომელიც თვლის, რომ ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის:

**- და მაინც, მეოთხეადგილოსან "სიონს" 8 ქულით ჩამორჩებით და ფაქტობრივად, ყველა ლიგიდან გავარდნილად გთვლით. ამიტომ, "ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრა გადამწყვეტი იქნება.**

- "ვიტ ჯორჯია" უხერხული მოწინააღმდეგეა და მძიმე თამაში გველის. ამ შეხვედრისთვის ბიჭები სერიოზულად ემზადებიან. სატურნირო ცხრილს რომ ვუყურებთ, კარგად ვაცნობიერებთ, რა არასახარბიელო მდგომარეობაში ვართ. მაგრამ ხუთი ტურია დარჩენილი და თეორიულად შესაძლებელია, ყველა მატჩი მოვიგოთ და კონკურენტებს გავუსწროთ. დანებება არც მე მჩვევია და არც "გაგრას". ამიტომ, თეორიული შანსის გამოსაყენებლად ბოლომდე ვიბრძოლებთ, ბრძოლას კი აზრი ყოველთვის აქვს.

**- რეალურად, შესაძლებელი არის კი დარჩენილ ხუთ ტურში მდგომარეობის გამოსწორება?**

- თასის ნახევარფინალურ შეხვედრაში "დილასთან" ყველა აუტსაიდერად გვთვლიდა, მაგრამ მეტოქეს არაფერი დავუთმეთ. ჩვენ მებრძოლი ბიჭები გვყავს, რომელთაც კარგად ესმით, რა გუნდში თამაშობენ და თუ ხელისშემშლელი ფაქტორები არ იქნება, დარჩენილი მატჩების მოგება შეუძლებელი არ უნდა იყოს.

**- ერთ-ერთი მატჩის შემდეგ "გაგრას" ფეხბურთელმა თქვა, ფეხბურთელების კომენტარი რად გინდათ, მსაჯებს ელაპარაკეთ, ყველაზე მაგრად ისინი თამაშობენო. თუ მართლაც ასეთ მძიმე მდგომარეობაში გაგდებენ, წმინდა სპორტული რესურსით რისი იმედი გაქვთ?**

- მსაჯობაზე იმდენი ითქვა, აღარ მსურს კომენტარის გაკეთება. წმინდა სპორტული რესურსის იმედი კი ნაღდად გვაქვს. გვყავს ნიჭიერი და ამბიციური ბიჭები, რომლებიც სათამაშო პრაქტიკით გაიზარდნენ და გაორმაგებული ენერგიით თამაშობენ.

დაარსების დღიდან, "გაგრა" ქართულ ფეხბურთს ემსახურებოდა. რა თქმა უნდა, სანყენი იქნება, თუ გავვარდებით. თუმცა მიუხედავად იმისა, მომავალ სეზონში სად ვითამაშებთ და გვაქვს თუ არა უმაღლესში დარჩენის შანსი, სამართლიანი თამაშის პრინციპებს დავიცავთ. ეს არის პრინციპი, რომელსაც "გაგრა" ყოველთვის ერთგულებდა. "გაგრა" საქართველოსთვის რიგითი კლუბი არ არის და არ შეიძლება, ღირსებას ღალატობდეს.

მთავარი სწორედ გუნდის დანიშნულებაა – "გაგრამ" საქართველოს ნაკრებს ფეხბურთელი უნდა გაუზარდოს. როგორც ჩანს, ეკლიანი გზა გვაქვს გასავლელი, რადგან იოლი ცხოვრება არ აგვირჩევია. ეს გზა ძნელია, მაგრამ დღეს თუ გვიჭირს, ხვალ აუცილებლად მოვა წარმატება. იმიტომ, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ, მომავლის გუნდი ვართ და ბავშვები ამ წინააღმდეგობების გადალახვით უფრო გაიზრდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

U16

# მეშვიდე ადგილი პრეზიდენტის თასზე

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ ალმა ათაში, "პრეზიდენტის თასზე" ბოლო მატჩი ჩაატარა. **ნოდარ აკობიას** გუნდი ბოლოსწინა, მეშვიდე ადგილისთვის ბრძოლაში თურქმენეთის ნაკრებს დაუპირისპირდა და მეტოქეს 2:0 სძლია.

შეგახსენებთ, ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანსა და ირანთან დამარცხდა, თურქეთთან კი ფრედ ითამაშა და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი თანაგრძნობას უცხადებენ ვეტერან ფეხბურთელს დავით მუჯირს მამის გარდაცვალების გამო.**

*დაკრძალვა 03. 05; მისამართი: ნაძალადევი, გომბორის 42.*

ვეტერანი

# ვაჟა ჟვანია:
# ჩვენი საფეხბურთო ინტელექტუალური რესურსი ნულია

მიუხედავად გამონათებებისა, ქართულ ფეხბურთში ისევ ბევრი პრობლემაა. ფული და მენეჯმენტი – ზოგადად, ეს არის ნაკლოვანებების გამოსწორების გზა, თუმცა კიდევ სხვა ფაქტორიც ულღნის ფესვებს ქართულ ფეხბურთს...

70-იანი წლების ბოლო და 80-იანი წლების დასწყისი მახსენდება, რადგან მაშინ ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების მოზღვავება იყო. ხალხი "დინამოს" დუბლების თამაშებზეც დადიოდა, მოედანზე გემრიელ ფეხბურთს უყურებდნენ, ნიჭიერება ჩანდა...

კარგი ფეხბურთელები ახლაც მოდიან, თუმცა ისეთი თვალისმომჭრელი ახალგაზრდული გუნდი, როგორიც მაშინდელი "დინამოს" დუბლი იყო, არა და არ ჩანს...

მაშინ სხვა დრო იყო, ოღონდაც რა განაპირობებდა თვალისმომჭრელი მოთამაშეების გამოჩენას, ამაზე კამათი ვფიქრობ, ახლაც აქტუალურია. ფეხბურთში ბევრი რამე იცვლება, მაგრამ არის რაღაცებიც, რისი შეცვლაც შეუძლებელია...

შეიცვალა "დინამოც", მაგრამ არა მგონია, რომ შეიცვალა ის გენი, რაც ქართულ ფეხბურთში დევს. გენეტიკა დარჩა, რადგან ბუნების კანონებს ვერაფერი შეცვლის, მათ შორის ვერც ფეხბურთი.

იმ "დინამოს" დუბლის გახსენება მხოლოდ სენტიმენტებს არ უკავშირდება. ის გუნდი რაღაცის შედეგი უფრო იყო, ვიდრე რაღაც-რაღაცების დამთხვევა.

"დინამოს" მაშინდელ დუბლში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ ვაჟა ჟვანია, ვინც ახლა საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა დაცვის ფონდის და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარეა.

ჟვანია საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას აპირებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მასთან ინტერვიუში ამაზეც არის საუბარი, თუმცა მთავარი საკითხი ალბათ სხვა არის...

**- ალბათ არავისთვის იქნება ინტერესმოკლებული, თუ როგორ მიმდინარეობდა მაშინ სამწვრთნელო და სასელექციო პროცესი "დინამოს" დუბლებში, თუ რაზე კეთდებოდა აქცენტები...**

- "დინამოს" დუბლების მწვრთნელი სერგო კუტივაძე იყო, მთლიანად პროცესის ხელმძღვანელი კი ნოდარ ახალკაცი გახლდათ. საქმეში იყო ჩართული გივი ნოდიაც. მაშინ ძალიან კარგი გუნდები თამაშობდნენ საქართველოს პირველობაზე, საჩხერის "ჩიხურა", გორის "დილა", გალის "მზიური"... აღარაფერს ვამბობ იმ ქართულ გუნდებზე, საბჭოთა კავშირის პირველ და მეორე ლიგაში რომ გამოდიოდნენ. ხდებოდა რეკომენდაციის გაწევა კონკრეტულ ფეხბურთელებზე, მერე კი მათი დაკვირვება "დინამოს" სამწვრთნელო გუნდიდან. გარდა ამისა, "დინამო" ატარებდა ეგრეთ წოდებულ "ხალტურნი" მატჩებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ვინც "დინამოსთან" თავს გამოიჩენდა, გასინჯვაზე მოჰყავდათ. ყოველივე ეს სელექციის სწორი ფორმა იყო. ამიტომაც, "დინამოს" დუბლი ფაქტობრივად საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს წარმოადგენდა.

**- რატომ იყო მაშინ ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების მოზღვავება და რატომ აღარ არის ახლა? ასეთ კითხვას ბევრი სვამს...**

- ოქტომბერში თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ვაპირებ მონაწილეობის მიღებას. ამით მე სულაც არ ვუპირისპირდები გრიგოლ ცაავას, თბილისის ფედერაციის ამჟამინდელ პრეზიდენტს. მას აქვს საშუალება, საკუთარი ცოდნა მოახმაროს აფხაზეთის ფეხბურთის რეგიონულ ფედერაციას. თუ მე გავხდები თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ხოლო ცაავა აფხაზეთის ფეხბურთს უხელმძღვანელებს, საინტერესო იქნება, ვინ რა საქმის გაკეთებას შეძლებს. თქვენს კითხვაზე ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, საქმეს სწორად მივუდგეთ და იქ გამოვასწოროთ ვითარება, სადაც ეს ყველაზე უფროა აუცილებელი. ადრე იყო კარგი მოედნები და გამართული ინფრასტრუქტურა? არა, მაგრამ ნიჭიერი ფეხბურთელები მოდიოდნენ, ახლა კი ნაკლებად მოდიან. ამ ყველაფრის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი საფეხბურთო ინტელექტუალური რესურსი ნულის ტოლია.

**- კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

- მიხეილ მესხის სკოლაში, "ავაზაში" გავიზარდე. თვითონ მესხი და არც "ავაზის" მწვრთნელები ბავშვებს თამაშის დროს შენიშვნას არ გვაძლევდენ, თამაშამდე და თამაშის მერე ხდებოდა საუბარი. ასეთი იყო მუშაობის სტილი. დღეს კი რას ვხედავთ – მწვრთნელების აბსოლუტური უმრავლესობა თამაშის დროს ბავშვებს აძლევს მითითებებს, ლანძღავს, შეურაცხყოფას აყენებს მოზარდებს, ამის შედეგად კი ბავშვები ითრგუნებიან და თავიანთი საუკეთესო თვისებების გამოვლენაში ხელი ეშლებათ. კონკრეტულ მაგალითსაც მოგიყვანთ: შარშან უმცროსი მიხეილ მესხის 50 წლისთავთან დაკავშირებით ოთხთა ტურნირი ჩავატარეთ 12 წლის მოზარდებს შორის, მოვიწვიეთ ვეტერანი ფეხბურთელებიც. რაც მე ამ ტურნირზე ვნახე მწვრთნელების მხრიდან, ბევრი რამ აბსოლუტურად მიუღებელია ჩემთვის. "ოლიმპიკი"-"მერანის" მატჩის პირველ ტაიმში "ოლიმპიკი" 3:1-ს იგებდა, შესვენებაზე "ოლიმპიკის" მწვრთნელ ლევან მელიქიას ვუთხარი, ასე



ცუდად ნუ ეპყრობი ბავშვებს, ითრგუნებიან -მეთქი. მეორე ტაიმში "ოლიმპიკის" მოზარდებს უკვე ბურთის მიღების ეშინოდათ, მწვრთნელის რისხვა და ლანძღვა არ დავიმსახუროთ. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ "მერანმა" 4:3 მოიგო. მწვრთნელების მხრიდან სპეკულაციას აქვს ადგილი, მშობლებს აჩვენებენ, ნახეთ, რამდენს ვმუშაობთო. მშობლებიც ეგუებიან ამ ყველაფერს, ჩემი შვილი გუნდიდან არ გაუშვანო. აი, ეს არის მწარე სიმართლე და აჯობებს, თუ ყველა მწვრთნელი თავის გულში ჩაიხედავს. ალექსანდრე ჩივაძე და ვლადიმერ გუცაევი ვლადიმერ ელოშვილის გაზრდილები არიან, ელოშვილი საკმაოდ მკაცრი მწვრთნელი იყო, მაგრამ თამაშის დროს არაფერს არ ეტყოდა ფეხბურთელებს, მას სიმკაცრეც შეეძლო და მეგობრობაც, დიდი პედაგოგი იყო...

**- როგორ უნდა შეიცვალოს ასეთი დამოკიდებულება, რაში ხედავთ გამოსავალს?**

- თანამედროვე ფეხბურთში ახალგაზრდა ფეხბურთელების დაწინაურების მხრივ დომინანტის როლი ბრაზილიას, არგენტინას, ლათინურამერიკულ ქვეყნებს აკისრიათ. ამ ქვეყნებში მწვრთნელს უფლება არ აქვს 18 წლამდე ფეხბურთელს თამაშის დროს რამე უკარნახოს, მწვრთნელს თამაშის დროს მხოლოდ იმის უფლება აქვს, რომ წაახალისოს ამ ასაკის ფეხბურთელი. თუ მწვრთნელი ამ წესს არ დაიცავს, მსაჯს მისი გაფრთხილების და გაძევების უფლება აქვს, ეროვნული ასოციაცია კი ფულად ჯარიმას აკისრებს. ლათინურამერიკულ ქვეყნებში ეროვნული ასოციაციები ვალდებულები არიან, რომ რეგიონულ ფედერაციებს ამ წესის დაცვა მოსთხოვონ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ იგივე პრაქტიკა საქართველოშიც უნდა დაინერგოს. მე ხომ ველოსიპედის გამოგონებას არ ვცდილობ. საქართველოც ფეხბურთელთა ექსპორტიორი ქვეყანაა და ამ წესის შემოღება აუცილებლად მიმაჩნია. ჩვენთან იცით რა ხდება? რეგიონულ ფედერაციებს მსაჯები არ ჰყოფნის და ტურნირებს ისე ატარებენ, რომ ხანდახან ფეხბურთელების ახლობლებს, ან მწვრთნელებს უწევთ მსაჯობა. არადა მოზარდისთვის უაღრესად აუცილებელია, რომ კარგ მსაჯთან ურთიერთობას მიეჩვიოს. ახლა ალბათ ყველა მიმიხვდება, თუ რა ვიგულისხმე იმაში, რომ ქართულ ფეხბურთში ინტელექტუალური რესურსი ნულია.

**- თუ თბილისის ფეხბურთის ფედერაცის პრეზიდენტი გახდებით, კიდევ რა ნოვაციების შემოღებას აპირებთ?**

- იმ ფეხბურთელებით, რომლებიც ასაკობრივ ნაკრებებში ვერ მოხვდებიან, თბილისის ნაკრები უნდა შეიქმნას. ეს დიდი სტიმული იქნება ნაკრებებს მიღმა დარჩენილი ახალგაზრდებისთვის, დარწმუნებული ვარ, ასეთებშიც გამოჩნდებიან საინტერესო მოთამაშეები. თბილისის ფედერაციას ახლაც აქვს შემოსავალი, რადგან საფეხბურთო სკოლების უმრავლესობა დედაქალაქშია თავმოყრილი. სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში მეტი ფული გაუჩნდებათ სხვა რეგიონულ ფედერაციებსაც.

**- "დინამოს" ძველ დუბლებს დავუბრუნდეთ - ვინ იყო თქვენში ყველაზე ნიჭიერი?**

- მამინაშვილი, ცაავა, ჩქარეული, დურდიაძე, ჟორდანია, გურული, არზიანი...ნიჭიერი ცოტა არ იყო, ყველაზე გამორჩეული კი უმცროსი მიშა მესხი გახლდათ. დიდი მწვრთნელი იყო კონსტანტინე ბესკოვი და ამიტომაც, როცა მან მესხი მოსკოვის "სპარტაკში" წაიყვანა, ის უკვე ნამდვილ პროფესიონალად ყალიბდებოდა. სამწუხაროდ, მესხმა საკუთარ თავს უგანა, სპორტული ცხოვრებით არ ცხოვრობდა და სავალალოდ დატოვა წუთისოფელი...

**- "დინამოში" კი ნიჭიერ თაობათა შორის წყვეტა მოხდა...**

- ეს უცოდინარობის ბრალი იყო. 1982 წელს "დინამოდან" ცხრა ფეხბურთელი გაუშვეს, ახალი თაობა რომ მოდიოდა, ისიც გაქრა. მწვრთნელმა და მისმა მიმდევრებმა შეცდომა დაუშვეს. ამის მერე თაობა ვერ გამოჩნდა, სანამ ქინქლაძის, არველაძეების, ჯამარაულის და ნემსაძის თაობა არ გამოჩნდა. განათლება, შეგნება და კულტურა – ამის დეფიციტი რომ არის, მაგიტომაც არ არის შედეგი, მაგიტომაც გვესმის ბავშვების ლანძღვა-გინება მწვრთნელებისგან...

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ორი ქართული გოლი



გიორგი ჭანტურია

გუშინ ჩემპიონატის კალენდარული მატჩები ევროპის არაერთ ქვეყანაში გაიმართა და უქმად არც ქართველი ლეგიონერები ყოფილან, რომლებმაც მეტ-ნაკლები წარმატებით ითამაშეს.

პოზიტიური ამბით დავიწყოთ – ჰოლანდიის ერედივიზიეში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ **გიორგი ჭანტურიამ** გოლი გაიტანა. არნემის "ვიტესმა" სტუმრად "უტრეხტთან" 2:2 ითამაშა, ჭანტურიამ კი თავი 43-ე წუთზე გამოიჩინა. მისი გოლით ანგარიში 1:1 გახდა. ჭანტურიაც და "ვიტესის" კაპიტანი **გურამ კაშიაც** ძირითადში იყვნენ. კაშიამ მოედანზე 90 წუთი დაჰყო, არანაკლებ კარგი ამბავი კი ის არის, რომ 83-ე წუთზე ჭანტურიას ნაცვლად მოედანზე **ვაკო ყაზაიშვილი** შევიდა, რომელსაც "ვიტესის" მთავარ გუნდში დიდი ხანი არ ჰქონდა ნათამაშები. არნემელები 53 ქულით მე-7 ადგილზე არიან. 6 მაისს, ბოლო ტურში, "ვიტესი" ამსტერდამის "აიაქსს" მასპინძლობს.

რუსეთის პრემიერლიგაში მოსკოვური დერბი გაიმართა – "სპარტაკისა" და "დინამოს" დაპირისპირება ფრედ, 1:1 დასრულდა. ამ მატჩში ტრავმის გამო მონაწილეობა არ მიულია სპარტაკელ **ჯანო ანანიძეს**. არც **საბა კვირკველია** გამოჩენილა ყაზანის "რუბინისა" და სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" შეხვედრის განაცხადში. ეს თამაში 2:2 დასრულდა. "სპარტაკი" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, "რუბინი" კი მაქსიმუმ ევროპის ლიგას შეწვდეს.

"კრასნოდარი" პერმის "ამკარს" ეწვია და 2:2 ეთამაშა. სტუმართა რიგებში **ნუკრი რევიშვილმა** და **ალექსანდრე ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშეს, ოთარ მარცვალაძე კი კრასნოდარელთა განაცხადში არ შეუყვანიათ. "ვოლგამ" "ტერეკს" უმასპინძლა და 1:3 დამარცხდა. მასპინძელთა რიგებში მოედანზე 90 წუთი დაჰყო **გია გრიგალავამ** და ყვითელი ბარათი მიიღო. ნალჩიკის "სპარტაკისა" და "როსტოვის" მატჩი 2:2 დასრულდა. ნალჩიკელთა შემადგენლობაში **დავით სირაძე** 69-ე წუთიდან გამოჩნდა, **გუჯა რუხაია** კი სათადარიგო იყო. ნალჩიკის "სპარტაკი" უკვე გავარდნილია, სხვა ქართველთა გუნდები კი სამშვიდობოზე არიან.

სრული ტური გაიმართა უკრაინულ პრემიერლიგაშიც. "ქართული დერბი" ლვოვში, სადაც ადგილობრივმა "კარპატიმ" დნეპროპეტროვსკის "კრივბასს" უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა. მასპინძელთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა **მურთაზ დაუშვილმა**, სტუმართა შორის კი ასევე სრულად ჩაატარეს შეხვედრა **უჩა ლობჟანიძემ** და **ჯაბა კანკავამ**. ეს უკანასკნელი მეორე ტაიმში გააფრთხილეს.

**ალექსანდრე კობახიძემ** კი მორიგი გოლი გაიტანა. მისმა "არსენალმა" შინ "ვოლინი" 3:0 გაანადგურა, სანდრომ კი შეუცვლელად ითამაშა და 67-ე წუთზე ანგარიში 2:0 გახადა. მიმდინარე ჩემპიონატში ეს მისი მეშვიდე გოლია.

**დავით თარგამაძისა** და **თორნიკე ოქრიაშვილის** "ილიჩივეცი" "ობოლონს" ესტუმრა და უგოლოდ დაშორდა. ორივე ძირითად შემადგენლობაში იყო – თარგამაძე ბოლომდე, ოქრიაშვილი კი 70-ე წუთზე შეცვალეს. ლუგანსკის "ზარიამ" კიევის "დინამოს" უმასპინძლა და საპატიო 0:0-ს მიაღწია. ჯაბა ლიპარტია "ზარიას" სასტარტო შემადგენლობაში იყო და 53-ე წუთზე შეცვალეს.

ქართველთა კლუბებიდან საუკეთესო შედეგი კიევის "არსენალს" აქვს, რომელიც მომავალ სეზონში ევროპის ლიგაზე იასპარეზებს, ყველაზე უარეს მდგომარეობაში კი "კარპატია" – დაუშვილის გუნდი პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძვის. უკრაინის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი და იგი 10 მაისს გაიმართება.

დანიის სუპერლიგაში "ორჰუსმა" შინ "ლუნგბიუს" 2:1 სძლია, თუმცა ამ შეხვედრაში **დავით სხირტლაძეს** მონაწილეობა არ მიუღია. მან მატჩს მასპინძელთა სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი.

საფრანგეთის ლიგა 1-ში თამაში გაინაღდა **ამირან სანაიას** "ბასტიამ". სხვა საქმეა, რომ ჯერ არ ვიცით, იქნება თუ არა იგი ამ კლუბის წევრი მომავალ სეზონშიც. სანაიას გუნდმა ლიგა 2-ის გასულ ტურში საკუთარ მოედანზე "მეცი" 3:0 გაანადგურა, ქართველი მცველი კი თამაშში 74-ე წუთიდან ჩაერთო. ეს მიმდინარე ჩემპიონატში მისთვის მხოლოდ მეექვსე მატჩი იყო.

ფინეთის ვეიკაუსლიგაში "ინტერ ტურკუმ" სტუმრად "იაროს" 1:0 მოუგო, თუმცა ამჯერად **ირაკლი სირბილაძეს**, რომელმაც თამაში თავიდან ბოლომდე ჩაატარა, თავი არ გამოუჩენია.

იტალიის სერია A-ში "ჯენოასა" და "კალიარის" შეხვედრამ **კახა კალაძის** გარეშე ჩაიარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**




სანდრო კობახიძის შეტევა

ჰერთა



ლევან კობიაშვილი ოტო რეჰაგელის იმედია

# ბერლინი ბოლო იმედის ბრძოლისთვის ემზადება

## რეჰაგელი: კობიაშვილის სახით მთავარი სტაბილიზატორი გვიბრუნდება!

„ჰერტას" მთავარმა მწვრთნელმა **ოტო რეჰაგელმა** გელზენკირხენში განცდილი კრახის (0:4) შემდეგ თქვა, ბოლო ტურში ჩემს გუნდს სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი ელის, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ და შესაბამისად, ასეთ მატჩამდე ერთი კვირით ადრე ნამდვილად ვერ დავაკონკრეტებ, რომელმა ფეხბურთელებმა გამიცრუეს იმედებიო. სამაგიეროდ, 73 წლის სპეციალისტმა ეს საქმით დააკონკრეტა და 22 წლის გარემარბი **თუნაი თორუნი** გუნდიდან მოკვეთა.

თორუნი ის ფეხბურთელია, რომელმაც „ლევერკუზენთან" მატჩში (3:3) დუბლი შეასრულა და „ჰერტას" გმირი იყო. რეჰაგელმა „შალკესთან" მატჩში ეს უკანასკნელი მოედანზე მატჩის მიწურულს შეუშვა და როგორც ჩანს, თორუნმა იმდენად გაუცრუა იმედები, რომ „მეფე ოტომ" ფლანგის ნახევარმცველი 23-წლამდელთა გუნდში გადაისროლა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მატჩის შემდეგ „ჰერტას" გასახდელში რეჰაგელმა და თორუნმა იჩხუბეს! როგორც ირკვევა, თორუნმა მწვრთნელი გააკრიტიკა – შენი ვარჯიშები გადარჩენისთვის მებრძოლი კლუბის ვარჯიშებს არ შეეფერებაო.

*„თორუნს ერთ კვირას ვაძლევ იმისათვის, რომ კარგად დაფიქრდეს. თუ მიხვდება, რომ დააშავა და ბოდიშს მოიხდის, ერთი კვირის შემდეგ გუნდში დავაბრუნებ. იმედია, მე-16 ადგილს დავიკავებთ და გადარჩენის შანსს შევინარჩუნებთ. ასეთ შემთხვევაში, პლეი ოფის მატჩებში თორუნი ისევ განაცხადში იქნება,"* - უთხრა რეჰაგელმა „ბილდს".

შაბათს „ჰერტა" ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ჰოფენჰაიმს" მასპინძლობს და მხოლოდ მოგება უნდა. ამავდროულად, ბერლინელები „კიოლნისა" და „ბაიერნის" მატჩზეც იქნებიან დამოკიდებულები და იმედოვნებენ, რომ „კიოლნი" რეკორდმაისტერს ვერ მოუგებს. რეჰაგელი ამბობს, იმედი მაქვს, რომ „ჰოფენჰაიმთან" ურთულეს მატჩს მინიმუმ 60 000 ფანი დაესწრებაო. გუშინ საღამომდე ამ შეხვედრის მხოლოდ 40 000 ბილეთი იყო გაყიდული.

ამასობაში „ჰერტას" ყოფილი კაპიტანი **ანდრე მიატოვიჩი** გამოჯანმრთელდა და სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა, მაგრამ რეჰაგელი პირდაპირ ამბობს, რომ ანდრეს „ჰოფენჰაიმთან" არ ათამაშებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ამ კვირაში რეჰაგელი გუნდს მუდმივად დახურულ კარს მიღმა ავარჯიშებს. ოტო კმაყოფილია იმით, რომ „ჰოფესთან" შეხვედრისთვის **ლევან კობიაშვილთან** ერთად, **პეტერ ნიმაიერიც** ბრუნდება. შეგახსენებთ, კობი და ნიმაიერი დისკვალიფიცირებულები იყვნენ.

*„ლევანი და პეტერი ჩემი გუნდის მთავარი სტაბილიზატორები არიან,"* - აცხადებს რეჰაგელი.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

# ბარიოსი ჩინეთში წავიდა!

## ლუკასმა ჩემპიონთა ლიგაში თამაშს გუანჯოუს მაღალი ხელფასი ამჯობინა

ტრანსფერი, რომელიც აქამდე ჯერ კიდევ სავარაუდო იყო, გუშინ საბოლოოდ გადაწყდა და ოფიციალურად დადასტურდა: დორტმუნდის „ბორუსიას" 27 წლის თავდამსხმელი **ლუკას ბარიოსი** კარიერას ჩინეთში, კერძოდ, „გუანჯოუ ევერგრანდეში" გააგრძელებს.

ბარიოსმა „გუანჯოუსთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გერმანიის ჩემპიონი ჩინელებისგან ბარიოსის სანაცვლოდ 8.5 მილიონ ევროს ახლავე მიიღებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ლუკასი ჩინურ კლუბში ბევრ გოლს გაიტანს, ჩინელები „ბორუსიას" კიდევ 3.5 მილიონს გადაურიცხავენ. გაპარაგვაელებული არგენტინელს „გუანჯოუში" ძალიან მაღალი ხელფასი ექნება: ბარიოსს წელიწადში 6.7 მილიონ ევროს გადაუხდიან.

*„დორტმუნდის ფანებს უდიდესი მხარდაჭერისა და სიყვარულისთვის მადლობას ვუხდი. „ბორუსიაში" სამი შესანიშნავი წელი გავატარე და აქ გატარებული სამი სეზონი არასდროს დამავიწყდება,"* - უთხრა ლუკასმა „ბილდს".

*„ეს ლუკასის გადაწყვეტილებაა – მას ახალი თავგადასავლები სურდა და ჩინეთში წასვლაზე ამიტომაც დათანხმდა. ჩვენ არ გვსურდა მისი გაშვება, მაგრამ ვერც დავაკავებდით. რაც მთავარია, ბარიოსი „ბორუსიას" წინაშე უსამართლოდ არ მოქცეულა და მას ჩვენც კარგად მოვექეცით. პირველ ორ სეზონში მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა და ბევრი გოლიც გაიტანა, ამ სეზონში კი სასტარტოში ადგილი დაკარგა. ჩვენ ვერავის მივცემთ ძირითადში თამაშის გარანტიას. ლუკას ბარიოსს ყველაფრისთვის მადლობას ვუხდით და წარმატებებს ვუსურვებთ,"* - ეს „ბორუსიას" გენერალური მენეჯერის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** სიტყვებია.

### 39 გოლი 82 მატჩში

ბარიოსი დორტმუნდის „ბორუსიაში" 2009 წელს, ჩილედან (კოლო კოლო) გადავიდა და პირველივე სეზონში 19 გოლის გატანა მოახერხა. მეორე სეზონში მის ანგარიშზე 16 გოლი იყო, რითაც ბარიოსმა „ბორუსიას" შარშანდელ ჩემპიონობაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი ითამაშა. გასულ ზაფხულს ის კოპა ამერიკაზე სერიოზულად დაშავდა, რის გამოც „დორტმუნდის" ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა. ამ სეზონში გერმანიის ჩემპიონის ნომერ პირველი თავდამსხმელი და ბომბარდირი რობერტ ლევანდოვსკია (20 გოლი), ბარიოსმა კი სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ორჯერ ითამაშა (სულ 17 თამაში და 4 გოლი მიმდინარე სეზონში).

იანვარში მისი გადაბირება ინგლისურ „ფულჰემს" სურდა, მაგრამ ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა. გაირკვა, რომ ბარიოსს პრემიერლიგაში ახლაც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ „გუანჯოუმ" საუკეთესო პირობები შესთავაზა. ბუნდესლიგაში გატარებულ სამ სეზონში ბარიოსის ანგარიშზე სულ 39 გოლია (82 მატჩში).

**გოტფრიდ ლენცი**



ლუკას ბარიოსი დორტმუნდის პუბლიკას დაემშვიდობა

## უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტურის გადმოტანილი მატჩები

# ასე არ შეიძლება, ეს არასწორია

## ლივერპული თასის ფინალს ცუდად ხვდება



ჩელსი-ნიუკასლი. სტემფორდ ბრიჯზე ნიუკასლმა იფრინა

როგორც ჩანს, „ევერტონი“ „ლივერპულზე“ მაღლა დაასრულებს სეზონს - ეს კიდევ ერთი დასტურია, რომ ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი ტიტულოვანი კლუბისთვის სეზონი ჩავარდა.

ყოფილა შემთხვევა, „ლივერპულს“ „ფულჰემისთვის“ 10:0 მოუგია, მაგრამ აქამდე ჯერ ერთხელაც არ მომხდარა, ლონდონელებს მერსისაიდში 3 ქულა მოეპოვებინათ, მაგრამ **კენი დალგლიშის** ფორმაციის „ლივერპული“ ხომ ახალ ისტორიას უწერს მეტოქეებს. გოლი კი ლივერპულელმავე გაიტანა - **მარტინ შკრტელი** მარცხნიდან ჩაწოდებულმა ისე დააბნია, ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა - 0:1 და „ფულჰემი“ მეტოქეს ქულებით გაუთანაბრდა.

„წითლებს“ ასოციაციის თასის ფინალი ელით „უემბლიზე“, რაც მათ შემადგენლობასაც დაეტყო, ის არ იყო უძლიერესი. გოლი უკვე მე-5 წუთზე გავიდა, 20 წლის შვედმა **ალექს კაჩანიკლიჩმა** ფლანგიდან დაარტყა და სლოვაკმა მცველმაც მკერდით უხეიროდ მოიგერია ბურთი. მასპინძელთა საპასუხო შეტევას არ დაუხანებია, მაგრამ იმავე შკრტელს მეტოქის კართან სამიზნემ ულალატა. ათ წუთში **დონიმ პაველ პოზგრებნიაკს** მოუგო დუელი, თორემ ლონდონელები 2 ბურთის სხვაობით დაწინაურდებოდნენ. გათანაბრება „ლივერპულის“ 20 წლის ნახევარმცველ **ჯონჯო შელვეის** შეეძლო, მან მეკარე **შვარცერს** კი აჯობა, მაგრამ სტუმართა მცველმა **ჰანგელანდმა** კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

მეორე ტაიმში **დაუნინგის** გამოჩენამ მასპინძლები გამოაცოცხლა, **კეროლი** კიდევ უფრო აქტიური გახდა, კარგად თამაშობდა შელვეიც. თუმცა უფრო მწვავე მომენტები სტუმრებს ჰქონდათ, მაგალითად **დემპსის**, რომელმაც ვერ მოუგო დუელი იტალიელ დონის.

**კენი დალგლიში** (ლივერპული): *„ბიჭები თამაშზე შესაბამისი განწყობით არ გამოვიდნენ, ამიტომ მივიღეთ ეს შედეგი. ეს ძალიან ცუდია და არ შეიძლება ასე შენი სამუშაოს შესრულება, უბრალოდ, არ შეიძლება“.*

სამშაბათის მეორე პრემიერლიგურ მატჩში მეორე ლივერპულური გუნდი, „ევერტონი“ **პიტერ კრაუჩის** ძალზე კურიოზულმა ავტოგოლმა დააწინაურა, თუმცა მეორე ტაიმში „სტოკ სიტიმ“ ქულა იხსნა - **კამერონ ჯერომმა** სტუმართა კარი დალაშქრა. სხვათა შორის, მან ეს სწრაფ კონტრშეტევაზე მოახერხა - 1:1.

**ლივერპული-ფულჰემი 0:1**

**გოლი:** 0:1 შკრტელი (5 ს.კ.)

**სტოკი-ევერტონი 1:1**

**გოლები:** 0:1 კრაუჩი (44 ს.კ.), 1:1 ჯერომი (69)

**ბოლტონი-ტოტენჰემი 1:4**

**ბოლტონი (4-4-2):** ბოგდანი - ბოიატა, უიტერი, რიმი, რიკეტსი - იგლსი (83. მიაიჩი), რეო-კოკერი (65. ველა), მ. დევისი, პეტროვი - ნგოგი (65. კლასნიჩი), კ. დევისი.

**ტოტენჰემი (4-4-1-1):** ფრიდელი - უოლკერი, გალასი (87. ნელსენი), კაბული, როუზი - ლენონი (84. საა), სანდრო, მოდრიჩი, ბეილი - ვან დერ ვაარტი (79. ლივერმორი) - ადებაიორი.

**გოლები:** 0:1 მოდრიჩი (37), 1:1 რეო-კოკერი (51), 1:2 ვან დერ ვაარტი (60), 1:3 ადებაიორი (62), 1:4 ადებაიორი (69)

**გაფრთხილება:** ველა, იგლსი - უოლკერი

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 6-9; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11-11 (5-7); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 25 000

**ჩელსი-ნიუკასლი 0:2**

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ბერტრანი - მიკელი, მეირელეში (78. ლემპარდი) - რამირესი, მალუდა (61. დროგბა), სტარიჯი (46. მატა) - ტორესი.

**ნიუკასლი (4-3-3):** კრული - პერჩი, უილიამსონი, კოლოჩინი, სანტონი - კაბაი, ტიოტე (69. რ. ტეილორი), გუტიერესი - ბენ არფა (88. ობერტანი), სისე, ბა (74. ამეობი).

**გოლები:** 0:1 სისე (19), 0:2 სისე (93)

**გაფრთხილება:** ტიოტე, კაბაი, კრული

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 9-7; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 13-10 (2-6); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 41 559

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 36 | 26 | 5 | 5 | 88-27 | 83 |
| 2. იუნაიტედი | 36 | 26 | 5 | 5 | 86-33 | 83 |
| 3. არსენალი | 36 | 20 | 6 | 10 | 68-44 | 66 |
| 4. ტოტენჰემი | 36 | 19 | 8 | 9 | 63-40 | 65 |
| 5. ნიუკასლი | 36 | 19 | 8 | 9 | 55-46 | 65 |
| 6. ჩელსი | 36 | 17 | 10 | 9 | 62-41 | 61 |
| 7. ევერტონი | 36 | 14 | 10 | 12 | 47-39 | 52 |
| 8. ლივერპული | 36 | 13 | 10 | 13 | 43-38 | 49 |
| 9. ფულჰემი | 36 | 13 | 10 | 13 | 46-48 | 49 |
| 10. ვესტ ბრომვიჩი | 36 | 13 | 7 | 16 | 41-47 | 46 |
| 11. სანდერლენდი | 36 | 11 | 12 | 13 | 44-43 | 45 |
| 12. სუონსი | 36 | 11 | 11 | 14 | 43-49 | 44 |
| 13. სტოკი | 36 | 11 | 11 | 14 | 34-50 | 44 |
| 14. ნორვიჩი | 36 | 11 | 10 | 15 | 47-63 | 43 |
| 15. ასტონ ვილა | 36 | 7 | 16 | 13 | 36-50 | 37 |
| 16. უიგანი | 36 | 9 | 10 | 17 | 38-60 | 37 |
| 17. ქპრ | 36 | 9 | 7 | 20 | 40-63 | 34 |
| 18. ბოლტონი | 36 | 10 | 4 | 22 | 42-73 | 34 |
| 19. ბლექბერნი | 36 | 8 | 7 | 21 | 47-75 | 31 |
| 20. ვულვზი | 36 | 5 | 9 | 22 | 38-79 | 24 |

**ბომბარდირები:** 28 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 26 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 22 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი); 16 - კლინტ დემპსი (ფულჰემი), დემბა ბა (ნიუკასლი), იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი); 15 - ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი).

**მომდევნო ტური**

5 მაისი: არსენალი-ნორვიჩი.

6 მაისი: ნიუკასლი-სიტი, ასტონ ვილა-ტოტენჰემი, ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი, ფულჰემი-სანდერლენდი, ქპრ-სტოკი, ვულვზი-ევერტონი, იუნაიტედი-სუონსი.

7 მაისი: ბლექბერნი-უიგანი.

8 მაისი: ლივერპული-ჩელსი.



მარტინ შკრტელის ავტოგოლი

ყველაზე მაღალანაზღაურებადი კლუბები


ეროვნული ბიბლიოთეკა

სესკ ფაბრეგასს, ლიონელ მესის... მოკლედ, საშუალო ბარსელონელს ყველაზე დიდი შემოსავალი აქვს სპორტში

# ფეხბურთი: 10-დან 7

## ბარსელონა და რეალი აქაც ლიდერობენ

ჟურნალ ESPN-ის სპეციალურმა ჯგუფმა შეისწავლა სპორტული გუნდების სახელფასო ფონდები და დაადგინა, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე მეტ ხელფასს ახლა საფეხბურთო „ბარსელონა“ გასცემს. კატალონიურ გრანდს საშუალოდ ერთი სპორტსმენის შენახვა 8,7 მილიონი დოლარი უჯდება სეზონში. კვლევაში სპორტის 7 სახეობის, 10 ქვეყნის, 14 ლიგის, 278 გუნდი მოხვდა, რომლებშიც დასაქმებულია 7 925 ათლეტი. მათი ჯამური ხელფასი 15,7 მილიარდი დოლარია!

მეორე ადგილზეც საფეხბურთო კლუბია, თანაც „ბარსას“ უშუალო კონკურენტი - მადრიდის „რეალი“. „რეალში“ ფეხბურთელის საშუალო შემოსავალი (ხელფასი და ჰონორარი) სეზონში საშუალოდ 7,8 მილიონი დოლარია.

*„რეალი“ და „ბარსელონა“ მსოფლიოს ორი ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო გუნდია. ამიტომაც, სულაც არ არის საკვირველი, რომ ეს ორი კლუბი ლიდერობს მთელ მსოფლიოში“*, - აცხადებს კვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, „სპორტინგ ინტელიჯენსის“ რედაქტორი **ნიკ ჰარისი.**

„ბარსელონას“ და „რეალის“ გარდა მსოფლიოს 10 ყველაზე მაღალანაზღაურებად კლუბში კიდევ ხუთია საფეხბურთო. რაც სპორტის ამ სახეობის მზარდ პოპულარულობაზე მეტყველებს მთელ მსოფლიოში. სამეულს ინგლისური „მანჩესტერ სიტი“ ასრულებს, მეოთხე ადგილზეც საფეხბურთო გუნდია - „ჩელსი“. ათეულში მოხვდნენ აგრეთვე „მილანი“ (მე-7 ადგილი), „ბაიერნი“ (მე-8) და „ინტერი“ (მე-10).

ათეულში მხოლოდ სამი არასაფეხბურთო კლუბია (შარშან ასეთი 5 იყო): „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ (კალათბურთი, მე-5 ადგილი), „ნიუ იორკ იანკისი“ (ბეისბოლი, მე-6) და „ფილადელფია ფილისი“ (ბეისბოლი, მე-9).

**ტოპ-20**

| კლუბი | სპორტი | ლიგა | კვ. ს/ხელ. |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | ფეხბურთი | ლა ლიგა | $166,934 |
| 2. რეალი | ფეხბურთი | ლა ლიგა | $149,935 |
| 3. მანჩ. სიტი | ფეხბურთი | პრემიერლიგა | $142,380 |
| 4. ჩელსი | ფეხბურთი | პრემიერლიგა | $130,690 |
| 5. ლეიკერსი | კალათბურთი | NBA | $120,732 |
| 6. იანკისი | ბეისბოლი | MLB | $118,968 |
| 7. მილანი | ფეხბურთი | სერია A | $117,399 |
| 8. ბაიერნი | ფეხბურთი | ბუნდესლიგა | $113,609 |
| 9. ფილადელფია | ბეისბოლი | MLB | $111,884 |
| 10. ინტერი | ფეხბურთი | სერია A | $109,633 |
| 11. მან. იუნაიტედი | ფეხბურთი | პრემიერლიგა | $106,181 |
| 12. სპურსი | კალათბურთი | NBA | $104,810 |
| 13. ეინჯელსი | ბეისბოლი | MLB | $102,444 |
| 14. ბულზი | კალათბურთი | NBA | $102,386 |
| 15. სელტიკსი | კალათბურთი | NBA | $102,335 |
| 16. არსენალი | ფეხბურთი | პრემიერლიგა | $101,541 |
| 17. ჰითი | კალათბურთი | NBA | $101,186 |
| 18. ლივერპული | ფეხბურთი | პრემიერლიგა | $100,587 |
| 19. რედ სოქსი | ბეისბოლი | MLB | $97,956 |
| 20. გრიზლისი | კალათბურთი | NBA | $96,495 |

*შენიშვნა: კვ. ს/ხელ - კვირის საშუალო ხელფასი*

**ამბები**

### ერიქსონმა ინგლისს არჩევანი მოუწონა

ინგლისურ ფეხბურთში მთავარი სალაპარაკო თემა, **როი ჰოჯსონის** ეროვნული ნაკრების თავკაცად დანიშვნაა. გამოცდილ სპეციალისტს ინგლისის ნაკრები ევრო 2016-ის ჩათვლით ანდეს. ჰოჯსონის დანიშვნამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აი, რას ამბობს ნაკრების ყოფილი თავკაცი, შვედი **სვენ-გორან ერიქსონი:** *„როისთან კარგა ხანია, ვმეგობრობ. ის ძალიან მოწესრიგებულია, ფეხბურთი დიდებულად ესმის და მრავალ ქვეყანაში იყო წარმატებული. დარწმუნებული ვარ, ნაკრებს ძალიან გამოადგება. ბევრი ამბობს, რომ ნაკრებისთვის როი შეუფერებელი სპეციალისტია. ისინი ცდებიან, ჰოჯსონი კარგი, ქარიზმატული ადამიანია“*, - განუცხადა შვედმა BBC-ის.

### ვერტონგენი იაფად

„ტოტენჰემ ჰოტსპური“ კიდევ უფრო ახლოსაა „აიაქსის“ ბელგიელი მცველის, **იან ვერტონგენის** ხელში ჩაგდებასთან. შეგახსენებთ: ვერტონგენის შეძენა „დეზების“ ლონდონელ მოქიშპე „არსენალსაც“ სურს. „დე ტელეგრააფი“ ესაუბრა 25 წლის მცველის აგენტ **მუსტაფა ნახილს**, რომელმაც დაადასტურა, მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ ვერტონგენი „უაით ჰარტ ლეინზე“ ალმოჩნდეს 8,5 მილიონი ევროს სანაცვლოდ. ვერტონგენით კიდევ ერთი ინგლისური კლუბია დაინტერესებული, „ნიუკასლ იუნაიტედი“. ფეხბურთელს სულ ორი მოთხოვნა ჰქონია, მისმა ახალმა გუნდმა აუცილებლად უნდა ითამაშოს ჩემპიონთა ლიგაზე, ხოლო მას რეგულარულად ჰქონდეს თამაშის საშუალება.

### აზარი სიტისია?

ინგლისური სპორტული მედია ირწმუნება, რომ ახლა ბელგიელი ვარსკვლავის, **ედენ აზარისთვის** ბრძოლაში „მანჩესტერ სიტი“ დაწინაურდა. შეგახსენებთ, რომ აზარის საბაზრო ფასი, არც მეტი, არც ნაკლები, 37 მილიონი ევროა. „სიტის“ ერთ-ერთი მენეჯერის, ადრე ცნობილი ფრანგი ფეხბურთელის, **პატრიკ ვიეირას** წყალობით, ეს კლუბი უფრო ახლოსაა „ლილის“ ლიდერის ხელში ჩაგდებასთან, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედი“ ან „ტოტენჰემი“. „სიტი“ აზარს კვირაში 125 ათას ევროს და ძირითადში რეგულარულ ადგილს სთავაზობს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

კაიზერის მოსაზრება

# ბეკენბაუერი: ბაიერნს რობენი სჭირდება!

## ფრანცი დარწმუნებულია, რომ არიენი მიუნხენში დარჩება



ფრანც ბეკენბაუერი: რობენის ფანი ვარ!

„ლელოს“ მკითხველი ინფორმირებულია, რომ არიენ რობენი „ბაიერნთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებას აყოვნებს. 28 წლის ჰოლანდიელს რეკორდმაისტერთან ხელშეკრულების გაგრძელება გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ფრანკ რიბერისთან ჩხუბის შემდეგ აზრი შეიცვალა და ფიქრი თავიდან დაიწყო. შესაბამისად, მიუნხენში დიდი ვნებათაღელვა დაიწყო: ხელმძღვანელებს და გულშემატკივრებს რობენის დაკარგვა არ სურთ. „ბილდი“ ამ საკითხთან დაკავშირებით „ბაიერნის“ საპატიო პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს გაესაუბრა.

**- ჰერ ბეკენბაუერ, არიენ რობენი „ბაიერნთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარის თქმას აღარ გამორიცხავს...**

- იმედი მაქვს, რომ კონტრაქტს, რომელიც ჯერ კიდევ ორი თვის წინ შესთავაზეს, ხელს მოაწერს, რადგან „ბაიერნს“ რობენი ძალიან სჭირდება. სანამ რეკორდმაისტერი 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით თამაშობს, რობენი მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე შეუცვლელი და ფასდაუდებელი ფეხბურთელია. ისევე, როგორც რიბერი მარცხნივ. „ბაიერნი“ დღეს მეტწილად სწორედ ამ ორ ფეხბურთელზეა დამოკიდებული. არიენი შესანიშნავი დრიბლიორია, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. მან წინა სეზონში არაერთი უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა და წელსაც, „რეალთან“ გატანილი პენალტით ფინალის კარი გაგვიღო. მე რობენის ფანი ვარ!

**- ნუთუ? დორტმუნდის „ბორუსიასთან“ გაცუდებული თერთმეტმეტრიანის შემდეგ თქვენ რობენი ძალიან მაგრად გააკრიტიკეთ...**

- ჰო და ეს კრიტიკა უკან არც მიმაქვს, რადგან ვფიქრობ, რომ პენალტი არასდროს უნდა დაარტყას იმ ფეხბურთელმა, რომელმაც მოიპოვა. ისიც ვიცი, რომ ამ კრიტიკის გამო არიენი ჩემზე განაწყენებულია, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. მე მართლა მისი ფანი ვარ.

**- არიენი ამბობს, რიბერისთან ჩხუბის შემდეგ ხელმძღვანელებმა მხარდაჭერა არ გამომიცხადესო და ღიად საუბრობს იმაზე, რომ ნაწყენია. ეთანხმებით?**

- რობენმა უნდა გაიგოს, რომ ული ჰიონესი და კარლ-ჰაინც რუმენიგე ლოგიკურად მოიქცნენ, როცა გასახდელში მასსა და რიბერის შორის მომხდარი ინციდენტი ჩაფარცხეს. „რეალთან“ პირველი მატჩის შესვენებისას, „ბაიერნის“ გასახდელში საკმაოდ სამარცხვინო რამ მოხდა და რაკი ეს ყველამ გაიგო, რუმენიგე და ჰიონესი სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ. პირად საუბარში მათ რობენს ყველაფერი ისე უთხრეს, როგორც საჭირო იყო. არა მგონია, საჯარო საუბარი უფრო მნიშვნელოვანი იყოს.

**- ჰო, მაგრამ ახლა ფაქტია, რომ დიდი შანსია, რობენმა „ბაიერნთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი სწორედ ამიტომ თქვას...**

- არიენმა იცის, რომ „ბაიერნი“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და რომ მას აქ ყველა აფასებს. რამდენადაც ვიცი, რიბერისაც აპატია ის, რომ ამ უკანასკნელმა მუშტი უთავაზა. ამიტომაც მჯერა, რომ ბოლოს ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა, რობენი ახალ კონტრაქტს გააფორმებს და „ბაიერნში“ დარჩება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# პისარო მიუნხენის ნაცვლად გლადბახში?

## რაკი ბაიერნს ჟირუ ურჩევნია, კლაუდიო მიონხენგლადბახზე დაფიქრდა

თითქმის გადაწყვეტილ ტრანსფერს ჩაშლის საფრთხე ემუქრება: დიდი შანსია, რომ „ვერდერის“ 33 წლის თავდამსხმელი **კლაუდიო პისარო** მიუნხენის „ბაიერნში“ არ გადავიდეს! მიზეზი ის არის, რომ ბავარიული გრანდის ხელმძღვანელები ფრანგ ცენტრფორვარდ **ოლივიე ჟირუს** ანიჭებენ უპირატესობას და თუ ამ უკანასკნელს გადაიბირებენ, „ბაიერნს“ პისარო აღარ დასჭირდება. გაზეთ „კიოლნერ ექსპრესის“ ცნობით, პისაროს მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ შეფებმა დაუმიზნეს.

ხსენებული გამოცემა იტყობინება, რომ „გლადბახი“ მზადაა, პისაროს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზოს და ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიაც მისცეს. ეს ვეტერანი პერუელი გოლეადორისთვის მართლაც იდეალური ვარიანტია, რადგან „გლადბახი“ მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, პისარო კი სწორედ ამაზე ოცნებობდა. ამრიგად, თუ „ბაიერნმა“ „მონპელიეს“ 25 წლის ფორვარდ ჟირუს ხელში ჩაგდება შეძლო, პისაროს ალბათ „გლადბახში“ ვიხილავთ.

**მარკო როისის** (დორტმუნდში მიდის), **რომან ნოიშტედტერისა** (შალკე) და **დანტეს** (ბაიერნი) ტრანსფერებიდან „გლადბახი“ დაახლოებით 25 მილიონ ევროს მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მიონხენგლადბახელებს პისაროს ხელფასის დაფინანსება შეუძლიათ.

ამასობაში, კლაუდიომ ტრავმა მიიღო და დიდი შანსია, რომ შაბათს, ბუნდესლიგის ბოლო ტურში ვერ ითამაშოს. შესაბამისად, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პისაროს „ვერდერის“ ფორმით ვეღარასოდეს ვიხილავთ.




კლაუდიო პისარო ვერდერიდან მიდის

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვიზემ დაადასტურა: რეალს ვუნდივარ!

## საქმე საქმეზე თუ მიდგა, ტიმი კასილიასის ჩრდილში ყოფნას სიამოვნებით დათანხმდება

როგორც კი გაირკვა, რომ 30 წლის გერმანელი მეკარე **ტიმ ვიზე** „ვერდერთან“ ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს და ზაფხულში ბრემენიდამ აიბარგება, გამოცდილ კიპერზე დიდი მითქმა-მოთქმა დაიწყო. ვიზესთან მიმართებაში არაერთი კლუბის სახელმა გაიჟღერა – მათ შორის იყო მადრიდის „რეალიც“. გუშინ ტიმმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ „სამეფო გუნდს“ მართლაც სურს მისი გადაბირება.

*„ასეთი ცნობები, როგორც წესი, უსაფუძვლოდ არ ვრცელდება. ჩემს მრჩეველს მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელებთან მართლაც აქვს კონტაქტი, თუმცა კონკრეტულ მოლაპარაკებამდე ჯერ საქმე არ მისულა. ფაქტია, რომ „რეალის“ ხელმძღვანელები ჩემზე სერიოზულად ფიქრობენ,“* - უთხრა ვიზემ „კრაისცაითუნგს“.

შეგახსენებთ, რომ ვიზეს „ვერდერიდან“ წასვლა უფასოდ შეუძლია, რაც იმას ნიშნავს, რომ „რეალი“ გამოცდილ მეკარეს ხელში ყოველგვარი საზღაურის გარეშე ჩაიგდებს. ჩვენი ესპანელი კოლეგების ცნობით, „რეალის“ გერმანელი ფეხბურთელები **მესუთ იოზილი** და **სამი ხედირა** ცდილობენ, ბოსები დაარწმუნონ, რომ ვიზეს ყიდვა სწორი ნაბიჯი იქნება. ცხადია, „რეალს“ ტიმი მეორე მეკარედ სურს, რადგან ვიზეს მხრიდან **იკერ კასილიასის** ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდება გამორიცხულია. გერმანული მედია იუწყება, რომ ვიზეს გადაბირება „ჰოფენჰაიმს“ და მილანურ კლუბებსაც სურთ...




ტიმ ვიზე შეიძლება რეალში აღმოჩნდეს

სიახლეები




ლუუკ დე იონგი

### გლადბახი: როისს დე იონგი შეცვლის?

„გლადბახი“ **მარკო როისის** შემცვლელის ძებნას განაგრძობს და „ბილდის“ ინფორმაციით, მიონხენგლადბახელთა მთავარი მწვრთნელის, **ლუსიენ ფავრის** ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი „ტვენტეს“ 21 წლის გარემარბი **ლუუკ დე იონგია.** ეს ცნობა „ტვენტეს“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა **იური მულდერმა** დაადასტურა.

თუმცა ბუნდესლიგის მეოთხეადგილოსანი არ არის ერთადერთი კლუბი, რომელსაც ახალგაზრდა გარემარბის გადაბირება სურს. ფეხბურთელის აგენტმა ინგლისურ გაზეთ „სანს“ უთხრა, ლუუკს „ლივერპულის“ სკაუტებიც აკვირდებიანო. მისი თქმით, ლუუკის გადაბირება კიდევ სამ ისეთ კლუბს სურს, რომლებიც მომავალ სეზონში „გლადბახის“ დარად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ. „ბილდი“ იმასაც წერს, რომ „ტვენტე“ დე იონგს მინიმუმ 12 მილიონ ევროდ აფასებს, მიონხენგლადბახელები კი ჰოლანდიელებს ჯერ მხოლოდ 8 მილიონს სთავაზობენ. დე იონგს „ტვენტესთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს.

### ფეე აინტრახტში რჩება

ორი კვირის წინ ფრანკფურტის „აინტრახტმა“ პირველი ბუნდესლიგის საგზური გაინაღდა, გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ მეორე ბუნდესლიგის მეორეადგილოსნის მთავარმა მწვრთნელმა **არმინ ფეემ** ფრანკფურტელებთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2013 წლამდე აქვს.

*„ამ გუნდის პოტენციალის მჯერა და ახალი კონტრაქტი ამიტომაც გავაფორმე. დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო სეზონში პირველ ბუნდესლიგაში დავრჩებით,“* - განაცხადა ფეემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. შეგახსენებთ, რომ „აინტრახტი“ პირველი ბუნდესლიგიდან შარშან გავარდა და როგორც ხედავთ, ფეემ გუნდი ელიტაში პირველივე სეზონში დააბრუნა.

### დერდიოკი ჰოფენჰაიმში

გაზეთ „კიოლნერ ექსპრესის“ ინფორმაციით, „ლევერკუზენის“ შვეიცარიელი თავდამსხმელი **ერენ დერდიოკი** კარიერას „ჰოფენჰაიმში“ გააგრძელებს. 23 წლის ნინახაზელი ჰოფენჰაიმელებს ყველაფერზე შეუთანხმდა და ტრანსფერი ოფიციალურად დღეს დადასტურდება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ჰოფე“ „ლევერკუზენს“ დერდიოკში 6 მილიონ ევროს გადაუხდის.

### მინტალი ნიურნბერგში ბრუნდება

„ნიურნბერგის“ ყოფილი ლიდერი **მარეკ მინტალი** ფრანკენლანდურ კლუბში ბრუნდება. 34 წლის შემტევმა ნახევარმცველმა ეს სეზონი მეორე ბუნდესლიგაში, კერძოდ როსტოკის „ჰანზაში“ გაატარა და მას მერე, რაც გაირკვა, რომ „ჰანზა“ მეორე ბუნდესლიგიდან ვარდება, მინტალმა როსტოკული კლუბის დატოვება გადაწყვიტა. „ნიურნბერგში“, სადაც მარეკი 2003-დან 2011 წლამდე თამაშობდა, 2005 წელს კი 24 გოლით სულაც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მინტალი არა პირველ, არამედ მოყვარულთა გუნდში 2015 (რეგიონალლიგა) ითამაშებს. კარიერის დასრულების შემდეგ კი სამწვრთნელო ლიცენზიის აღებას შეეცდება.

### ზეელერი: ჰამბურგმა ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყოს

„ჰამბურგისა“ და გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **უვე ზეელერი** შეწუხებულია იმით, რომ ჩრდილოგერმანული კლუბი ბუნდესლიგაში ბოლოს ძალიან ცუდად ასპარეზობს, ამ სეზონში კი ძლივს გადაურჩა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას. 75 წლის ლეგენდარული ბომბარდირის აზრით, „ჰამბურგის“ ხელმძღვანელებმა ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყონ.

*„ჩემი აზრით, HSV-ში ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთადერთი გუნდი, რომელიც ბუნდესლიგიდან არასდროს გავარდნილა, მომავალ სეზონში აუცილებლად მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდება,* - უთხრა ზეელერმა „ბილდს“ და იქვე დასძინა, *- წელს მაგრად გაუმართლათ, რადგან სხვა გუნდები უფრო სუსტები იყვნენ.“*

### შოვკოვსკი ევროზე ვერ ითამაშებს

ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძლის, უკრაინის ნაკრებს ევრო 2012-ზე ასპარეზობა ძირითადი მეკარის, **ალექსანდრ შოვკოვსკის** გარეშე მოუწევს. კიევის „დინამოს“ ვეტერანი მეკარე ტრავმირებულია და კონტინენტის პირველობის დაწყებამდე მისი გამოჯანმრთელება საბოლოოდ გამოირიცხა.

37 წლის შოვკოვსკის არყოფნა უკრაინის ნაკრებისთვის სერიოზული დარტყმაა – მას ქვეყნის პირველი გუნდის ფორმით 92 მატჩი აქვს ჩატარებული. შეგახსენებთ, რომ მისი შემცვლელი **ალექსანდრ რიბკა** დისკვალიფიცირებულია (სისხლში აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს), კიდევ ერთი ცნობილი უკრაინელი მეკარე **ანდრეი დიკანი** კი შოვკოვსკის დარად, ასევე ტრავმირებული გახლავთ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXVI ტური

# რეალი 32-ედ!

## მესიმ რონალდოს გაუსწრო



რეალი ზეიმობს სან მამესზე

მაშ ასე, 2008 წლის შემდეგ მადრიდის „რეალი“ ჩემპიონია. უნდოდათ ეს თუ არ უნდოდათ ბასკებს, „სამეფო კლუბმა“ ტიტული სწორედ მათ „სან მამესზე“ გაინაღდა. სხვათა შორის, პირველად ისტორიაში. **ჟოზე მოურინიო** გახდა პირველი სპეციალისტი, რომელმაც ოთხი ძლიერი ევროპული პირველობის ტიტული მოიგო: პორტუგალიის, ინგლისის, იტალიის და ესპანეთის. „რეალს“ საერთოდ არ გაუჭირდა ბილბაოში, მიუხედავად იმისა, რომ მე-12 წუთზე **კრიშტიანო რონალდომ** კიდევ ერთხელ (ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალს ვგულისხმობთ) გააფუჭა პენალტი. ანგარიში ბასკური წარმოშობის არგენტინელმა **გონსალო იგუაინმა** გახსნა, შემდეგ კი რონალდოს პასით **მესუთ იოზილმა** ორამდე გაზარდა უპირატესობა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კრიშტიანო რონალდომ თავით გაიტანა სეზონის 44-ე გოლი და ცხადი გახდა, რომ „რეალი“ სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე დაეუფლებოდა 32-ე ტიტულს...

მანამდე „ბარსელონამ“ 4:1 მოუგო „მალაგას“. ჰეთ თრიკი შეასრულა **ლეო მესიმ** (ორი გოლი პენალტით) და ახლა ბომბარდირთა დავას არგენტინელი 46 გოლით ჩაუდგა სათავეში.

„ყვითელმა წყალქვეშა ნავმა“ ასტურიაში ამოყვინთა ფსკერიდან - „ვილიარეალს“ სერიოზული საფრთხე აღარ ემუქრება, ვალენსიური კლუბი ელიტაში რჩება. ამისთვის მას დიდმა ბრძოლამ მოუწია „სპორტინგთან“, 3:2 მოუგო, ფაქტობრივად გაწირა კიდეც.

მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელმა **მიგელ-ანხელ ლოტინამ** თქვა, რომ ასეთ არაჯანსაღ სიტუაციაში ჯერ არასდროს მოხვედრილა, ხოლო მასპინძელთა თავკაცი **ხავიერ კლემენტე** ამტკიცებდა, რომ ამ შეხვედრას უცხოელი არბიტრები უნდა მომსახურებოდნენ.

მატჩის განმავლობაში მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა საგნები ცვიოდა (მათ შორის ლუდის ცარიელი ქილა, წყლით სავსე ბოთლი, კენჭები). ერთ-ერთი ასეთი ნივთი „ვილიარეალის“ სათადარიგო გოლკიპერს, **სესარ სანჩესს** მოხვდა. „რეალისა“ და „ვალენსიას“ ყოფილმა გოლკიპერმა, რომელიც ახლა 40 წლისაა და პენსიას „ელ სუბმარინოს“ სკამზე ატარებს, ველარ მოითმინა და „სპორტინგის“ ფანებს გაუვარდა. რომ არა პოლიცია, იქ რალაც საშინელება დატრიალდებოდა, რადგან სესარი გაჩერებას არ აპირებდა. რეფერიმ „ვილიარეალის“ მეკარე გააძევა, ისევე როგორც მასპინძელთა თავკაცი - ხავიერ კლემენტე.

მოედანზეც არანაკლები ბატალიები მიმდინარეობდა. ანგარიში სტუმართა **მარიო გასპარმა** მას მერე გახსნა, რაც ბრუნომ ჯერ მეკარესთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა, თუმცა პასის გაკეთება მაინც მოასწრო. 39-ე წუთზე **ლორამ** შორი მანძილიდან გაათანაბრა, რაც **დიეგო ლოპესის** „დამსახურება“ უფროა. ტაიმის მიწურულს **ბრუნო გრეგორიმ** მოცელა. ფრანგი მცველის ეს შეცდომა ძალიან ძვირი დაუჯდა „სპორტინგს“. არავინ იცის, რა მოხდებოდა მეორე ტაიმში, **სენას** პენალტით რომ არ დაეწინაურებინა თავისიანები.

ხუთიდან ყველაზე ლამაზი **ერნან პერესის** გოლი იყო, შეიძლება ითქვას, 23 წლის ნახევამრცველის გოლმა, „ვილიარეალი“ კატასტროფისგან იხსნა. მატჩის მიწურულს **ალეხანდრო გალვესმა** ერთი ბურთი გაქვითა - 2:3. სწორედ გოლების შემდეგ მოხდა სესარისა და კლემენტეს ინციდენტები.

„გრანადამ“ „ესპანიოლის“ 2:1 ძლევით გადაწყვიტა საჭირბოროტო საკითხი - ანდალუსიური კლუბი უკან, სეგუნდაში არ ჩაბრუნდება. ორივე გოლი მასპინძელთაგან ნიგერიელმა **ოდიონ იგჰალომ** გაიტანა. ბარსელონელთაგან თავი შორი დისტანციიდან მცველმა **დიდაკ ვილამ** გამოიჩინა. „ესპანიოლს“ ევროსაგზურის მოპოვების თეორიული შანსიღა დარჩა. ისევე როგორც, „ხეტაფეს“, რომელმაც უკვე გავარდნილ „რასინგს“ ვერ მოუგო - 1:1.

### ატლეტიკო-სოსიედადი 1:1

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, დომინგესი, ფილიპე ლუიში - მ. სუარესი, გაბი - ადრიან ლოპესი (76. დიეგო), კოკე, არდა თურანი (55. სალვიო) - ფალკაო (86. გოდინი).

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, დემიდოვი, მ. გონსალესი, კადამურო - ელუსტონდო, ილარამენდი (76. ხ. ლორენტე), ჩაბი პრიეტო, ზურუტუზა, გრიზმანი (79. ველა) - აგირეჩე (58. იფრანი).

**გოლები:** 1:0 გაბი (54), 1:1 ველა (91)

**შენიშვნა:** რონალდომ ვერ გაიტანა პენალტი (12)

**გაფრთხილება:** სუარესი, გაბი, ფალკაო - ზურუტუზა

**გაძევება:** გაბი (73)

**კუთხური:** 6-10; **ჯარიმა:** 14-9; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 8-10 (1-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 48 000

### ბარსელონა-მალაგა 4:1

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, მასკერანო, პუიოლი (67. ბარტრა), ადრიანო - ფაბრეგასი, კეიტა, ინიესტა (75. აფელაი) - კვენკა, მესი, პედრო (84. ტელიო).

**მალაგა (4-2-3-1):** კამენი - გამესი, ს. სანჩესი, დემიკელისი, ელიზეუ - ნაჩო კამაჩო, დუდა - პორტილიო, ბუონანოტე (60. სება ფერნანდესი), კასორლა (67. რესიო) - რონდონი (60. ვან ნისტელროი).

**გოლები:** 1:0 პუიოლი (13), 1:1 რონდონი (26), 2:1 მესი (35), 3:1 მესი (59), 4:1 მესი (64)

**გაფრთხილება:** პედრო, ფაბრეგასი - კამაჩო, დუდა

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 11-11 (6-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 88 000

### სევილია-ბეტისი 1:2

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი - ლუნა, ფასიო, კალა, ფ. ნავარო - მედელი, ტროხოვსკი (74. ბ. დიავარა) - ხესუს ნავასი, დელ მორალი (85. ლუის ალბერტო), რეიესი (58. რაკიტიჩი) - ნეგრედო.

**ბეტისი (4-4-2):** ფაბრისიო - ნელსონი (40. ჩიკა), პაულაუ, დორადო, ნაჩო - პოსუელო, ბენატი, ირინეი (64. კანიასი), მონტერო (78. ხ. პერეირა) - რ. კასტრო, სანტა კრუსი.

**გოლები:** 1:0 ნეგრედო (5), 1:1 ბენატი (43), 1:2 ბენატი (92)

**გაფრთხილება:** ნეგრედო, ფასიო, ტროხოვსკი, მედელი - ბენატი, დორადო, მონტერო, კანიასი

**გაძევება:** მედელი (92)

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12-15 (3-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 42 000

### მალიორკა-ვალეკანო 1:0

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ნსუე (87. ბიგასი), ჩიკო, რამისი, პ. კასერესი - პერეირა (83. სენდროსი), მარტი, პინა, გ. კასტრო - ვიქტორი (46. ალფარო), ჰემედი.

**რაიო ვალეკანო (5-3-2):** კობენიო - ტიტო, არიბასი, ლაბაკა, პულიდო (67. ლ. ბანგურა), კასადო - ტრაშორასი, მოვილია (84. მიჩელი), მიჩუ - ტამუდო (81. დელიბაშიჩი), დ. კოშტა.

**გოლი:** 1:0 რ. კასტრო (61)

**გაფრთხილება:** ჩიკო, რამისი - კასადო, პულიდო, არიბასი, ლ. ბანგურა

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 16-8; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 20-15 (8-6); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 14 500

### სარაგოსა-ლევანტე 1:0

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - პ. ალვარესი, და სილვა, პარედესი, აბრაამი - სუკულინი (57. პინტერი), რუბენ მიკაელი - ე. ორიოლი (67. ლუის გარსია), აპონიო, ლაფიტა (90. ობრადოვიჩი) - პოშტიგა.

**ლევანტე (4-3-3):** მუნუა - პ. ლოპესი, ბალესტეროსი, კაბრალი, ხუანფრანი - ხ. ტორესი, ფარინოსი (46. ესტრადა), იბორა (57. ელ ზარი) - ვალდო, ლეზალი, ბოტელიო (79. ხუანლუ).

**გოლი:** 1:0 ე. ორიოლი (10)

**გაფრთხილება:** ალვარესი, ლაფიტა, პოშტიგა, რობერტო - იბორა, კაბრალი, ლოპესი, ტორესი

**კუთხური:** 2-10; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 12-11 (5-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 32 000

### ვალენსია-ოსასუნა 4:0

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ბარაგანი, რამი, რ. კოშტა, ალბა - ალბელდა (70. პარეხო), ტინო კოსტა - პ. ერნანდესი, ჟონასი, მატიო (51. პიატი) - სოლდადო (46. ადურისი).

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, ლოლო, როვერსიო, დამია - პუნიალი, ნეკუნამი - ლამა, რ. გარსია, ნინო (81. ტიმორი) - ლეკიჩი.

**გოლები:** 1:0 ადურისი (77), 2:0 ჟონასი (83), 3:0 ადურისი (87), 4:0 ჟონასი (88)

**გაფრთხილება:** რამი - დამია, ბერტანი, ლეკიჩი, როვერსიო, ლოლო

**გაძევება:** ლეკიჩი (45. შესვენებისას)

**კუთხური:** 17-2; **ჯარიმა:** 9-10; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 15-8 (8-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 39 500

### ბილბაო-რეალი 0:3

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ეკიზა, სან ხოსე (46. ირაოლა), ხ. მარტინესი, აურტენეჩე - დე მარკოსი, ი. პერესი, სუსაეტა - ი. გომესი, ფ. ლორენტე, ტოკერო.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - კალეხონი (87. მარსელო), იოზილი (78. გრანერო), რონალდო - იგუაინი (76. ბენზემა).

**გოლები:** 0:1 იგუაინი (16), 0:2 იოზილი (20), 0:3 რონალდო (50)

**გაფრთხილება:** მარტინესი, სან ხოსე, ტოკერო, პერესი - რამოსი, კოენტრაო, არბელოა, ალონსო, იოზილი

**გაძევება:** ხავი მარტინესი (73)

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 8-12 (3-11); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 48 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 36 | 30 | 4 | 2 | 115-30 | 94 |
| 2. ბარსელონა | 36 | 27 | 6 | 3 | 108-27 | 87 |
| 3. ვალენსია | 36 | 16 | 10 | 10 | 58-43 | 58 |
| 4. მალაგა | 36 | 16 | 7 | 13 | 52-51 | 55 |
| 5. ლევანტე | 36 | 15 | 7 | 14 | 51-49 | 52 |
| 6. ატლეტიკო | 36 | 13 | 11 | 12 | 50-45 | 50 |
| 7. მალიორკა | 36 | 13 | 10 | 13 | 40-42 | 49 |
| 8. ბილბაო | 35 | 12 | 12 | 11 | 49-46 | 48 |
| 9. ოსასუნა | 36 | 11 | 15 | 10 | 39-59 | 48 |
| 10. ხეტაფე | 36 | 12 | 10 | 14 | 40-49 | 46 |
| 11. ბეტისი | 36 | 13 | 7 | 16 | 44-52 | 46 |
| 12. სევილია | 36 | 12 | 10 | 14 | 42-44 | 46 |
| 13. ესპანიოლი | 36 | 12 | 9 | 15 | 45-51 | 45 |
| 14. სოსიედადი | 36 | 11 | 11 | 14 | 45-51 | 44 |
| 15. გრანადა | 36 | 12 | 6 | 18 | 34-53 | 42 |
| 16. ვილიარეალი | 36 | 9 | 14 | 13 | 39-51 | 41 |
| 17. ვალეკანო | 36 | 12 | 4 | 20 | 50-68 | 40 |
| 18. სარაგოსა | 36 | 10 | 7 | 19 | 32-60 | 37 |
| 19. სპორტინგი | 36 | 9 | 7 | 20 | 40-67 | 34 |
| 20. რასინგი | 36 | 4 | 15 | 17 | 25-57 | 27 |

**ბომბარდირები:** 46 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 44 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 23 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 22 - გონსალო იგუაინი (რეალი); 20 - ქარიმ ბენზემა (რეალი).

### მომდევნო ტური

5 მაისი: სარაგოსა-რასინგი, ბილბაო-ხეტაფე, მალიორკა-ლევანტე, გრანადა-რეალი, სევილია-რაიო ვალეკანო, ბარსელონა-ესპანიოლი, სპორტინგი-ბეტისი, ატლეტიკო-მალაგა, ვალენსია-ვილიარეალი, ოსასუნა-რეალ სოსიედადი.



ლეო მესი (ბურთით) რეკორდებს ეთამაშება

### ამბები

#### ბილია რეალში?

მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, იპოვა ლასანა დიარას შემცვლელი - „ანდერლეხტის“ არგენტინელი ნახევარმცველი **ლუკას ბილია**. ბილიას ბელგიურ კლუბთან კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს, თუმცა მის სავარაუდო ტრანსფერზე ბელგიაში უკვე ბევრს წერენ. ახლა ვარაუდები თავად 26 წლის შუახაზელმა გააძლიერა, რომელმაც „ა ბოლასთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ესპანეთში თამაშზე ოცნებობს: *„მე მომწონს ჩაბი ალონსო, ის აბალანსებს „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების თამაშს. ჩემთვის ჩაბი ალონსო არის მისაბაძი მაგალითი“*, - ამბობს ბილია, რომელიც 2006 წლიდან „ანდერლეხტში“ თამაშობს. ბილიამ 2005 წელს არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. შარშან მას დებიუტი ჰქონდა არგენტინის ნაკრებში, რომლის მაისურითაც უკვე 6 თამაში დაუგროვდა.

#### 100 მილიონი ბარსელონას

„ბარსელონას“ ახალ თავკაც **ტიტო ვილანოვას** გუნდის გასაძლიერებლად ფული თავზე საყრელად ექნება, აცხადებს კატალონიური გაზეთი „სპორტი“ - საუბარია დაახლოებით 100 მილიონ ევროზე. ზაფხულში მწვრთნელი ბიუჯეტიდან 30 მილიონს მიიღებს, დიდი თანხა შემოვა სატრანსფეროდ ფეხბურთელთა გაყიდვითაც (დაახლოებით ამდენივე).

ამბობენ, რომ **დანი ალვეში** ზაფხულში რუსულ „ანჟიში“ გადადის, „ბარსა“ ყიდის **სეიდუ კეიტასაც**. ფული მორჩება... წარუმატებლობისგანაც. იმის გამო, რომ გუნდი ვერც ჩემპიონთა თასს შეწვდა და ვერც ესპანეთის ჩემპიონობას, ხელმძღვანელობას ფული დაეზოგა, რომელიც ბონუსის სახით უნდა გაეცა. თქვენ წარმოიდგინეთ და, **ხოსეპ გვარდიოლას** წასვლითაც შემოვა სატრანსფერო თანხა - **ტიტო ვილანოვა** გაცილებით ნაკლებ ხელფასზე დათანხმდა მუშაობას. ასე გროვდება ჯამში 100 მილიონ ევრომდე, ამ თანხით კი ვილანოვას სრულიად ახალი სუპერგუნდის აწყობა შეუძლია. „ვალენსიას“ **ხორდი ალბას** ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია, „ბილბაოს“ **ფერნანდო ლორენტესი** კი - სავარაუდო.

#### ზიდანი ბელჰანდას დააკვირდა

მადრიდის „რეალის“ სპორტული დირექტორი **ზინედინ ზიდანი** საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩს დაესწრო, რომელშიც „მონპელიე“ „ევიანს“ 2:2 დაუზავდა. ზიდანს 22 წლის **იუნეს ბელჰანდას** თამაში აინტერესებდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს მაროკოელი ტალანტი გააძევეს, ზიდანს მისი თამაში ძალიან მოეწონა: *„ჟირუმ და ბელჰანდამ საოცრებები აკეთეს. „მონპელიე“ კარგი გუნდია, მაგრამ მე მაინც ამ ორს გამოვყოფ“*, - განუცხადა „კანალ პლუსს“ ფრანგული ფეხბურთის ლეგენდამ.

#### მუნიტისის ფინიში

ესპანური ფეხბურთის ვეტერანი **პედრო მუნიტისი** ამ სეზონში ველარ ითამაშებს. მუნიტისი „ხეტაფესთან“ შეხვედრაში დაშავდა და მისთვის პრიმერადივიზიონი მორჩა, ვინაიდან კანტაბრიული გუნდი უკვე გავარდნილია ლა ლიგიდან. მუნიტისს კუნთი გაუწყდა, რის გამოც სამი კვირა უნდა იმკურნალოს. პედრო მუნიტისი ზაფხულში 37 წლის ხდება. მას 1998 წლის მერე არ უთამაშია რანგით მეორე დივიზიონში. შეგახსენებთ, რომ 2000-03 წლებში მუნიტისი „რეალის“ ფეხბურთელი იყო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

იტალია. სერია A. XXXVI ტური



ბერტოლაჩიმ სასკუდეტო ინტრიგა დააბრუნა

# დაიძაბა, თან როგორ...

## ლუის ენრიკეს ხელს ამინდიც უშლის

**კიევო–რომა 0:0**

**ნაპოლი–პალერმო 2:0**

**გოლები:** 1:0 კავანი (16-პენ.), 2:0 ჰამშიკი (35).

**მილანი–ატალანტა 2:0**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – დე შილიო, ნესტა, მექსე, ანტონინი – ნოჩერინო, მუნტარი, ამბროზინი (77. გატუზო) – ბოატენგი (73. ფლამინი) – კასანო (68. რობინიო), იბრაჰიმოვიჩი.

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი – ფერი (53. სკელოტო), სტენდარდო, ლუკინი, პელუზო – კაცოლა, რაიმონდი, ჩიგარინი, ბონავენტურა (61. მორალესი) – ტირიბოკი (77. კაროცა), დენისი.

**გოლები:** 1:0 მუნტარი (9), 2:0 რობინიო (90).

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 5-12; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 15(9)-6(2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 45 000

**კატანია–ბოლონია 0:1**

**კატანია (4-4-2):** კარიცო – სპოლი, ბელუში (67. მოტა), ლეგროტალიე, მარკეზე – ალმირონი (87. სეიმური), ისკო, ლოდი, რიკიუტი – გომესი, ბერგესიო.

**ბოლონია (3-4-2-1):** ალიარდი – გარიჩი, პორტანოვა, ანტონსონი – კონე (76. მორლეო), რუბინი, მუდინგაი, ტაიდერი – რამირესი, ბელფოდილი – აკვაფრესკა (86. დი ვაიო).

**გოლი:** 0:1 რამირესი (79).

**გაფრთხილება:** სპოლი – პორტანოვა, კონე, რამირესი.

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 8(4)-8(3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 16 000

**ჩეზენა–უდინეზე 0:1**

**ჩეზენა (4-4-2):** რავალია – მორასი, ჩეკარელი (77. პილიპი), ბენალოუანე, ფონ ბერგენი – არიგონი (90. ურსო), გუანა, დოკოვიჩი, მარტინიო – მუტუ (46. მალონგა), რენელა.

**უდინეზე (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი – კოდა, დანილო, დომიცი – ბასტა, პერეირა, ასამოა, პინცი, პასკუალე – ფაბრინი (72. ფერნანდესი) - დი ნატალე (79. ფლორო ფლორესი).

**გოლი:** 0:1 ფაბრინი (4).

**გაფრთხილება:** ფონ ბერგენი, გუანა - დომიცი.

**კუთხური:** 0-4; **ჯარიმა:** 10-25; **თამაშგარე:** 2-7; **კარში დარტყმა:** 7(1)-10(3); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 11 000

**ფიორენტინა–ნოვარა 2:2**

**ფიორენტინა (3-5-2):** ბორუცი – ნასტასიჩი, ნატალი, კამპორეზე – პასკუალი, კასანი, სალიფუ, მონტოლივო, ლაძარი (51. მარკიონი) – ლიაიჩი (77. ოლივერა), ჩერჩი.

**ნოვარა (5-3-2):** კოზერი – მორგანელა, ლიზუძო, ჩენტურიონი, გარსია – რადოვანოვიჩი (59. პეშე), ჯემიტი, პორკარი, რიგონი – რუბინო (75. მორიმოტო), ჯედა (88. პაჩი).

**გოლები:** 0:1 ჯედა (14), 0:2 რიგონი (30-პენ.), 1:2 მონტოლივო (48-პენ.), 2:2 მონტოლივო (71).

**გაფრთხილება:** კამპორეზე, ლაძარი, პასკუალი, ოლივერა – მორგანელა, გარსია, ჯემიტი, ჯედა.

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 19-20; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 12(5)-6(2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 18 000

**ჯენოა–კალიარი 2:1**

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – როსი, გრანკვისტი, ალჰასანი (63. იანკოვიჩი), მორეტი – მესტო, კუჩკა, ბიონდინი, სკული (79. ბირსა) – ჯილარდინო, პალასიო (88. ველოზო).

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პერიკო, ასტორი, არიაუდო, აგოსტინი – კონტი, ეკდალი, ნაინგოლანი – კოსუ (82. ლარივეი) – პინილია (68. ნენე), იბარბო (72. იბარბო).

**გოლები:** 1:0 პალასიო (12), 1:1 არიაუდო (13), 2:1 იანკოვიჩი (76).

**გაფრთხილება:** ველოზო (ჯენოა).

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 6(3)-11(3); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 0

**იუვენტუსი–ლეჩე 1:1**

**იუვენტუსი (3-5-3):** ბუფონი – ბონუჩი, ბარცალი, კიელინი – ლიხტშტაინერი, მარკიზიო, პირლო, ვიდალი, დე ჩელიე (7. კასერესი) – ვუჩინიჩი (78. დელ პიერო), კვალიარელა (73. მატრი).

**ლეჩე (3-5-2):** ბენასი – კაროციერი, მილიონიკო, ტომოვიჩი – კუადრადო, ობოდო (71. ბერტოლაჩი), ბრივიო, ბლაზი, დელვეკიო – სეფეროვიჩი (51. მურიელი), დი მიკელე (61. ჯაკომაცი).

**გოლები:** 1:0 მარკიზიო (8), 1:1 ბერტოლაჩი (85).

**გაფრთხილება:** ბონუჩი – კაროციერი, ობოდო, დელვეკიო, მურიელი.

**გაძევება:** კუადრადო (54. ლეჩე).

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12(7)-2(1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 40 000

**ლაციო–სიენა 1:1**

**ლაციო (4-3-2-1):** ბიძარი – სკალონი, დიაკიტე, ბიავა (84. ალფარო), გარიდო – კონკო, ლედესმა, გინსალესი - კანდრევა, მაური – როკი (37. კოზაკი).

**სიენა (4-4-2):** პეგოლო – ბელმონტე (78. დელ გროსო), პეზოლი (46. როსეტინი), კონტინი, როსი – მანინი (67. სესტუ), ბოლცონი, ვერგასოლა, დაგოსტინო – დესტრო, ბრიენცა.

**გოლები:** 0:1 დესტრო (26), 1:1 ლედესმა (62-პენ.).

**გაფრთხილება:** ბიავა, ლედესმა – როსი, ბოლცონი.

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 22(8)-5(2); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 35 000

**პარმა–ინტერი 3:1**

**პარმა (3-5-2):** პავარინი – ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი – ჯონათანი, ვალდესი, ვალიანი (78. სანტაკროჩე), გალოპა, ბიაბიანი – ჯოვინკო, მარკესი (65. ოკაკა).

**ინტერი (4-3-2-1):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ნაგატომო (46. ფარაონი) – სტანკოვიჩი (60. სარატე), კამბიასო, ობი – ალვარესი (72. პაცინი), სნეიდერი – მილიტო.

**გოლები:** 0:1 სნეიდერი (13), 1:1 მარკესი (53), 2:1 ჯოვინკო (55), 3:1 ბიაბიანი (83).

**გაფრთხილება:** ვალდესი, გალოპა, მარკესი – მაიკონი, ობი.

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 9-11; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 17(4)-8(4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 20 000

XXXVI ტური სამშაბათის ორი მატჩით გაიხსნა და ორივემ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. ვერონაში "რომა" ჩავიდა და "კიევოსთან" ნულოვანი ფრე ითამაშა. ეს შეხვედრა უკანასკნელი იმედი გახლდათ დედაქალაქელთათვის, რომ სამეულში შეეღწიათ, დღეს კი უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომდევნო სეზონში "ჯალოროსი" ჩემპიონთა ლიგაზე ვერ ითამაშებს.

თამაში სტუმართა უპირატესობით წარიმართა, თუმცა არა იმდენად, რომ ფატალურ უიღბლობაზე ვისაუბროთ – ყველაზე უფრო ლოგიკური შედეგი ფრე იყო და შეხვედრა ასეც დასრულდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერონაში კოკისპირულად წვიმდა და მატჩიც მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში წარიმართა. ფეხბურთელებს უჭირდათ გააზრებული კომბინაციების გათამაშება და შესაბამისად, სახიფათო მომენტების შექმნა. მოკლედ, სველ ვერონაში მშრალი ფრე დაფიქსირდა და ამ შედეგით უფრო მასპინძლებმა გაიხარეს. ნამატჩევს, **ლუის ენრიკე** უხასიათოდ იყო და შემდეგი განაცხადა:

*"ასეთ ამინდში რთული იყო საუკეთესო თამაშის ჩვენება და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. შეგირდების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, რადგან რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს. გუნდს შედეგი არ აქვს და მეც მშვიდად ვიღებ კრიტიკას – სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან გულშემატკივრები "რომასგან" მხოლოდ გამარჯვებებს ითხოვენ. ნებისმიერ შემთხვევაში მშვიდად განვაგრძობ მუშაობას და მჯერა, რომ ყველაფერი მალე გამოსწორდება".*

ამასობაში, უკვე აქტიურად ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ "რომას" მესვეურებმა **ანდრე ვილაშ ბოაშთან** პრაქტიკულად მიაღწიეს შეთანხმებას და მომდევნო სეზონიდან, დედაქალაქურ გუნდს პორტუგალიელი სპეციალისტი გაწვრთნის. ჯერჯერობით, მხარეები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ, მაგრამ კვამლი რომ უცეცხლოდ არ ჩნდება, ესეც ფაქტია.

ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართა ნეაპოლში, სადაც "ნაპოლიმ" "პალერმოს" უმასპინძლა და როგორც მოსალოდნელი იყო, მეტოქე განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხა. პირველი გოლი **ედინსონ კავანიმ** თერთმეტმეტრიანი დარტყმით სტარტზევე გაიტანა, ტაიმის შუაწელს კი **მარეკ ჰამშიკმა** კიდევ ერთი შეუგდო სიცილიელებს და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, 2:0. **ვალტერ მაცარის** შეგირდებს კიდევ არაერთხელ შეეძლოთ გატანა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე ნახევარში მოედანზე **ესეკილ ლავეცი** ვიხილეთ, რომელსაც ტრავმის გამო საკმაოდ დიდი დრო გაუცდა. მოკლედ, "ნაპოლის" ლიდერი დაუბრუნდა და თანაც, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში. მატჩის შემდეგ მაცარიმ პირველ რიგში გულშემატკივრებს გადაუხადა მადლობა:

*"მთელი მატჩის განმავლობაში, ტიფოზები გაუჩერებლად გვგულშემატკივრობდნენ, რამაც დიდი ძალა შეგვმატა. შედეგად, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის საგზურს დაგვაახლოვა. დარჩენილ ორ თამაშშიც აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, რადგან კონკურენტებსაც არ სძინავთ. მაგალითად, "ლაციო" ურთიერთშეხვედრებში გვჯობია და თუ ერთნაირი ქულები დავაგროვეთ – უპირატესობა რომაელებს მიენიჭებათ; ამიტომ, ჩვენ წაფორხილების უფლება არ გვაქვს და მაქსიმალური მობილიზება გვმართებს. ჩემპიონთა ლიგაში თამაში ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება და იმის რწმენას გაგვიღრმავებს, რომ სწორი კურსით მივდივართ. შემდეგი მატჩი "ბოლონიასთან" გველის და პირადად მე, უკვე მომდევნო პაექრობაზე ვარ გადართული".*

ნეაპოლელთათვის კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი უდავოდ ესეკილ ლავეცის დაბრუნებაა – არგენტინელი მეორე ნახევარში გამოჩნდა მინდორზე და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა; ბუნებრივია, რომ პრესისთვის კომენტარის გაკეთებამ მასაც მოუწია:

*"წარმოდგენა არ მაქვს, როგორ უძლებენ 6-თვიან ტრავმებს, სულ ორიოდე კვირა გამოვტოვე და ჭკუიდან გადავედი. უბედნიერესი ვარ, რომ მოედანს დავუბრუნდი და კვლავ შემიძლია ფეხბურთის თამაში. მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ და გავიმყარეთ პოზიციები, თუმცა გადამწყვეტი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ გველის. რას ვაპირებ ზაფხულში? – რა დროს ზაფხულია, ჯერჯერობით მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ვფიქრობ და მჯერა, რომ მესამე ადგილი ჩვენ დაგვრჩება".*

გუშინ კი მოხდა ის, რასაც ცოტა თუ მოელოდა – "იუვენტუსმა" საკუთარ მოედანზე "ლეჩესთან" დაკარგა ქულები და "მილანს" სკუდეტოს მოპოვების შანსი დაუბრუნა. მართალია, შანსი ლომბარდიელებს აქამდეც ჰქონდათ, მაგრამ უფრო თეორიული - დღეს კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაფერი წინაა. "იუვე" **კლაუდიო მარკიზიოს** ნაადრევი გოლით უგებდა ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს, თუმცა თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე, გამათანაბრებელი გოლი გაუშვა და თანაც, კაცნაკლული მეტოქისგან. **ბერტოლაჩიმ** პატარა სასწაული მოახდინა, უზუსტესად დაარტყა და არა მარტო "ლეჩეს", "მილანის" გულშემატკივრებიც გაახარა. რაც შეეხება თვითონ "მილანს", **მასიმილიანო ალეგრის** შეგირდებმა "ატალანტას" ორი უპასუხო გოლი გაუტანეს, რომელთაგან პირველი **სალი მუნტარის**, ხოლო მეორე **რობინიოს** ანგარიშზეა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 36 | 21 | 15 | 0 | 63-19 | 78 |
| 2. მილანი | 36 | 23 | 8 | 5 | 70-28 | 77 |
| 3. ნაპოლი | 36 | 15 | 13 | 8 | 64-43 | 58 |
| 4. უდინეზე | 36 | 16 | 10 | 10 | 48-35 | 58 |
| 5. ლაციო | 36 | 16 | 8 | 12 | 51-46 | 56 |
| 6. ინტერი | 36 | 16 | 7 | 13 | 53-50 | 55 |
| 7. რომა | 36 | 15 | 7 | 14 | 55-50 | 52 |
| 8. პარმა | 36 | 13 | 11 | 12 | 51-53 | 50 |
| 9. ბოლონია | 36 | 12 | 12 | 12 | 39-42 | 48 |
| 10. კატანია | 36 | 11 | 14 | 11 | 45-48 | 47 |
| 11. ატალანტა | 36 | 13 | 13 | 10 | 40-38 | 46 |
| 12. კიევო | 36 | 11 | 12 | 13 | 30-41 | 45 |
| 13. სიენა | 36 | 11 | 11 | 14 | 44-41 | 44 |
| 14. კალიარი | 36 | 10 | 12 | 14 | 37-44 | 42 |
| 15. ფიორენტინა | 36 | 10 | 12 | 14 | 36-43 | 42 |
| 16. პალერმო | 36 | 11 | 9 | 16 | 48-56 | 42 |
| 17. ჯენოა | 36 | 10 | 9 | 17 | 48-67 | 39 |
| 18. ლეჩე | 36 | 8 | 12 | 16 | 40-54 | 36 |
| 19. ნოვარა | 36 | 6 | 11 | 19 | 31-63 | 29 |
| 20. ჩეზენა | 36 | 4 | 10 | 22 | 22-54 | 22 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 26 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 23 – კავანი (ნაპოლი); 21 – დი ნატალე (უდინეზე); 20 - მილიტო (ინტერი).

სავარაუდო ტრანსფერები

# [illegible] შეელევა ბოლონია?

სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, "ბოლონია" აბსოლუტურად ყველა გუნდისთვის ღირსეული მეტოქეა და სრულიად დამსახურებულად არის სატურნირო ცხრილის შუაგულში. არადა, სეზონის წინ ბევრი ვარაუდობდა "როსობლუს" გავარდნას, რადგან გუნდი თითქოს საშუალოზე დაბალი კლასის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. თუმცა, როგორც მიმდინარე სეზონმა გვიჩვენა, არც მთლად მასეა საქმე და "ბოლონიასაც" ჰყავს ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც მოედანზე დიდი საქმეების კეთება შეუძლიათ. თუნდაც **გასტონ რამირესი** ავიღოთ, რომელზეც უკვე იტალიური ფეხბურთის გრანდები ნადირობენ. სწორედ აქ მივადექით მთავარ სათქმელსაც – აპენინურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რამირესის გადაბირებით "ნაპოლია" დაინტერესებული და დიდია შანსი, გარიგება სეზონის დასრულებისთანავე შედგეს; ამას თვით "ბოლონიას" ვიცე-პრეზიდენტი, **მარუციო სეტი** ადასტურებს:

*"რამირესი მხოლოდ 21 წლის არის, თუმცა უკვე მოასწრო და მთელ საფეხბურთო ევროპას გააცნო თავი. შესაბამისად, არ მიკვირს, რომ მასზე ნადირობაა გამოცხადებული და წინადადებებსაც უხვად ვიღებთ. სხვებზე მეტად ნეაპოლელები აქტიურობენ და მართლაც არ არის გამორიცხული, რომ რამირესი სწორედ "ნაპოლიში" გადაბარგდეს. ძალიან გვინდა ურუგვაელი შემტევის შენარჩუნება, მაგრამ თუ თავად ფეხბურთელი მოისურვებს წასვლას, ძალით ნამდვილად ვერ გავაჩერებთ. ვიცი, რომ გასტონს ჩემპიონთა ლიგაზე სურს ასპარეზობა და თუ "ნაპოლი" სამეულში მოხვდება, მისი შენარჩუნება კიდევ უფრო გაგვიჭირდება".*

ამ ზაფხულს, "ბოლონია" შეიძლება კიდევ ერთ წამყვან ფეხბურთელს, **მარკო დი ვაიოს** შეელიოს, რომელიც უკვე ასაკშია და კარიერის ამერიკაში დასრულებაზე ფიქრობს. მარკოს "მონრეალი" ეპატიჟება, სადაც კიდევ ორი იტალიელი ფეხბურთელი ასპარეზობს: **მატეო ფერარი** და **ბერნარდო კორადი**. ამბობენ, რომ დი ვაიოს შტატებში გადაბარგება უკვე გადაწყვეტილია და ვნახოთ რამდენად გამართლდება ეს ინფორმაცია.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



გასტონ რამირესი და მარკო დი ვაიო

ჭიდაობა. ლიცენზიები

# სეოკ-მა 23-ე და 24-ე ავტოგრაფი მიითვალა

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გუშინ ლიცენზიანტთა დაფაზე ხელმოწერის მორიგი ცერემონიალი გაიმართა, სადაც რიგით 23-ე და 24-ე ავტოგრაფი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, ევროპისა და ოლიმპიურმა პრიზიორმა **ოთარ თუშიშვილმა** (66) და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ბრინჯაოს მედალოსანმა **სოსო ჯაბიძემ** (96) დატოვეს. საგზურები მათ გასულ უქმეებზე ჩინურ ტაიუანში გამართულ სალიცენზიო ტურნირში მოიპოვეს, სადაც თუშიშვილი მეორეზე გავიდა, ჯაბიძე - მესამეზე, ოლონდ მერე უშუალოდ ოლიმპიური საგზურისთვის გამართული დამატებითი შეხვედრაც მოუგო მეორე ბრინჯაოს მფლობელს, უნგრელ ევროპის ჩემპიონ **ბალასც კისის**. ამით „თავისუფლებმა" ნაკრები სრულად შეავსეს, რაც დამოუკიდებლად არსებობის მანძილზე პირველად მოხდა, ბერძენ-რომაელთათვის კი ეს მესამე ლიცენზიაა და მარაგის რამდენადმე შესავსებად


ოთარ თუშიშვილი


სოსო ჯაბიძე

კვლავაც დიდი გარჯა მართებთ. თუმცა საამისო შანსიც ნაკლებია, რადგან მხოლოდ ერთი შეჯიბრება დარჩათ, რომელიც მომავალ უქმეებზე ჰელსინკში ჩატარდება.

ხელმოწერის ცერემონიალის პარალელურად პრესკონფერენციაც გაიმართა, რომელსაც სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** და საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გენაძე** უძღვებოდნენ. სპორტსმენებს ორივემ მიულოცა წარმატება.

**გია ნაცვლიშვილი:** *„უპირველესად, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს ვულოცავ, რომლებმაც ბოლომდე შეავსეს გუნდი. თუმცა რაოდენობაზე უფრო საყურადღებო ჭიდაობის ხარისხია - შვიდივე მათგანს შეუძლია ოლიმპიური მედლისთვის ბრძოლა. ბერძენ-რომაელებს კიდევ ერთი სალიცენზიო შეჯიბრება დარჩათ და დარწმუნებული ვარ, კიდევ დაიმატებენ საგზურებს. მინდა მივულოცო თუშიშვილსა და ჯაბიძეს ჩინეთში მოპოვებული წარმატება. ორივემ ნამდვილ ბრძოლაში დაიმსახურა ლიცენზია".*

**კახა გენაძე:**

*„მეც მინდა, ორივე სპორტსმენს მივულოცო ეს ლიცენზია, რაც მართლაც დაძაბულ ორთაბრძოლაში დაიმსახურეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ოლიმპიურ ციკლში საგზურების მოპოვება ბევრად უფრო რთული იყო, მაგრამ „თავისუფალთა" ნაკრებმა შვიდივე საგზური აილო. საინტერესოა, რომ მათ გუნდი სრულად ისტორიაში პირველად შეავსეს. ბერძენ-რომაელებთან იყო გარკვეული პრობლემები, რაც სალიცენზიო მარაგსაც დაეტყო, თუმცა მჯერა, რომ ქართველი მოჭიდავეები ლონდონში წარმატებით გამოვლენ".*

გამომსვლელებმა სინანული გამოთქვეს, რომ ბერძენ-რომაელთაგან გეგეშიძეს და ფერსელიძეს სულ ცოტა დააკლდათ ლიცენზიამდე - წაგებულ შეხვედრებში ორივემ მოიგო პირველი პერიოდი, დაწინაურდნენ მეორეშიც, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და საბოლოოდ დამარცხდნენ. ნაცვლიშვილმა ეს არასაკმარისი ფიზიკური მომზადებით ახსნა, მერე კი ლიცენზიების ზოგად თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ 24-ზე გაჩერებას არ აპირებენ. მან კვლავ გამოთქვა იმედი, 30 საგზურამდე ავალთო.

ბერძენ-რომაელები ბოლო შანსის დასაუფლებლად ჰელსინკში ამ საღამოს გაფრინდებიან. **ბეგი დარჩიას** იქ ძირითადად ჩინეთში ნაჭიდავები შემადგენლობა მიჰყავს: ევროპის ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) და **გურამ ფერსელიძე** (120). მწვრთნელმა ერთადერთი ცვლილება 55-ში გააკეთა, სადაც **ლაშა გოგიტაძეს** ახალგაზრდებში მსოფლიოს პრიზიორი **ქემალ ხარაბაძე** შეცვლის. შაბათს ჩვენებურთაგან ხარაბაძე, ლაშხი და გეგეშიძე იჭიდავებენ, ფერსელიძე კი კვირას იასპარეზებს. შეგახსენებთ, რომ ფინეთში წონაში მხოლოდ ორ-ორი საგზური გაიცემა ანუ მის მოსაპოვებლად ფინალში გასვლაა აუცილებელი.

დასასრულს „თავისუფალთა" ნაკრებზეც გეტყვით, რომლებიც 12-13 მაისს ბაქოში მსოფლიოს თასზე იჭიდავებენ. მწვრთნელები ამ ტურნირს ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად იყენებენ და ამიტომ იქ ლიცენზიანტებიც გამოვლენ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილის** (55), ოთარ თუშიშვილისა და **გიორგი გოგშელიძის** (96) გარდა. თუშიშვილის ამბავი გასაგებია - ახლახან გამოვიდა შეჯიბრებაზე, იმ ორმა კი ორი კვირის წინ სოფიაში იასპარეზა ევროპის ზონის სალიცენზიო ტურნირში და ამ ეტაპზე სტარტი არ სჭირდებათ. ბაქოში მწვრთნელებს **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **ზურაბ იაკობაშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120) მიჰყავთ.

**ირაკლი თავაძე**

სპორტული რადიო
ჯაკო
Ja — Ko
FM 96.3
FM 96.3
WWW.RADIOJAKO.GE

მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი



# მიზანმა უმტყუნათ

ქართველმა მშვილდოსნებმა წარუმატებლად დაიწყეს გამოსვლა ანთალიაში, მსოფლიოს თასის რიგით მეორე ეტაპზე. გუშინ საკვალიფიკაციო ტურნირი გაიმართა და ჩვენებურები მათთვის შეუფერებელ ადგილებზე არიან ცხრილის მეორე ნახევარში. მათგან ყველაზე საუკეთესო მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა**... 62-ე ადგილზეა 616 ქულით. ჩვენს გუნდში მეორე შედეგი **ასმათ დიასამიძემ** აჩვენა - 601 ქულა და 86-ე ადგილი. **ხათუნა ნარიმანიძე** მომდევნო საფეხურზეა 597-ით, **ნათია ცინცაძის** მონაგარი კი 564 ქულა და 106-ე ადგილია. ასეთი დაბალი შედეგების გამო ვერც გუნდურში ვივარგეთ - სამი საუკეთესო შედეგის ჯამი 1814 ქულაა, რაც მხოლოდ 22-ე შედეგი აღმოჩნდა და წინა მსოფლიოს თასის მსგავსად, პლეი ოფში ვერც ამჯერად გავედით.

ინდივიდუალურში პლეი ოფები დღეს დაიწყება და მედლებისთვის მებრძოლი წყვილები ანუ ფინალისტები და ბრინჯაოს მაძიებელნი გამოვლინდებიან. პლეი ოფში ჩვენგან მოწინავე სამეული გავიდა. ესებუა პირველ წრეში პოლონელ **ვიოლეტა მისზორს** ხვდება, მასთან მოგების შემთხვევაში კი ირანელ **ამენე მარზოუგის** და ამერიკელ **მირანდა ლეეკს** შორის მოგებული ელოდება.

დიასამიძეს თავდაპირველად მექსიკელი **მარიანა ავიტიე** ერგო, ამ წყვილში მოგებული კი მეორე წრეში ირანელებს - **სარეჰ ასადისა** და **ზარა დენგანაბნავის** შორის გამარჯვებულს გაეჯიბრება.

პლეი ოფის საწყის წრეში ჩვენებურთაგან ყველაზე ძლიერი მეტოქე ნარიმანიძეს ერგო - ბრიტანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ნაომი ფოლკარდი**. ამ ბარიერს თუ დასძლევს, ან თურქ **ბეგულ ლოკლუოლლუს** შეხვდება, ანაც - იტალიელ **ელენა ტონეტას**.

დიდად ვერც ჩვენმა ვაჟებმა გაგვახარეს - **ლაშა ფხაკაძე** 636 ქულით 88-ეა, **თორნიკე რიჟამაძე** 618-ით 109-ეა, **ირაკლი ქვლივიძე** - 609-ით - 123-ე. ამათგან პლეი ოფში მხოლოდ ფხაკაზე გავიდა - პირველ წრეში ტაივანელ **ჩენგ პანგ ვანგს** ხვდება.

**ირაკლი თავაძე**

სამბო

# ბოლნისშიც აფასებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა და აზერბაიჯანის ჭაბუკ სამბისტებისტთა მონაწილეობით, ბოლნისმა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში და 1990 წლის 20 იანვარს ბაქოში საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნის ტრადიციულ, რიგით მეთხუთმეტე საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა.

ოფიციალურ პირველობებს თუ არ ჩავთვლით, სამბოს ტურნირები ჩვენში იშვიათობაა. ამიტომ მადლობის მეტი რა ეთქმით სამბოს ბოლნისელ მწვრთნელებს **სირატ ყურბანოვს, შერმადინ დადვანს** და **თემურ გეთიაშვილს**.

ორი მეზობელი ქვეყნის ჭაბუკი სამბისტები ყოველთვის ინტერესით მოელიან ბოლნისის ტურნირს, რადგან ისინი საერთაშორისო ასპარეზზე სხვაგან ვერ ასპარეზობენ მცირე ასაკის გამო. ეს ტურნირი ერთგვარი სარეიტინგო გამოცდაა მათთვის, რომლებიც ოთხხუთ წელიწადში თავიანთ სიტყვას იტყვიან სამბოს დიდ სარბიელზე.

ტურნირი ბოლნისის სპორტულ დარბაზში გაიმართა.

## ქვარცხლბექი

### 1999-2001 წლებში დაბადებულები

**23 კგ.** 1. შახინ შახმიროვი (ბოლნისი), 2. აგილ ბაირამოვი (აზერბაიჯანი), 3. რაზიმ გარაევი, 3. ტურალ მუსტაფაევი (ორივე - ბოლნისი).

**26 კგ.** 1. გიორგი მეხრიშვილი (ხაშური), 2. საბირ მუსაევი, 3. ელშარ აიავაზოვი, 3. ლაშა იდრისოვი (სამივე - ბოლნისი).

**29 კგ.** 1. ვილაიათ ბარამოვი, 2. ელქუნ ხალილზადე (ორივე - აზერბაიჯანი), 3. გეგი აზარაშვილი (რუსთავი), 3. გიორგი ნიკურაძე (ქუთაისი).

**32 კგ.** 1. ზურაბ ბეჟანიშვილი (მარნეული), 2. ლადი მახნიაშვილი (დმანისი), 3. ალექსი ალგარდაშვილი (ბოლნისი), 3. გიორგი მეგრელიშვილი (რუსთავი).

**35 კგ.** 1. ლაშა ონიანი (მარნეული), 2. გურამ მუსელიანი (წყალტუბო), 3. ლევან ყურაშვილი (რუსთავი), 3. გურამ ჯანაძე (ქუთაისი).

**38 კგ.** 1. ლადო ხოსიტაშვილი, 2. შარიფ გარაევი (ორივე - ბოლნისი), 3. ლაშა ბლუაშვილი (რუსთავი), 3. საბა რიჟამაძე (ტყიბული).

**41 კგ.** 1. ტატო გრიგალაშვილი (ხაშური), 2. ლუკა ხერგიანი (მარნეული), 3. ნოდარ ბოგვერაძე (ზესტაფონი), 3. ლუკა ბაბუნიძე (ქუთაისი).

**45 კგ.** 1. ემრან მამედოვი (მარნეული), 2. ზავურ ქერიმოვი, 3 მურაზ ისმაილოვი (ორივე - ბოლნისი), 3. ივანე წოწოლაშვილი (რუსთავი).

**50 კგ.** 1. შარრიარ გახიევი, 2. აბულფაზ მუსლიმოვი (ორივე - აზერბაიჯანი), 3, მანუკ მარტიკიანი (დმანისი), 3. ლერი ოქროპირიძე (რუსთავი).

**55 კგ.** 1. შალვა სულამანიძე (ტყიბული), 2. გიორგი ნაკაიძე (რუსთავი), 3. გუჯა ხორბალაძე (ბოლნისი). 3. ვალერი ბუცხრიკიძე (თერჯოლა).

**60 კგ.** 1. ალექსი სვიანაძე, 2. გიორგი ნოდია (ორივე - ზესტაფონი), 3. გია ისაევი, 3. გიორგი ოქრუაშვილი (ორივე - ბოლნისი).

**+60 კგ.** 1. გიორგი დვალიშვილი (ვანი), 2. გია ხარაიშვილი (ხაშური), 3. კახაბერ დარბაიძე (რუსთავი), 3. გივი ყურაშვილი( ტყიბული).

### 1997-1998 წლებში დაბადებულები

**35 კგ.** 1. ლადო ხოსიტაშვილი (ბოლნისი), 2. გოგა ცერცვაძე (ქუთაისი), 3. დავით ფილფანი, 3. ლადი მახნიაშვილი (ორივე - დმანისი).

**38 კგ.** 1. ლევან გამრეკელაშვილი (ქარელი), 2. ვახტანგ მეტივიშვილი, 3. თორნიკე მეტივიშვილი (ორივე - ხაშური), 3. საბა მამაგულაშვილი (ქარელი).

**41 კგ.** 1. გიორგი ბაჯაძე (ვანი), 2. ლუკა მეგრელი (ქუთაისი), 3. ემილ ალიევი (ბოლნისი), 3. ტატო გრიგალაშვილი (ხაშური),

**45 კგ.** 1. თორნიკე გრიგალაშვილი (ხაშური), 2. მილერი ხურციძე (ვანი), 3. შალვა ხოსიტაშვილი (ბოლნისი), 3. ბაგრატ ნინიაშვილი (დმანისი).

**50 კგ.** 1. ვანო ნინიაშვილი, 2. ლევან ჩხვიმიანი (ორივე - დმანისი), 3. ზურაბ როხვაძე (ვანი), 3 ნიკა კაკაშვილი (ქარელი).

**55 კგ.** 1. დავით ხუბულავა, 2. დავით ჭანტურიძე (ორივე - ვანი), 3. გივი გელენიძე (ქუთაისი), 3. ნათიქ ფაშაევი (ბოლნისი).

**60 კგ.** 1. ონისე ხვარეშია (თერჯოლა), 2. ლომერ ტყეშელაშვილი (ვანი), 3. გაგა ქიტიაშვილი (ქვარელი), 3. ონისე ხურციძე (ქუთაისი).

**66 კგ.** 1. შმაგი დადუნაშვილი (ვანი), 2. ვასილ ბარლიანი (ბოლნისი), 3. თემურ ადუაშვილი (რუსთავი), 3. ალბი ალხანიშვილი (თელავი).

**73 კგ.** 1. რაშინ მასმალიევი (აზერბაიჯანი), 2. დიმიტრი გუგუტიშვილი (თელავი), 3. ბერდია დევდარიანი (დმანისი), 3. გიორგი მულაძე (ქარელი).

**+73 კგ.** 1. დავით რამმაძე (თელავი), 2. ერეკლე ზარნაძე (თერჯოლა), 3. ლაშა ნინიაშვილი (ბოლნისი), 3. ლადო რობაქიძე (ქუთაისი).

**გაბრიელ ბარჯაძე**



ჩოგბურთი

# დღეს ალბანეთით იწყებენ

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გუშინ სტარტი აიღო დევისის თასის გათამაშებამ ევროაფრიკული ზონის მე-3 ჯგუფში. მე-2 ეშელონის 2 საგზურისთვის 13 გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს. წილისყრით ისინი 4 ჯგუფში ასე გადანაწილდნენ:

**A ჯგუფი:** ლიტვა, ანდორა, სან მარინო.

**B ჯგუფი:** ბულგარეთი, **საქართველო,** ალბანეთი.

**ჩ ჯგუფი:** ჩერნოგორია, სომხეთი, მაკედონია,

**D ჯგუფი:** საბერძნეთი, ნორვეგია, მალტა, ისლანდია.

თითოეულ ჯგუფს თავისი ფავორიტი ჰყავს. შარშან მოპოვებული ქულებით წინასწარ განთესეს ლიტვა, ბულგარეთი, ჩერნოგორია და საბერძნეთი. საქართველოს ნაკრები ტურნირზე კაპიტან **ვიქტორ ბაკშის** ხელმძღვანელობით ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: **გიორგი ცივაძე** (რეიტინგი - 1257), **ალექსანდრე მეტრეველი** (1491), **მიხეილ ხმიადაშვილი**. დღეს პირველ მატჩში ჩვენები დაუპირისპირდებიან ალბანელებს, რომლებიც გუშინ მასპინძლებთან 0:3 დამარცხდნენ (არადა, ბულგარეთში გამგზავრების წინ ჩვენთან საუბრისას ვიქტორ ბაკშიმ ინატრა, ოლონდ ჯგუფში ბულგარელებთან ერთად ნუ მოვხვდებითო და...): დიმიტრ კუზმანოვი (717) - რეი რელუში 6:1, 6:0, გრიგორ დიმიტროვი (94) - ფლავიო დესი 6:1, 6:1. ტოდორ ენევი, პეტარ ტრენდაფილოვი - ფლავიო დესი, რეი რელუში 6:0, 6:2.

გუშინდელი დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:

**A ჯგუფი.** ანდორა - სან მარინო 2:1, **ჩ ჯგუფი:** მაკედონია-სომხეთი 3:0, **D ჯგუფი.** საბერძნეთი - მალტა 3:0, ნორვეგია - ისლანდია 3:0.

დღეს ითამაშებენ: **საქართველო-ალბანეთი**, ლიტვა-სან მარინო, ჩერნოგორია-სომხეთი, საბერძნეთი-ისლანდია, ნორვეგია-მალტა.

**ვაჟა დანელია**




რუბრიკას უძღვება
ალექსანდრე ჯინორიძე

# მიხეილ მესხი

ერთხელ, თბილისის ერთ სკოლაში ჩატარდა კონკურსი უმცროსი კლასელებისთვის. ბავშვებს უნდა დაეხატათ ყველაზე საყვარელი საგანი. ერთმა ბიჭუნამ ფურცელზე წრე დახატა, როდესაც მას ჰკითხეს, რა დახატეო, მან უპასუხა - ეს არის ბურთი! მკაცრმა ჟიურიმ ერთხმად კონკურსში გამარჯვებულად მიშიკო მესხი აღიარა.

ერთნაწილიანი, ანუ ძალიან მოკლე დოკუმენტური ფილმი „მიხეილ მესხი", კინემატოგრაფიულად თუნდაც ძალიან მდარე ხარისხისა რომ ყოფილიყო, მაყურებლის დაინტერესება სურათისადმი მაინც უდიდესი იქნებოდა. საბედნიეროდ, ქართული დოკუმენტური კინოს ოსტატის - **ოთარ გურგენიძის** ნამუშევარი ღირსეულად წარმოადგენს ლეგენდარული ვირტუოზის სახეს.

საქართველოს სამეცნიერო და დოკუმენტური ფილმების სტუდია. 1963 წელი.



ლელო წარმოგიდგენთ
ქართული სპორტის ქრონიკაში

## მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# ქეთევან ლოსაბერიძე



დაიბადა 01.08.1949, ტყიბული. **მშვილდოსნობა**. მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1980) და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1972, IV ადგილი), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1973, 81), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1972) და ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1972, 78), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 79) და ხუთგზის მესამე პრიზიორი (1971, 72, 74, 75, 81), სსრკ თასის მფლობელი (1972, 78), სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1979), მილანის (1975, 80), ლოძის (1976), კიოლნისა (1978) და ლვოვის (1981) საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1980), ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი, საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (2002-05).

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** საფეხბურთო გუნდი თბილისში ჩამოყალიბდა 1906 წელს სპორტსაზოგადოება „სოკოლის" პრეზიდიუმის წევრის **ადოლფ ელზენგერის** თაოსნობით. მანვე პირველმა თარგმნა ინგლისურიდან ფეხბურთის თამაშის წესები. დედაქალაქის პირველი ოფიციალური გუნდი კი იყო „კომეტა", რომელიც 1907 წლის 23 თებერვალს დარეგისტრირდა.

■ ■ ■

**პირველმა** საქართველოს მხედრებიდან პარდუბიცეს სტიპლჩეიზში 1991 წელს ხუთეულში ადგილი **ზაზა გონჯილაშვილმა** დაიმკვიდრა.

■ ■ ■

**პირველად** მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **გიორგი კოლუაშვილმა** მოიპოვა 1993 წელს. შემდეგ კიდევ ოთხჯერ (1994, 1997, 1998, 1999) გახდა პლანეტის უძლიერესი ფალავანი. ეს და სხვა წარმატებები ჩვენებურმა 1993 წლიდან რუსეთის სახელით ასპარეზობისას დაიმსახურა.

## ფოტომატიანე



მარცხნიდან: I რიგში - კარლო გაგნიძე, ალიოშა კოტრიკაძე, სერგო კოტრიკაძე, ვოვა რამიშვილი, ბორის სიჭინავა; დგანან - ზაურ კალოევი, რეზო მახარაძე, ავთანდილ პაიჭაძე, გრიგოლ გაგუა, გოგი ანთაძე, იბრაგიმ სარჯველაძე.

## თარიღი

### 3-9 მაისი

**03. 1941 წ.** დაიბადა **ნონა გაფრინდაშვილი** - ჭადრაკი.

**03. 1982 წ.** დაიბადა **ირაკლი ცირეკიძე** - ძიუდო.

**04. 2005 წ.** ფეხბურთში საქართველოს თასის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა „ზესტაფონმა" და თბილისის „ლოკომოტივმა".

**04. 2008 წ.** თბილისის „დინამომ" „ზესტაფონს" მოუგო და მეცამეტედ დაეუფლა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონის ტიტულს.

**05. 1922 წ.** დაიბადა **ვალენტინ ნოსკოვი** - სპორტის აკადემიის ვეტერანი პედაგოგი. დაბადებიდან 90 წ.

**05. 1924 წ.** დაიბადა **იბრაჰიმ სარჯველაძე** - ფეხბურთი.

**05. 1943 წ.** დაიბადა **მურთაზ ხურცილავა** - ფეხბურთი.

**05. 2010 წ.** რუსთავის „ოლიმპმა" ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

**06. 1935 წ.** დაიბადა **გურამ რატიშვილი** - პროფესორი.

**07. 1939 წ.** დაიბადა **ჯემალ ცერცვაძე** - ხელბურთი.



ჯემალ ცერცვაძე

**07. 1970 წ.** დაიბადა **არჩილ ლორთქიფანიძე** - ფარიკაობა.

**08. 1976 წ.** დაიბადა **ვლადიმერ სტეფანია** - კალათბურთი.

**08. 2006 წ.** „დიჟონის" შემადგენლობაში **ვახტანგ ნაცვლიშვილი** საფრანგეთის თასის მფლობელი გახდა.

**09. 1947 წ.** დაიბადა **ოთარ ტატიშვილი** - ბ/რ ჭიდაობა.

**09. 2001 წ.** ქუთაისში, ფეხბურთში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში აზერბაიჯანის ნაკრებს უმასპინძლა და 1:0 გაიმარჯვა.

**09. 1928 წ.** დაიბადა **ბიძინა მაზიაშვილი** - ძიუდო. გარდაიცვალა 2004 წელს.

## ვიქტორინა

1. უიმბლდონის ტურნირის რამდენგზის ფინალისტი იყო ერთეულთა თანრიგში ლეგენდარული ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი?

ა - ორგზის
ბ - სამგზის
გ - შვიდგზის

2. ვინ იყო თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა მწვრთნელი 1964-1966 და 1969-1970 წლებში?

ა - მიხეილ კეკელიძე
ბ - ოთარ ქორქია
გ - ალექსანდრე კილაძე

3. სად და რომელ წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში ლევან თედიაშვილი?

ა - ბუდაპეშტში 1970 წელს
ბ - თეირანში 1973 წელს
გ - მინსკში 1976 წელს

4. რომელ წელს ჩამოართვა მაია ჩიბურდანიძემ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ნონა გაფრინდაშვილს?

ა - 1978 წელს
ბ - 1979 წელს
გ - 1981 წელს

5. რომელ წელს ჩატარდა ადრინდელი სპარტაკიადების ნაცვლად საქართველოში პირველი სპორტული თამაშები?

ა - 1989 წელს
ბ - 1990 წელს
გ - 1991 წელს

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ, 3 - ბ, 4 - ა, 5 - გ

## ძიუდო. ბაქოს მსოფლიოს თასი

# ბაქოში შესუსტებული გუნდით

5-6 მაისს ბაქო ძიუდოისტთა „დიდი პრიზის" ტურნირს უმასპინძლებს, რომელშიც საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდები არასრული შემადგენლობებით იასპარეზებენ. ცხადია, ვაჟთა ნაკრები მეორე გუნდით გამოვა, რადგან ლიდერები ორიოდ დღეში ალჟირში მიფრინავენ ხუთდღიან საერთაშორისო საწვრთნელ კემპში მონაწილეობისთვის. ბაქოში ფედერაციის დაფინანსებით **შალვა ქარდავა, სანდრო იაკობაშვილი** (ორივე - 66), **ამბაკო ავალიანი, ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ლაშა ზურაბიანი** (81) და **ბექა ბერძენიშვილი** (100) გამოვლენ, რომლებსაც საკუთარი ხარჯით წასული რამდენიმე სპორტსმენიც დაემატება. ამ გუნდს **ივერი ჯიქურაული** უთავკაცებს.

სამი სპორტსმენით გამოვლენ ქალებიც **გია თენაძის** ხელმძღვანელობით: **მარიამ ჯანაშვილი** (57), **შორენა შარაძე** (70), **ირინე ლეონიძე** (+78). ჩვენები თბილისიდან დღეს საღამოს გაემგზავრებიან.

**ირაკლი თავაძე**

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

## კარატე

# გოჯუ რიუს ლეგენდარული ოსტატი თბილისს ესტუმრება

საქართველოს გოჯუ რიუ კარატეს ეროვნულმა ფედერაციამ წინ წაიწია. 28-29 აპრილს რომში (იტალია), საქართველოს ოკინავური გოჯუ რიუ კარატეს ფედერაციამ პატარა, მაგრამ მაღალი კლასის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სპორტული დელეგაცია წარადგინა საერთაშორისო სემინარებზე.

„სემინარი ჩაატარა კარატეს ერთ-ერთმა ლეგენდამ, მრავალგზის მსოფლიოს ჩემპიონმა, მეშვიდე დანის მფლობელმა, **ტეცუჯი ნაკამურამ**. რომის სემინარებში ვმონაწილეობდით - მე, ინსტუქტორი მათე კვარაცხელია და ჩემი სამი კარატეკა (მოსწავლე) **გიორგი წულაია, ლევან დოლიძე** და **გიორგი მოდებაძე**. ეს სემინარები ჩვენთვის, საინტერესო და სასარგებლო იყო, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით. სენსეი ნაკამურასთან თუნდაც ერთი საათით სემინარზე წვრთნა ერთი წლის ვარჯიშის ტოლფასია, ის ხომ თავად ოკინავური, ტრადიციული, ყველაზე ძირძველი კარატეს - გოჯუ რიუს ნამდვილი ლეგენდის, გრანდ-ოსტატის, მეათე დანის მფლობელის, სენსეი **მორიო ჰიგაონას** პირადი შეგირდია...




საყურადღებოა, რომ სენსეი ნაკამურა საქართველოს გოჯუ რიუს დონით კმაყოფილია და მოსწონს. ამიტომაც სენსეი გეგმიური სემინარებისთვის თბილისში 21 ივნისს გვესტუმრება სამი დღით. ამავე დროს გამოცდებსაც ჩაიბარებს შავ ქამარზე - პირველი დანიდან და ზევით. მანამდე, 6 მაისს, ვატარებთ საქართველოს ჩემპიონატს კონტაქტურ კარატეში, როგორც ბავშვებში, ასევე უფროსებში", - განაცხადა რომიდან დაბრუნებულმა საქართველოს გოჯუ რიუ კარატეს ეროვნული ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორმა და პრეზიდენტმა, **ლევან როგავამ**.

*ნუგზარ ჭიაბერაშვილი,*
*საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი*

*სურათზე: ტეცუჯი ნაკამურა (მარცხნივ), ლევან როგავა (მარჯვნივ) - ქართველი კარატმენი ასისტენტობას უწევს სენსეი ნაკამურას.*

## ქართული სპორტი

● ჭადრაკი

# საკუთარი კედლების შველის



მადონა ბოკუჩავა

ზუგდიდელი **მადონა ბოკუჩავა** საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნულ ჩემპიონატზე, რომელსაც ანაკლია მასპინძლობს, ერთადერთი ფიდეს ოსტატია (დანარჩენები დიდოსტატები და საერთაშორისო ოსტატები არიან) და, ცოდვა გამხელილი სჯობს, ტურნირის აუტსაიდერადაც მიიჩნევდნენ, თუმცა ზოგიერთის ვარაუდის საწინააღმდეგოდ, მადონა „საკუთარ ტერიტორიაზე" საკმაოდ შედეგიანად თამაშობს: ასპარეზობის სტარტზე მან საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ **მაია ლომინეიშვილს** ნახევარი ქულა დასტყუა. მეორე ტურში **ნინო ბაციაშვილთან** წაგების შემდეგ ზედიზედ დაუზავდა **მერი არაბიძესა** და **სოფიო გვეტაძეს**, გუშინ კი სულაც ჩვენი ქვეყნის ქალთა ნაკრების წევრობის ერთ-ერთი კანდიდატი **ნაზი პაიკიძე** 50-ე სვლაზე დაამარცხა.

ერთპიროვნული ლიდერი მერი არაბიძე შავი ფიგურებით **ინგა ჭარხალაშვილს** დაუზავდა, რითაც ისარგებლა **ბელა ხოტენაშვილმა**, რომელმაც შავებით **სოფიკო ხუხაშვილს** სძლია და ქულებით არაბიძეს გაუთანაბრდა. ასევე, შავი ფიგურებით ნინო ბაციაშვილმა ინგა ჭარხალაშვილს აჯობა, ხოლო **სალომე მელია** - სოფიო გვეტაძე, **სოფიკო გურამიშვილი** - მაია ლომინეიშვილი დაზავდნენ.

ხუთი ტურის შემდეგ: არაბიძე, ხოტენაშვილი - 4-4, ბაციაშვილი - 3,5, გვეტაძე, ბოკუჩავა, პაიკიძე, ხუხაშვილი - 2,5-2,5, მელია, ლომინეიშვილი - 2-2, ხურცილავა, ჭარხალაშვილი, გურამიშვილი - 1,5-1,5 ქულა.

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: პაიკიძე - ხოტენაშვილი, ლომინეიშვილი - ხუხაშვილი, ბაციაშვილი - გურამიშვილი, არაბიძე - ჭარხალაშვილი, გვეტაძე - ხურცილავა, ბოკუჩავა - მელია.

**ვაჟა დანელია**

# მხოლოდ შანავამ იყოჩაღა

ქართველ მოჭადრაკეთაგან გუშინ ნახჭევანის საერთაშორისო ტურნირზე **კონსტანტინე შანავამ** გამოიჩინა თავი - თეთრი ფიგურებით ორხან აბდულოვს (აზერბაიჯანს) სძლია, თუმცა ერთპიროვნულ ლიდერ ვიორელ იორდაჩესკუსგან (მოლდოვა) ისევ ქულა აშორებს, რადგან ამ უკანასკნელმა ალექსეი ალექსანდროვი (ბელარუსი) დაამარცხა და 4,5 ქულა მოაგროვა. შანავას 3,5 ქულა აქვს. **შოთა აზალაძემ** რუს სერგეი ვოლკოვთან, **ზურაბ ჯავახაძემ** კი მასპინძელ ელთაჯ საფარლისთან წააგო. .

მეწინავეთა ჯგუფის პარტიები ასე დამთავრდა: რაუფ მამედოვი (აზერბაიჯანი) - ბორის გრაჩევი (რუსეთი) 0,5:0,5, სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) - ბარის ესენი (თურქეთი) 1:0, სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი) - ვუგარ რასულოვი (აზერბაიჯანი) 1:0, გადირ გუსეინოვი (აზერბაიჯანი) - ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) 0,5:0,5.

ხუთი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილის სათავეშია იორდაჩესკუ, მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ჟიგალკო და ტივიაკოვი. 8 მოჭადრაკეს, მათ შორის - შანავას, 3,5-3,5 ქულა აქვთ, აზალაძეს და ჯავახაძეს - 2,5-2,5 ქულა.

დღეს მე-6 ტურში შანავა ვასიფ დურარბეილის (აზერბაიჯანი) დაუპირისპირდება, აზალაძე და ჯავახაძე, შესაბამისად, მუშვიგ ასგაროვსა (აზერბაიჯანი) და ქანან ჰეიდარლის (აზერბაიჯანი) შეხვდებიან.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# ტატიშვილი მეოთხედფინალშია

**ანა ტატიშვილი** (81) წარმატებით ასპარეზობს ბუდაპეშტის გრან-პრიზე, რომლის საპრიზო ფონდიც 220 ათასი დოლარია. მე-2 წრეში ჩვენებურმა ძალზე იოლად დაამარცხა „უაილდ ქარდით" მიწვეული მასპინძელი **ვანდა ლუკაში** - 6:1, 6:2. მოგებისთვის საქართველოს პირველ ჩოგანს 53 წუთი ეყო. მან 10-დან 5-ჯერ შეძლო ბრეიქ პოინტის გამოყენება, როცა მისმა მეტოქემ ეს ორიდან ერთ შემთხვევაში მოახერხა. ტატიშვილი მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე კანადელი **ალექსანდრა ვოზნიაკია**. გუშინ ვოზნიაკმა რუმინელ **ალექსანდრა კადანტუს** მოუგო - 6:7 (2), 6:0, 6:0. ქართველმა ჩოგბურთელმა 70 სარეიტინგო ქულა უკვე დაიბევა და თუკი დღეს ვოზნიაკსაც მოუგებს, 130 ქულას მიითვლის.

წყვილთა თანრიგში ანა უკვე ნახევარფინალშია, მან.და **კატალინ მაროშიმ** (უნგრეთი) **ლიგა დეკმეიერეს** (ლატვია) და **მარია კონდრატიევას** (რუსეთი) მოუგეს - 4:6, 6:0, 10:3.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი

## კალათბურთი

● კალათბურთი. საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# გათანაბრდა

**2 აპრილი, თბილისი**

**სოხუმი-დინამო 70:67**

13:17, 25:13, 18:21, 14:16

**სოხუმი:** გოლეთიანი (3ქ), როგავა (7ქ, 7პ, 5მ), გაფრინდაშვილი (2ქ, 6მ), ძიძიგური, ზედელაშვილი (12ქ, 4დ), ჯინჭარაძე (21ქ), დვალიშვილი (8ქ, 13მ, 3პ), მესხი (5ქ, 5მ), ანანიაშვილი (3ქ), ბულიავა (9ქ).

**დინამო:** გაბისონია (4ქ, 11მ, 4პ), ლომიძე, სანაძე (31ქ, 7მ, 7პ, 6ჩ), ალხანაიძე (9ქ, 10მ, 2დ), მეხრიშვილი (15ქ, 11მ, 3ჩ), ორმოცაძე (2ქ), დოლიძე, ჩოჩია (6ქ).

**სერიაში ანგარიშია 1:1**

20-წლამდელთა ჩემპიონატის მეორე ფინალურმა მატჩმა დაგვანახვა, რომ ერთმანეთის წინაშე თანაბარი ძალის გუნდები წარსდგნენ. „სოხუმმა" პირველი შეხვედრის წაგების გამო რევანში აილო, 70:67 გაიმარჯვა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

სოხუმელთა ბომბარდირობა **კახა ჯინჭარაძემ** იკისრა, რომელმაც 21 ქულა ჩააგდო. საქართველოს ნაკრების დინამოელმა ფორვარდმა **დუდა სანაძემ** კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საკუთარ შესაძლებლობებში - 31 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი და 6 ჩაჭრა მოაგროვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● დაჯილდოება



# ჯილდოები სნაიპერებს

გუშინ, სპორტული რადიო „ჯაკოს" ინიციატივით გაიმართა ქართული ჩემპიონატების ბომბარდირთა დაჯილდოება. ღონისძიება **მერაბ ბერძენიშვილის** სახელობის ცენტრ „მუზაში" გაიმართა და მას **ჯამლეტ ხუხაშვილი** უძღვებოდა.

შეხვედრის დასაწყისში სპეციალური პრიზები გადაეცათ 1962 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელებს. საზოგადოების წინაში საინტერესო ამბები გაიხსენეს **ილარიონ ხაზარაძემ** და **ამირან სხიერელმა**.

მედალი და ჯილდო ერგო საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატის სნაიპერ კაკტუსელ **ხვიჩა ხოსიტაშვილს**. იგი საშუალოდ 18.3 ქულასა და 15.3 მოხსნას აგროვებს.

18-წლამდელთა ჩემპიონატის ბომბარდირი „ჰიუნდაის" კალათბურთელი **სანდრო ბოლქვაძეა**. მისი მონაგარიც მეტად ეფექტურია: 24.1 ქულა და 11.3 მოხსნა. სანდროსაც საინტერესო საჩუქრები ერგო, ისევე, როგორც 20-წლამდელთა ჩემპიონატის ბომბარდირ **ლევან რევაზაშვილს** („მაქაბი"). იგი საშუალოდ მატჩში 34 ქულასა და 10.6 მოხსნას ითვლის.

ახალგაზრდული ჩემპიონატის სნაიპერთა შემდეგ დააჯილდოვეს სუპერლიგის ბომბარდირი **ლარი ბლერი** (შსს აკადემია), რომელსაც ნოუთბუქთან ერთად ქართული ღვინო ერგო. ბლერის სტატისტიკა ასეთია: 25.9 ქულა, 6.7 პასი.

ღონისძიების ბოლოს ჯამლეტ ხუხაშვილმა სცენაზე უხმო ხუთ ძმა რევაზაშვილს. გინესის რეკორდსმენმა **ჯუმბერ ლეჟავამ** სიახლე მოგვახსენა: ხუთი კალათბურთელი ძმა მსოფლიოში უპრეცედენტო შემთხვევაა. ამიტომ, გინესის რეკორდების წიგნისთვის ლონდონში განაცხადს გავაგზავნით და იმედი გვაქვს, რომ ხუთი ძმა რევაზაშვილი რეკორდების წიგნში შევა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ლეგენდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დერიუგინის ავიაციის დღე

დღეს გთავაზობთ მეორე ნაწილს წიგნიდან „ცენტრები", რომელშიც სსრ კავშირის ლეგენდარული მწვრთნელი **ალექსანდრე გომელსკი ნიკოლოზ დერიუგინზე** ლაპარაკობს.

„კოლია საბჭოთა გუნდში შედარებით ადრე რომ მიმეწვია, მეტს მიაღწევდა და უფრო გაიბრწყინებდა. რადგან 1979 წლის ევროპის ჩემპიონატი ტრიუმფალურად მოვიგეთ, გადავწყვიტე, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაზეც ვეტერანებს დავყრდნობოდი - **სერგეი ბელოვს, ედეშკოს, მილოსერდოვს, სალნიკოვს, ჟიგილს**. გვეგონა, რომ ოლიმპიადაც იოლი გასეირნება გამოდგებოდა, რადგან აშშ არ ჩამოვიდა. თუმცა, ეს იყო თავდაჯერება, რაც არ უნდა დაგვეშვა. მხოლოდ ფინალზე ვფიქრობდით. ასეთმა სიმშვიდემ და ვეტერანებზე დაყრდნობამ ნახევარფინალში მარცხი განაპირობა. არადა ვგრძნობდი, რომ არაერთი ახალგაზრდა კალათბურთელი სჯობდა ვეტერანებს, მაგრამ პოტენციური კანდიდატებიდან მხოლოდ დერიუგინი ავიყვანე, ისიც ბოლო მომენტში (**ფესენკოს** ნაცვლად). გუნდის ფორმირებისადმი ასეთი მიდგომა შეცდომა აღმოჩნდა.

კოლიასთვის კი აკლიმატიზაცია იოლი არ იყო. მან ვერ მოასწრო ვეტერანებთან საერთო ენის გამონახვა (ბევრი ხვდებოდა, რომ მისთვის ბოლო ტურნირი იქნებოდა და ახალბედებს ეჭვიანად უყურებდა). ამის მიუხედავად, დერიუგინმა ოლიმპიადა დამაჯერებლად ჩაატარა, განსაკუთრებით ეფექტური ბრაზილიასთან მატჩში იყო. თამაშისას დებიუტანტს გამოცდილი კალათბურთელებიც მხარში ამოუდგნენ, პასებით „კვებავდნენ" და ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ქართველის ბომბარდირული თვისებები...

კოლია მხოლოდ ჩამგდები როდი იყო, მოედნის შესანიშნავი ხედვა ჰქონდა, ბურთს დაუფიქრებლად არ გადააგდებდა, აუცილებლად დაუკვირდებოდა მეტოქის მოქმედებას და გადაწყვეტილებას მას მერე მიიღებდა (ეს წამის მეასედში ხდებოდა). დერიუგინი ერთ-ერთი იშვიათთაგანი იყო, რომლებიც ბურთს ძალიან უფრთხილდებიან, ყოველთვის კარგად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, არ აჩქარდებოდა. მასში იდეალურად იყო შერწყმული ქართველთათვის დამახასიათებელი ემოციურობა, ტემპერამენტი, გონებამახვილობა და სიფრთხილე, ცივსისხლიანობა. ამის ხარჯზე 206 სმ სიმაღლის კოლია სუპერგიგანტების **საბონისის, ბელოსტენნისა** და **ტკაჩენკოს** წინააღმდეგ 30 და მეტ ქულას აგროვებდა.

■ ■ ■

დერიუგინისთვის „ვარსკვლავის საათი" მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატი იყო. მეტსაც ვიტყვი: კოლია რომ არა, არ ვიცი, მოვიგებდით თუ არა შეჯიბრებას. ამერიკელების წინააღმდეგ გამართული გადამწყვეტი მატჩი ნამდვილად „ფინალური" გამოდგა. თამაში მაღალტექნიკური იყო, როგორიც ექსტრა-კლასის გუნდებს ახასიათებთ. მატჩის შედეგზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, ამიტომ ორივე გუნდი შებოჭილი ჩანდა, ბევრ შეცდომასაც უშვებდა და უამრავი არაზუსტი ტყორცნაც დაფიქსირდა. ცხადი იყო, გაიმარჯვებდა ის, ვინც ცივსისხლიანობას, სიმტკიცეს და თავისი პრინციპებისადმი ერთგულებას შეინარჩუნებდა. ...და მთავარი: ვინც მეტოქეს ტაქტიკური სვლით გააოცებდა. მხოლოდ კარდინალურ ჩარევას შეეძლო მატჩის ბედის გადაწყვეტა. მეორე ტაიმის დასაწყისში 6 ქულის სხვაობით ჩამოვრჩით. ინიციატივა მთლიანად ამერიკელთა ხელში იყო. ასეთ კრიტიკულ მომენტში საჭირო გახდა გადამწყვეტი მოქმედება. მოედანზე იყო ტკაჩენკო, რომელსაც მჭიდროდ მეურვეობდა 10 სანტიმეტრით დაბალი, თუმცა სხარტი მეტოქე. სწორედ ამ დროს კოლიას მივუბრუნდი: მიდი, გახურდი, მალე შეხვალ-მეთქი. ვერ ვიტყვი, რომ იგი ჩემს სიტყვებს სიხარულით შეხვდა. ასეთ ატმოსფეროში მეტად გამოცდილი და მდგრადი კალათბურთელიც დაიბნეოდა. დერიუგინი, რაც შეეძლო მეტად წელავდა გახურებას, მაგრამ მოედანზე შესვლის დრო დადგა, შევახსენე, მისგან რას მოვითხოვდი და...

კოლია მოედანზე შევიდა, რათა სამუდამოდ დაეტოვებინა საკუთარი სახელი საკალათბურთო ისტორიაში. ვიცოდი, რომ სწორედ მას შეეძლო გარდატეხის შეტანა. დერიუგინს სხვა ცენტრებზე უკეთ ეხერხებოდა „ავიაციის დღის" (როგორც კალათბურთელები ხუმრობენ) მოწყობა: სროლის იმიტაცია, რომლის დროსაც მეტოქეები სივრცის გადასაკეტად ხტებიან, თავად კი თავისუფალ ადგილს პოულობდა და იოლად აგდებდა. რეაქტიული ამერიკელების წინააღმდეგ, რომლებიც წამიერად რეაგირებენ ყოველ მოძრაობაზე, დერიუგინის ეს თვისება უნდა გამოგვდგომოდა. გამოგვადგა კიდეც. ძალიან დაგვეხმარა კოლიას მეორე თვისებაც - არბიტრისთვის მძიმე (გაურკვეველ) სიტუაციაში ეფექტურად წაქცევა. მოკლედ, იმ მომენტში დერიუგინისგან ერთს ვითხოვდი: თავისი თამაშის ჩვენებას.

მართალია, ძალიან ნერვიულობდა, მაგრამ მოედანზე ყველაფერი გამოუვიდა. ზედიზედ ორჯერ მნიშვნელოვანი ქულები მოგვიტანა, შემდეგ ზემოთ აიწია, მეურვეები მოატყუა და მესამედ ჩააგდო. ამას მოჰყვა ორი ჯარიმის გამომუშავება (ორივეს რეალიზება მოახერხა). ასე რომ, მაშინ, როცა ამერიკელები საბჭოელებისგან წინააღმდეგობას აღარ მოელოდნენ, ანგარიში გათანაბრდა. ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩვენს მხარეს გადმოვიდა. კოლიამ დანარჩენებს თავდაჯერება შემატა და..."

ის მატჩი სსრკ-მ 95:94 მოიგო.

დასასრული

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. NBA


გრეგ პოპოვიჩი

# პოპოვიჩი პირველი ლაურეატია

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ სეზონის ლაურეატთა გამოვლენა დაიწყო.

"სან ანტონიოს სპურსის" დამრიგებელი **გრეგ პოპოვიჩი** 2011-12 წლების სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. წელს, რეგულარული ჩემპიონატის 66 მატჩში "სპურსმა" 50 მოიგო და დასავლეთის საუკეთესო გუნდი გახდა. სეზონის არც ისე წარმატებული სტარტის შემდეგ (პირველ 21 მატჩში "სპურსმა" ცხრა წააგო), ტექსასელები დარჩენილ 45 მატჩში მხოლოდ შვიდჯერ დამარცხდნენ.

პოპოვიჩისთვის ეს მეორე ჯილდოა კარიერაში. პირველად ასეთი რამ 2003 წელს მოხდა, როცა მან "სან ანტონიო" ჩემპიონობამდე მიიყვანა.

63 წლის სპეციალისტმა გამოკითხვის შედეგად 77 ხმა მიიღო, რაც 50-ით მეტია პრიზის შარშანდელი მფლობელის - **ტომ ტიბოდოს** ("ჩიკაგო") მონაგარზე. მესამეზე გავიდა "ინდიანას" დამრიგებელი **ფრენკ ფოგელი** (7 ხმა), მეოთხეზე - "მემფისის" თავკაცი **ლიონელ ჰოლინზი** (6). თითო ხმა მიიღეს **დოკ რივერსმა** ("ბოსტონი") და **ჯორჯ კარლმა** ("დენვერი").

■ ■ ■

ასევე გამოვლინდა სეზონის საუკეთესო დამცველისთვის განკუთვნილი პრიზის მფლობელი. ეს გახლავთ "ნიუ იორკ ნიქსის" ცენტრი **ტაისონ ჩენდლერი**, რომელმაც შარშან "დალასთან" ერთად ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ამ სეზონში ჩენდლერი საშუალოდ მატჩში 11.3 ქულას, 9.9 მოხსნასა და 1.4 დაფარებას აგროვებდა.

კრივი

# 5 მაისს დიდი კრივია


მეივეზერი MGM-ში

5 მაისს, ლას ვეგასში დიდი საკრივო შოუა დაგეგმილი. ერთ საღამოს გაიმართება ორი საინტერესო ორთაბრძოლა. პირველ საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონი, მექსიკელი **საულ ალვარესი** სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, ამერიკელ **შეინ მოზლის** შეხვდება.

შემდეგ კი რინგზე გავლენ პროფესიულ კრივში დაუმარცხებელი ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერი** და პუერტორიკოელი **მიგელ კოტო**. ამ ბრძოლაში თამაშდება პირველ საშუალო წონაში WBA-ის ტიტული, რომელიც მეივეზერს ეკუთვნის.

ბრძოლის მონაწილეები გუშინ ლას ვეგასში ჩავიდნენ და "MGM გრანდ-არენას" ეწვივნენ, სადაც აღნიშნული ორთაბრძოლები გაიმართება.

ბუკმეიკერები უპირატესობას მეივეზერს ანიჭებენ. გამარჯვებაში ეჭვი არც ამერიკელ მოკრივეს ეპარება.

*"ადრე მეუბნებოდნენ, რომ შეინ მოზლი სხვა მოკრივე გახდა მას შემდეგ, რაც მარგარიტოზე გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ მე დავამარცხე მოზლი და შემდეგ დაწერეს, რომ ის დაბერდა. ამიტომაც არ მჯერა, რომ კოტო შეიცვალა მენი პაკიაოსთან ბრძოლის შემდეგ.*

*თუმცა კოტო ფიზიკურად ძალიან ძლიერი და აგრესიული მოკრივეა და არ ვაპირებ მის იგნორირებას"*, - განაცხადა MGM-ში მეივეზერმა.

ამბები

ფორმულა 1

## იყიდება ფერარი

პოპულარულ ინტერნეტაუქციონ – eBay-ზე საინტერესო ლოტი განათავსეს. ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს "ფერარის" ბოლიდი, რომლითაც მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონატზე ფრანგი **ჟან ალეზი** გამოდიოდა. სულ "სკუდერიამ" ხუთი ასეთი ბოლიდი გამოუშვა.

მანქანა აღჭურვილია ნახევრად ავტომატური გადაცემათა კოლოფით და 720 ცხენის ძალის 12-ცილინდრიანი ძრავით. ბოლიდთან ერთად შესაძლებელია პილოტის "აღჭურვილობისა" და სათადარიგო საბურავების შეძენა. ბოლიდის საწყისი ფასი 975 მილიონ დოლარს შეადგენს.

ჩოგბურთი

## დავა ლიდერობისთვის

ჩოგბურთის ბურთების მწარმოებელმა კომპანია Penn-მა სასამართლოში უჩივლა კონკურენტ კომპანია Dunlop-ს.

Penn-ის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ Dunlop თავის რეკლამაში ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას: კერძოდ, ის საკუთარ თავს "მსოფლიოში საჩოგბურთო ბურთების ნომერ პირველ მწარმოებელს" უწოდებს და აცხადებს, რომ მსოფლიო ბაზარზე რეალიზებული ბურთების 70 პროცენტი სწორედ ამ კომპანიაზე მოდის.

Penn-ის ინფორმაციით, მისი კონკურენტი არ არის ლიდერი ამ სფეროში და ამიტომაც არ შეიძლება ამ სლოგანის გამოყენება. სარჩელში წერია, რომ Dunlop დაეთანხმა კონკურენტის მოსაზრებას, მაგრამ მაინც გააგრძელა საკამათო ფორმულირების გამოყენება.

პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# ეპიდემია გრძელდება

სერიის მეორე მატჩის წინ ურთულეს მდგომარეობაში იყო "ბოსტონი". **რეი ალენის** ტრავმას **რაჟონ რონდოს** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაემატა და "ატლანტას" სერიის 2:0 წაყვანის რეალური შანსი გაუჩნდა. საბოლოოდ, "სელტიქსმა" მოიგო, საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა და შესანიშნავი განწყობით დაბრუნდა შინ, სადაც მას რონდო შეუერთდება და ასეთ პირობებში, უკვე "ჰოქსი" ჩანს განწირული.

მით უმეტეს, რომ "ატლანტა" თავისი ლიდერის, შესანიშნავ ფორმაში მყოფი **ჯოშ სმიტის** გარეშე დარჩა. მან მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე 4.40 წუთით ადრე მიიღო მარცხენა მუხლის ტრავმა. დაზიანება ფარქვეშ ბრძოლისას **კევინ გარნეტთან** შეჯახებამ გამოიწვია. სმიტმა მოედანი დატოვა და თამაში აღარ განუახლებია. ამასობაში, მისმა თანაგუნდელებმა ჩააგდეს მატჩის ბოლო ნაწილი, რადგან **პოლ პირსის** გასანეიტრალებლად ვერანაირი ხერხი ვერ იპოვეს.

პირსმა შეხვედრა იმით დაიწყო, რომ თავისი გუნდის პირველი რვა ქულა ჩააგდო, რის შემდეგაც ჩრდილში მოექცა. თუმცა, როგორც კი გადამწყვეტი მომენტი დადგა, კაპიტანმა ითამაშა ისე, როგორც გუნდის მრავალწლიან ლიდერს შეშვენის. ბოლო 15 წუთში პირსმა ფაქტობრივად მარტომ მოუგო "ატლანტას" – 18:15. გარდა ამისა, პოლი ორივე გუნდში საუკეთესო იყო მოხსნების რაოდენობითაც.

| ატლანტა–ბოსტონი | 80:87 |
|---|---|

**24:24, 20:17, 22:20, 14:26**

**ა:** ჯ. ჯონსონი (22+5 პასი+3 ჩაჭრა), ტიგი (18+5 მოხსნა), სმიტი (16+12 მოხსნა+5 პასი+2 დაფარება), ჰაინრიხი (8), ე. ჯონსონი (6+5 მოხსნა), უილიამსი (3+6 მოხსნა), მაკგრეიდი (3), გრინი (2), კოლინზი (2).

**ბ:** პირსი (36+14 მოხსნა+4 პასი), გარნეტი (15+12 მოხსნა+5 პასი), ბრედლი (14+3 დაფარება+3 პასი+3 ჩაჭრა), ბასი (8+6 მოხსნა), დულინგი (6), დენიელსი (4), პავლოვიჩი (4).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (34,9/42,6), სამქულიანები (27,3/21,4), საჯარიმოები (80/83,9).

**სერია:** 1-1

■ ■ ■

როგორც ჩანს, **დერიკ როუზის** დაკარგვამ "ჩიკაგოზე" იმდენად დამთრგუნველად იმოქმედა, რომ "ხარებმა" მეორე მატჩისთვის ფსიქოლოგიური ძალების მოკრება ვერ მოასწრეს.

როუზი მატჩის წინ მოედნის ცენტრში გავიდა და თავისი წილი ოვაციები დაიმსახურა, მაგრამ მატჩის შემდეგ არავინ იყო ისეთი, ვისაც მაყურებელი ტაშს დაუკრავდა. მხოლოდ **ნოას** გამოყოფა თუ შეიძლება, რომელმაც თამაშიდან ნასროლი 11 ბურთიდან 10 მოათავსა კალათში. 22 ქულით, 8 მოხსნითა და 5 შედეგიანი პასით ფრანგი მცველი ერთადერთი იყო "ჩიკაგოს" შემადგენლობაში, ვინც კრიტიკას არ იმსახურებდა. დანარჩენებს კი უბრალოდ "ეძინათ". **რიჩარდ ჰემილტონმა, ლუოლ დენგმა და კარლოს ბუზერმა** ერთად 32 ტყორცნიდან მხოლოდ 11 ჩააგდეს, რაც სრული კრახი გახლდათ.

გუნდს არ გამოადგა **სი ჯეი უოტსონიც**, რომელმაც სასტარტოში შეცვალა როუზი. 11-დან 4 ზუსტი ტყორცნა და სამი შედეგიანი პასი – ეს არ არის დერიკის სრულფასოვანი შემცვლელის სტატისტიკა.

სამაგიეროდ, სტუმრებმა შეტევაში იდეალურად ითამაშეს: თამაშიდან ტყორცნების 59-პროცენტიანი სიზუსტე, სამქულიანების გამოყენების 41.7 პროცენტი და 15-დან 12 ზუსტი საჯარიმო. გარდა ამისა, "ფილადელფიამ" ფარქვეშ ბრძოლაც მოიგო, ნაკლები შეცდომა დაუშვა და ჩაჭრებიც და დაფარებებიც მეტი ჰქონდა.

მესამე მეოთხედში ჩიკაგოელებმა მძიმე დარტყმა მიიღეს – 14:36. ამ შოკიდან გამოსვლა **ტომ ტიბოდოს** შეგირდებმა ვერ შეძლეს. ერთადერთი, რაც საგანგაშო გაუხდა "ფილადელფიას", არის **ანდრე იგუოდალას** ტრავმა – გუნდის ლიდერმა აქილევსის მყესი დაიზიანა. ჯერჯერობით კლუბს თავისი ლიდერის ტრავმის სიმძიმის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია, მაგრამ თუ იგუოდალას ერთი ან ორი მატჩის გამოტოვებამ მოუწია, ეს დაახლოებით ისეთივე დანაკარგი იქნება, როგორიც "ბულზში" როუზის არყოფნა გახლავთ. 2012 წლის პლეი ოფში ტრავმების ეპიდემია გრძელდება.

| ჩიკაგო–ფილადელფია | 92:109 |
|---|---|

**28:25, 27:22, 14:36, 23:26**

**ჩ:** ნოა (21+8 მოხსნა+5 პასი), ლუკასი (15+4 პასი), უოტსონი (12+3 პასი), ჰემილტონი (10+5 პასი), ბუზერი (9+5 მოხსნა), დენგი (8+5 მოხსნა+3 პასი+2 დაფარება), გიბსონი (8+5 მოხსნა), კორვერი (7+2 დაფარება), ბრიუერი (2).

**ფ:** ჰოლიდეი (26+6 პასი), უილიამსი (20+6 პასი), ტერნერი (19+7 მოხსნა+6 პასი), ბრენდი (12+5 მოხსნა+3 დაფარება), ალენი (11+9 მოხსნა+2 დაფარება), იგუოდალა (11+5 მოხსნა+3 პასიმ), იანგი (8+6 მოხსნა), ჰოსი (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (45,2/59), სამქულიანები (42.9/41,7), საჯარიმოები (55.6/80).

**სერია:** 1-1

ამ ყველაფრის მიუხედავად, მესამე მეოთხედისთვის მასპინძლებს 19 ქულას ასწრებდნენ და მაშინ ყველას ეგონა, რომ **ჯორჯ კარლის** გუნდი შეურიგდა გარდაუვალ მარცხს. მაგრამ ასე არ იყო - სირენამდე სამი წუთით ადრე სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა. ისე გამოვიდა, რომ "დენვერმა" მასპინძლების 14:0 სპურტს 18:4 გაქცევით უპასუხა.

მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. ბრაიანტი და **რამონ სეშენსი** ბოლოსკენ უშეცდომოდ ისროდნენ საჯარიმოებს და მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს.

ახლა სერია დენვერში გადაინაცვლებს და იქ გამოჩნდება, რამდენად ეყოფა ძალა ბრაიანტის, გასოლისა და


იგუოდალას ტრავმა

■ ■ ■

სერიის მეორე მატჩი "ლეიკერსმა" თითქმის ისევე ჩაატარა, როგორც პირველი. **ენდრიუ ბინუმი** ისევ ბატონობდა ორივე ფარქვეშ, **პაუ გასოლი** კარგად უბამდა მას მხარს და მეტად სასარგებლოდ და მრავალფეროვნად მოქმედებდა, სათადარიგო **ჯორდან ჰილმა** კი ზედიზედ მეორე მატჩში დააგროვა 10 მოხსნა, რაც მეტად საჭირო სტატისტიკაა იმის გათვალისწინებით, რომ საერთო ჯამში, "დენვერმა" მოიგო ფარქვეშ ბრძოლა – 52:48.

მაგრამ საუკეთესო მოედანზე **კობი ბრაიანტი** იყო. მან 29-ჯერ ისროლა ფარში და 15 ბურთი ჩააგდო. ასე რომ, "შავმა მამბამ" პირველ მატჩთან შედარებით გააუმჯობესა სროლის პროცენტი.

თუმცა "დენვერიც" უნდა შევაქოთ – მეორე მატჩი მათ გაცილებით ძლიერად ჩაატარეს. მოგებულ ფარზე უკვე გითხარით, ამას უნდა დავუმატოთ დებიუტანტ **კენეტ ფარიდის** შესანიშნავი მოქმედება, გამთამაშებელმა **ტაი ლოუსონმა** კი ისე ითამაშა, როგორც ამას მისი გუნდის გულშემატკივრები ისურვებდნენ.

ბინუმის ტრიოს. გუშინდელ მატჩში "ლეიკერსის" დამრიგებელმა **მაიკ ბრაუნმა** მხოლოდ რვა კალათბურთელი გამოიყენა და სამმა რეზერვისტმა მხოლოდ რვა ქულა დააგროვა, იმ დროს, როცა "ნაგეტსის" სათადარიგოთა სკამის მონაგარი 35 ქულა იყო.

| ლეიკერსი–დენვერი | 104:100 |
|---|---|

**32:25, 23:23, 26:26, 23:26**

**ლ:** ბრაიანტი (38+3 ჩაჭრა), ბინუმი (27+9 მოხსნა+2 დაფარება), სეშენსი (14+4 პასი), პ. გასოლი (13+10 მოხსნა+5 პასი+2 დაფარება+2 ჩაჭრა), ჰილი (6+10 მოხსნა), იბენქსი (4+8 მოხსნა), ბარნსი (2+4 პასი).

**დ:** ლოუსონი (25+7 პასი), ფარიდი (14+10 მოხსნა), ბრიუერი (13+3 ჩაჭრა), გალინარი (13+8 მოხსნა), აფლალო (11+6 მოხსნა), ჰარინგტონი (11+6 მოხსნა), მოზგოვი (6), მაკგი (5+9 მოხსნა+6 დაფარება), კუფოსი (2+5 მოხსნა), მილერი (0+8 პასი+3 ჩაჭრა).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (44,8/44), სამქულიანები (13.3/21,1), საჯარიმოები (76.2/72.7).

**სერია:** 2-0

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1


ნიკო როსბერგი

# როსბერგი: სამუდამოდ მერსედესში?

გერმანელი პილოტი ნიკო როსბერგი არ გამორიცხავს, რომ ფორმულა 1-ში მთელ კარიერას "მერსედესის" რიგებში გაატარებს.

*"კარიერის ბოლომდე "მერსედესში" გამოსვლა? რატომაც არა?! – ამბობს როსბერგი "ბილდთან" კომენტარში. – ამ გუნდთან ერთად ჩემპიონობის კარგი შანსი მაქვს და მე მადლობელი ვარ იმ პროგრესისთვის, რომელსაც ერთად მივაღწიეთ.*

*ჩემი მთავარი მიზანი ტიტულის მოგებაა. "მერსედესის" ბოლიდით მომავალ გამარჯვებებზე ფიქრი ჩემთვის უფრო მომხიბვლელია, ვიდრე "ფერარის" საჭესთან სავარაუდო ტრიუმფი. რაც შეეხება ჩემს მომავალ თანაგუნდელს, ამ საკითხში ჭირვეული არ ვარ: არ მაქვს განსაკუთრებული მოთხოვნები. ის შეიძლება იყოს ნებისმიერი პილოტი. პრობლემას ვერ ვხედავ, თუ სებასტიან ფეტელი გადმოვა ჩვენთან ან ვინმე სხვა".*

მაგრამ როსბერგმა იქვე დაამატა, რომ მზად არის **მიხაელ შუმახერთან** თანამშრომლობის გასაგრძელებლად: *"კარგი იქნება თუ შუმი გუნდში დარჩება. დღეს მიხაელი ძალიან მაღალ დონეზე გამოდის და სავსებით ვუშვებ იმ აზრს, რომ ის გააგრძელებს "მერსედესთან" კონტრაქტს".*

როსბერგის სიტყვების კომენტირებისას, "მერსედესის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ნორბერტ ჰაუგმა** განაცხადა: *"ჯერ ადრეა ამ საკითხის განხილვა. ვფიქრობ, მიხაელი არ აპირებს სხვა გუნდში გადასვლას".*


ბატონი ბუდაპეშტში

# ბატონს უნგრეთი უყვარს

ამ დღეებში ფორმულა 1-ის გუნდები სამდღიან ტესტებს ატარებენ იტალიის ქალაქ მუჯელოში, თუმცა აპენინებზე არ ჩასულა "მაკლარენის" პილოტი **ჯენსონ ბატონი**. ის ბრიტანული საჯინიბოს სპონსორის – "ვოდაფონის" სარეკლამო აქციის ეგიდით უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტს ეწვია და იქ "მაკლარენის" ბოლიდით საჩვენებელი გამოსვლა მოაწყო.

ამისთვის ქალაქის ქუჩებში მოაწყვეს სპეციალური ტრასა, რომლის სიგრძე კილომეტრი და 600 მეტრი იყო. ის უნგრეთის პარლამენტის შენობის წინ გადიოდა.

სპორტული შედეგების მხრივ, უნგრეთი ბატონისთვის ფეხბედნიერი ქვეყანაა. თავისი 13 მოგებული გრანპრიდან, პირველი 2006 წელს სწორედ "ჰუნგარორინგზე" დაისაკუთრა, შარშან კი თავის საიუბილეო მე-200 რბოლაში ბრიტანელმა პილოტმა მეორედ მოიგო უნგრული რბოლა.

წლევანდელი სეზონი ბატონისთვის არც ისე წარმატებულად მიმდინარეობს. ავსტრალიის გრანპრის მოგების შემდეგ, ბრიტანელმა ორჯერ ვერ შეძლო ქულათა ზონაში შესვლა.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი 13 მაისს ესპანეთში გაიმართება, უნგრეთის გრანპრი კი წელს 29 ივლისს არის დანიშნული.

# ჩელსი და ზაუბერი დაძმობილდნენ

ინგლისურმა საფეხბურთო კლუბმა "ჩელსიმ" და შვეიცარიულმა საჯინიბო "ზაუბერმა" სასპონსორო კონტრაქტი გააფორმეს. ეს გარიგება ფორმულა 1-ის გუნდსა და საფეხბურთო კლუბს შორის თანამშრომლობის პირველი მაგალითია, - წერია "ზაუბერის" ოფიციალურ ვებგვერდზე.

ხელშეკრულების თანახმად, გუნდები ერთმანეთის სუვენირებს გაუწევენ რეალიზაციას და სპორტულ გამოცდილებას გაუზიარებენ ერთმანეთს. გარდა ამისა, "ჩელსის" ლოგო განთავსებული იქნება "ზაუბერის" ბოლიდებზე. როგორც "ჩელსიში" აღნიშნავენ, "ზაუბერთან" თანამშრომლობა ლონდონურ გრანდს საკუთარი თავის რეკლამის საშუალებას მისცემს ფორმულა 1-ის აუდიტორიის წინაშე, რომელიც გაცილებით მაღალია, ვიდრე ინგლისის პრემიერლიგის ტელეაუდიტორია. საფეხბურთო კლუბს განსაკუთრებით აინტერესებს აზიისა და ლათინური ამერიკის ბაზარი, სადაც ფორმულა 1 სულ უფრო პოპულარული ხდება. თავის მხრივ, "ზაუბერის" ლოგო გამოსახული იქნება "ჩელსის" სტადიონის – "სტემფორდ ბრიჯის" ბილბორდებზე.

"ზაუბერის" აღმასრულებელმა დირექტორმა **მონიშა კალტენბორნმა** განაცხადა, რომ პერიოდულად გუნდებს ექმნებათ სპორტული და კომერციული პრობლემები და ასეთი თანამშრომლობა საშუალებას მისცემს მათ, გაძლიერდნენ ორივე სფეროში.

სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# საუკეთესო მატჩში ტრამპმა წააგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნუკერში მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლო ორი დღის განმავლობაში დასრულდა მერვედფინალური ეტაპი და უკვე ერთი ნახევარფინალისტიც გამოვლინდა.


რონი ო'სალივანი

თანამიმდევრობით მივყვეთ მოვლენათა განვითარებას. უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ მერვედფინალური ეტაპის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩში **სტივენ ჰენდრიმ** უბრალოდ გაანადგურა ჯერაც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ჯონ ჰიგინსი** - 13:4. მეორე ცენტრალურ მატჩში კი **რონი ო'სალივანი** და **მარკ უილიამსი** ხვდებოდნენ ერთმანეთს. რონი აგებდა 2:3-ს, მაგრამ ზედიზედ ცხრა ფრეიმი აიღო. ორი სესიის შემდეგ რონი 11:5-ს იგებდა და მეორე დღეს საქმე ბოლომდე მიიყვანა – 13:6.

ბრძოლის მოყვარულებმა ყურადღება მიაქციეს **მეტიუ სტივენსისა** და **ბარი ჰოუკინსის** შეხვედრას. მთელი მატჩის განმავლობაში მეტიუ მდევრის როლში იყო. თავიდან 0:3-ს აგებდა, შემდეგ 3:6-ს. თუმცა 16 ფრეიმის შემდეგ ანგარიში საყაიმო იყო, ბოლოს კი უფრო გამოცდილმა და დაოსტატებულმა სტივენსმა წარმატებას მიაღწია – 13:11.

დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ **ჯეიმი ჯონსისა** და **ენდრიუ ჰიგინსონის** მერვედფინალში და ეს მოლოდინი გამართლდა. მატჩის დასაწყისში ორივე ნერვიულობდა და შესაბამისად, დაბალი ხარისხის თამაშს აჩვენებდა, მაგრამ მეორე სესიის ბოლოსთვის სნუკერისტები ემხში შევიდნენ. განსაკუთრებით კარგი იყო ჯონსი, რომელიც მრავალფეროვან და საინტერესო სნუკერს აჩვენებდა. შემდეგად ის 10:6 გავიდა წინ და თითქოს უელსელს იოლად უნდა მიეყვანა საქმე გამარჯვებამდე. მაგრამ ჰიგინსონმა დაალაგა თამაში და ანგარიში გაათანაბრა. ფსიქოლოგიური უპირატესობა უკვე გამოცდილი ენდრიუს მხარეს იყო, მაგრამ ჯონსმა თავისი თამაში გააგრძელა და საბოლოოდ, 13:10 გაიმარჯვა.

ყველაზე დრამატული გამოდგა **ალი კარტერისა** და **ჯად ტრამპის** მატჩი. პირველი სესია კარტერმა მოიგო – 5:3, მაგრამ მეორეში შეტევის ხასიათზე ტრამპი იყო, რომელმაც რვიდან ექვსი ფრეიმი აიღო – 9:7. მესამე სესიაშიც ის უკეთ გამოიყურებოდა და 12:8 წაიყვანა ანგარიში, ანუ მოგებამდე ერთი ფრეიმის აღება აკლდა.

კარტერს დანებება არც უცდია და ზედიზედ სამი ფრეიმი აიღო. ორივენი შესამჩნევად ნერვიულობდნენ და გადამწყვეტ ფრეიმში დაცვითი ტა[illegible]კა აირჩიეს – დიდი ხანი ვერც ერთი ბედავდა შეტევას. როცა მოთამაშეები მაინც გადავიდნენ აქტიურ მოქმედებაზე, ტრამპმა ორი საკმაოდ უხეში შეცდომა დაუშვა, რაც ნერვებს უნდა დაბრალდეს. უშეცდომო არც კარტერი ყოფილა, მაგრამ ის გაუმკლავდა დაძაბულობას და მატჩბოლი ჩააგდო. ეს იყო, ჯერჯერობით ჩემპიონატის ყველაზე დრამატული და საინტერესო შეხვედრა.

| 1/8 ფინალი | |
|---|---|
| ჯონსი-ჰიგინსონი | 13:10 |
| კარტერი (13)-ტრამპი (4) | 13:12 |
| უილიამსი (3)-ო'სალივანი (14) | 6:13 |
| სტივენსი (15)-ჰოუკინსი | 13:11 |

# მაესტრო აღარ ითამაშებს

**სტივენ ჰენდრი**

**დაიბადა** 1969 წლის 13 იანვარს, ედინბურგში (შოტლანდია)
**მეტსახელები:** "მაესტრო", "ოქროს ბიჭი"
**პროფესიული კარიერის დასაწყისი:** 1985
**მაქსიმალური ბრეიკი:** 11-ჯერ
**ასიანი ბრეიკი:** 775-ჯერ
**ტიტულები:** 74 (მათ შორის შვიდჯერ მსოფლიოს ჩემპიონი და 29 სარეიტინგო ტურნირის გამარჯვებული)

მეოთხედფინალური წყვილებიდან ორი დუელი გამორჩეული იყო: შოტლანდიური დერბი **სტივენ მაგუაირსა** და მის სეხნია **ჰენდრის** შორის, აგრეთვე მატჩი **რონი ო'სალივანსა** და **ნილ რობერტსონს** შორის, რომელიც ბევრმა წინასწარ ფინალად მონათლა. შანსი იმისა, რომ ჩემპიონი ამ წყვილში გაირკვევა, მართლაც მაღალია და ის 25 პროცენტზე მეტს უდრის.

მაგრამ მანამდე ჰენდრის ფიასკოსა და მის მეტად ნაღვლიან გადაწყვეტილებაზე უნდა ვთქვათ. შოტლანდიელმა პირველ ორ რაუნდში გაანადგურა თავისი მოწინააღმდეგეები, მეოთხედფინალში კი საპირისპირო სურათი ვიხილეთ. მაგუაირი, რომელიც ჰენდრიზე 12 წლით უმცროსია, აღიარებს, რომ ჰენდრი მისთვის ყოველთვის კერპი იყო და თავის სეხნიაზე დაკვირვებით სწავლობდა სნუკერს. მართლაც, მისი თამაშის სტილი ჰგავს ჰენდრის სტილს – მკაცრი, კლასიკური სნუკერი ყოველგვარი რისკიანი გადაწყვეტილებების გარეშე.

მაგუაირმა უკეთ დაიწყო შეხვედრა, მაგრამ მის მეტოქეს 0:2-ზე მატჩში შესვლის კარგი შანსი გაუჩნდა - სამწუხაროდ, ჰენდრი ბოლოს ვარდისფერ ბურთზე შეცდა.

შესაძლოა, ეს ფრეიმი გახდა გადამწყვეტი, რადგან ჰენდრის ასეთი შანსი დიდი ხანი აღარ მიეცა. მაგუაირი მშვიდად ატარებდა სერიებს, მისი მეტოქე კი ყოველ მეხუთე ბურთზე შეცდომას უშვებდა. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მხოლოდ 0:6-ზე მოიგო პირველი ფრეიმი, მაგრამ მისი სარკასტული ღიმილით ჩანდა, რომ სტივენს არანაირი შანსი არ გააჩნდა. მისმა მოწინააღმდეგემ შესანიშნავი მატჩი ჩაატარა და თითქმის წინააღმდეგობის გარეშე მოიგო ორ სესიაში – 13:2. ასეთი განადგურების მიუხედავად, ჰენდრი მხოლოდ შექებას იმსახურებს იმისთვის, რომ 43 წლის ასაკში პირველ ორ შეხვედრაში შესანიშნავი სნუკერი აჩვენა და კარიერაში მე-11 მაქსიმალური ბრეიკი გააკეთა. ბევრი ისე აღფრთოვანდა ჰენდრის თამაშით, რომ დაიწყეს მის მერვედ გაჩემპიონების შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ეს არ მოხდა და არც არასოდეს მოხდება.

*"მე ოფიციალურად ვასრულებ ჩემს პროფესიულ კარიერას. ეს ჯერ კიდევ სამი თვის წინ გადავწყვიტე, მაგრამ ამის შესახებ თითქმის არავისთვის მითქვამს. დღეს ბრძოლისთვის მზად არ ვიყავი, თუმცა მაინც მოხარული ვარ იმის გამო, რომ ორი ფრეიმი მოვიგე და კარიერა 0:13-ით არ დავასრულე.*

*რატომ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება? ჯერ ერთი, ტურნირების განრიგი არ მაწყობს, გარდა ამისა, ველარ ვთამაშობ ძველ დონეზე და თან სიამოვნებას ველარ ვიღებ ვარჯიშებისგან. ასე რომ, ეს საკმაოდ მარტივად მისაღები გადაწყვეტილება იყო"*, - ახსნა ჰენდრიმ.


სტივენ ჰენდრი

რა თქმა უნდა, სნუკერის სამყაროში ეს ამბავი შოკისმომგვრელი გახლდათ, რადგან წასვლის შესახებ გამოაცხადა ყველა დროის საუკეთესო სნუკერისტმა. ბოლო წლებში სტივენის შედეგები მართლაც ძალიან გაუარესდა, ის აღარ შედის 16 საუკეთესოს შორის, მაგრამ ამ კონკრეტულმა ტურნირმა გვიჩვენა, რომ ისევ შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში. მით უმეტეს, რთულია მისი გადაწყვეტილების აღქმა.

| 1/4 ფინალი | |
|---|---|
| ჰენდრი-მაგუაირი (8) | 2:13 |
| ჯონსი-კარტერი (13) | 3:5* |
| ო'სალივანი (14)-რობერტსონი (6) | 3:5* |
| დეი-სტივენსი (15) | 5:11* |

* - მატჩები გრძელდება

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/4 ფინალი

# ეშმაკებმა გაათანაბრეს

გუშინ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ერთადერთი მატჩი გაიმართა. სტენლის თასის მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩი გამართეს "ფილადელფიამ" და "ნიუ ჯერსიმ". პირველი შეხვედრა "მფრინავებს" მოგებული ჰქონდათ და წინ იყვნენ სერიაში 1:0.

გუშინდელი მატჩიც მათთვის ძალიან კარგად დაიწყო. უკვე მესამე წუთზე **სიმონდსისა** და **შენის** გათამაშებული კომბინაცია **მეტ რიდმა** ზუსტი დარტყმით დაასრულა – 1:0.

მასპინძლები ამ მინიმალურ უპირატესობას კარგა ხანს ინარჩუნებდნენ. მთელი ორი პერიოდის განმავლობაში "ნიუ ჯერსი" ვერაფერს უხერხებდა "ფილადელფიას" მეკარე **ილია ბრიზგალოვს**, რომელიც 31 სეივით ამ მატჩის პირველი ვარსკვლავი გახდა. საერთოდ, "დევილზმა" გაცილებით აქტიურად ითამაშა შეტევაში და მეტოქეზე 15-ით მეტი (35-20) დარტყმა შეასრულა.


ლარსონი ჟირუს წინააღმდეგ

გატანილი გოლის შემდეგ "ფილადელფიას" მიერ არჩეული დაცვითი ტაქტიკა მესამე პერიოდის მეოთხე წუთამდე ამართლებდა, მაგრამ ერთ ეპიზოდში მასპინძელთა მცველებმა და ბრიზგალოვმა ვერაფერი მოუხერხეს **ადამ ლარსონის** ახლოდან დარტყმულს და ანგარიში გათანაბრდა.

"ფლაიერზმა" ტაქტიკის გადაწყობა ველარ მოახერხა, ბრიზგალოვსაც აღარ გამოსდიოდა სასწაულები და შედეგად, დაახლოებით ორი წუთის ინტერვალში **კლარკსონმა** და **ზეიჯაკმა** ორჯერ აიღეს მასპინძელთა კარი - 3:1.

"ფილადელფიამ" თამაშის გადასარჩენად ძალიან ადრე შეცვალა მეკარე წინა ხაზის მეექვსე მოთამაშით და ამით მეოთხე გოლი მიიღო საკუთარ კარში – სირენამდე სამი წუთით ადრე ცარიელ კარში **ბრიუს სალვადორმა** გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 4:1.

სერიაში ანგარიში გათანაბრდა და ახლა გუნდები შემდეგ ორ მატჩს "დევილზის" არენაზე ჩაატარებენ.

| ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1:4 |
|---|---|

1:0, 0:0, 0:4

**გოლები:** 1:0 რიდი-3 (შენი-5, სიმონდსი-4), 1:1 ლარსონი-1 (ზუბრუსი-2, პაროლდი-4), 1:2 კლარკსონი-1 (პარიზე-4), 1:3 ზეიჯაკი-5 (ჯონტა-2, ზუბრუსი-3), 1:4 სალვადორი-1 (ჰენრიკი-2).

**სერია:** 1-1

# ლოთობა ნეშვილში


ალექსანდრ რადულოვი

სკანდალია სტენლის თასის მეოთხედფინალისტის – "ნეშვილ პრედატორზის" რიგებში. ამ გუნდის სამწვრთნელო შტაბმა "ფინიქსთან" სერიის მესამე მატჩში თამაში აუკრძალა რუს და ბელარუს ლეგიონერებს - **ალექსანდრ რადულოვსა** და **ანდრეი კოსტიცინს**. როგორც "ნეშვილის" მთავარმა მწვრთნელმა **ბარი ტროტცმა** განაცხადა, დასჯის მიზეზი შიდაგუნდური განაწესის დარღვევა იყო.

"ნეშვილში" არ დაუზუსტებიათ, რა იგულისხმება წესების დარღვევაში. ამერიკული პრესის ვარაუდით, რადულოვმა და კოსტიცინმა დაარღვიეს კომენდანტის საათი, რომელიც გუნდს პლეი ოფის მატჩების დროს აქვს დაწესებული.

თავად რუსმა ჰოკეისტმა განაცხადა, რომ გაგებით მოეკიდა გუნდის მიერ დაწესებულ სანქციას. რადულოვის თქმით, მწვრთნელმა გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა და დაამატა, რომ თუ ყინულზე გასვლის შანსს მიიღებს, ყველაფერს გააკეთებს გუნდის გამარჯვებისთვის.

ბარი ტროტცმა კი აღნიშნა, რომ ჯერ არ იცის, საერთოდ დააბრუნებს თუ არა შემადგენლობაში რადულოვსა და კოსტიცინს.

როგორც ვთქვით, მომხდარის შესახებ ოფიციალური ვერსია არ არსებობს, მაგრამ ლეგენდარული ამერიკელი ჰოკეისტის **მაიკ მოდანოს** მიერ "ტვიტერზე" დატოვებული კომენტარის გაცნობით ნაწილობრივ შეგვიძლია გავერკვეთ სიტუაციაში. "დალასის" ყოფილმა ვარსკვლავმა ასეთი ვერსია გაავრცელა.

*"რადულოვსა და კოსტიცინს წინ მთელი ზაფხული ექნებათ ლოთობისთვისა და სალამოების მოსაწყობად. ვფიქრობ, მათი თანაგუნდელები უკვე დაინტრიგებულნი არიან"*, - დაწერა თავის "ტვიტერზე" მოდანომ.

შეგახსენებთ, რომ "ფინიქსისა" და "ნეშვილის" სერიაში წინ არის "კოიოტზი" – 2:0.

# მინიმალური ევროპა

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მოთამაშე ევროპელი ჰოკეისტების რიცხვი შემცირდა. ბოლო 10 სეზონის განმავლობაში, წელს ლეგიონერთა უმცირესი რაოდენობა დაფიქსირდა – ლიგის მოთამაშეთა საერთო რიცხვის 22.5 პროცენტი.

გასულ სეზონში ყინულზე ჯამში 983 მოთამაშე გავიდა და აქედან 221-ს ჰქონდა ევროპული პასპორტი. უფრო დაბალი მაჩვენებელი 1988-89 წლების სეზონში იყო, როცა NHL-ის მატჩებში 196-მა (საერთო რიცხვის 21.7 პროცენტი) ევროპელმა ჰოკეისტმა მიიღო მონაწილეობა.

ამ სეზონში ლიგაში ყველაზე დიდი წარმომადგენლობა კანადელებს ჰყავდათ – 535 მოთამაშე (53.5 პროცენტი), შემდეგ მოდის ამერიკის შეერთებული შტატები – 236 (24).

ლეგიონერთა რიცხვის შემცირების ძირითად მიზეზად ევროპიდან ახალბედა ჰოკეისტების შემცირებულ ნაკადს ასახელებენ. მაგალითად, ამ სეზონში ლიგაში დებიუტი ჰქონდა 124 მოთამაშეს და აქედან მხოლოდ 21 იყო ევროპელი, - წერს ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის ვებგვერდი.

ევროპელთაგან NHL-ში ყველაზე მეტი ჰოკეისტი შვედეთს ჰყავს – 68. მეორე ადგილზეა ჩეხეთი 43 მოთამაშით, მესამეზე კი რუსეთი, რომლის წარმომადგენლობა 31 ჰოკეისტს უდრის. რუსეთზე ერთით ნაკლები ლეგიონერი ჰყავს ფინეთს.


დეტროიტის სამი ევროპელი: ჰუდლერი, ზეტერბერგი და ფილპულა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## TV პროგრამა

### 3 მაისი. ხუთშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXXV ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXVI ტურის მიმოხილვა.
**12:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVI ტური. ბილბაო-რეალი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XXXVI ტური. პარმა-ინტერი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. ტვენტე-ჰერენვეენი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
**19;00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ჩელსი-ნიუკასლი.
**21:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXV ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. აიაქსი-ვენლო.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVI ტურის მიმოხილვა.
**01:00** იტალიის ჩემპიონატი. XXXVI ტური. იუვენტუსი-ლეჩე.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-სენტ ეტიენი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. სან ანტონიო-იუტა. II მატჩი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სოსიედადი.
**16:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
**19:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ოლსტერი-ედინბურგი.
**21:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა . 1/2 ფინალი. მიმოხილვა.
**21:30** სუპერკოლაჟი.
**21:45** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. სან ანტონიო-იუტა. II მატჩი.
**05:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. დალასი-ოკლაჰომა. III მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
**13:15** სპორტ-NEWS.
**13:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
**16:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/2 ფინალი. კლერმონი-ლესტერი.
**18:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. შარლოტი-ნიუ იორკი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 12 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 15 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 15 | 22 | (მზე) |
| ზუგდიდი | 15 | 27 | (მზე) |
| გორი | 11 | 23 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 12 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 2 | 18 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | 3 | 13 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 7 | 21 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1643 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6328 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6460 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5608 |

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ინგლისი | |
|---|---|
| ჩელსი-ნიუკასლი | 0:2 |
| ბოლტონი-ტოტენჰემი | 1:4 |

| კონფერენსი | |
|---|---|
| იორკი-მენსფილდი | 1:0 |

| იტალია | |
|---|---|
| მილანი-ატალანტა | 2:0 |
| კატანია-ბოლონია | 0:1 |
| ჩეხენა-უდინეზე | 0:1 |
| ფიორენტინა-ნოვარა | 2:2 |
| ჯენოა-კალიარი | 2:1 |
| იუვენტუსი-ლეჩე | 1:1 |
| ლაციო-სიენა | 1:1 |
| პარმა-ინტერი | 3:1 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ატლეტიკო-სოსიედადი | 1:1 |
| ბარსელონა-მალაგა | 4:1 |
| მალიორკა-ვალეკანო | 1:0 |
| სევილია-ბეტისი | 1:2 |
| სარაგოსა-ლევანტე | 1:0 |
| ბილბაო-რეალი | 0:3 |
| ვალენსია-ოსასუნა | 4:0 |

| გერმანია. რეგიონალლიგა (სამ) | |
|---|---|
| ფიურტი A-ინგოლშტადტი A | 1:0 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| აიაჩო-სოშო | 2:1 |
| ბორდო-რენი | 2:0 |
| ბრესტი-ტულუზი | 0:0 |
| კაენი-ლორიანი | 1:0 |
| დიჟონი-ოსერი | 2:1 |
| ლიონი-ვალანსი | 4:1 |
| მარსელი-ნანსი | 1:0 |
| ნიცა-ლილი | 0:1 |
| პსჟ-სტ. ეტიენი | 2:0 |

| ჰოლანდია | |
|---|---|
| აიაქსი-ვენლო | 2:0 |
| გრააფსხაპ-ექსელსიორი | 2:2 |
| გრონინგენი-ბრედა | 1:1 |
| ტვენტე-ჰერენვეენი | 3:4 |
| უტრეხტი-ვიტესი | 2:2 |
| ფეიენოორდი-ჰერაკლესი | 4:1 |
| ნიიმეგენი-ალკმაარი | 1:1 |
| ეინდჰოვენი-დენ ჰააგი | 5:0 |
| ვაალვიკი-როდა | 5:2 |

| ბელგია | |
|---|---|
| ანდერლეხტი-გენტი | 1:0 |
| კორტრიიკი-გენკი | 3:4 |

| შოტლანდია | |
|---|---|
| აბერდინი-ჰიბერნიანი | 1:2 |
| ინვერნესი-დანფერმლაინი | 0:0 |
| კილმარნოკი-სტ. მირენი | 0:2 |
| რეინჯერსი-დანდი იუნ | 5:0 |

| დანია | |
|---|---|
| აგფ ორჰუსი-ლუნგბიუ | 2:1 |
| ნორდსილანდი-კოპენჰაგენი | 1:0 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-ჰეკენი | 0:3 |
| გიოტებორგი-სუნდსვალი | 2:0 |
| სირიანსკა-ელფსბორგი | 1:4 |
| ჰელსინგბორგი-აიკ | 0:0 |

| ფინეთი | |
|---|---|
| იარო-ინტერი | 0:1 |
| კუოპიო-ჰიკ | 0:3 |

| ავსტრიის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| რიდი-ავსტრია | 2:0 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ბაზელი-თუნი | 2:1 |
| გრასჰოპერსი-სერვეტი | 0:3 |
| ლოზანა-სიონი | 1:0 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-ატრომიტოსი | 1:1 |
| პაოკ-აეკ | 1:0 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| პლატანიასი-ლარისა | 0:0 |
| ირაკლისი (პ)-ფოკიკოსი | 3:0 |
| პანახაიკი-ანაგენისი (ი) | 2:0 |
| პანსერაიკოსი-აგროტიკოსი | 3:0 |
| ვერია-კალითეა | 3:0 |
| ვიცასი-ტრასივულოსი | 0:0 |
| პიერიკოსი-პანთრაკიკოსი | 0:1 |

| თურქეთი | |
|---|---|
| გალათასარაი-ტრაბზონი | 0:0 |
| შივასი-ბუიუქსეჰირი | 1:2 |

| კვიპროსის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები | |
|---|---|
| ეთნიკოსი-ომონია | 1:0 (0:3) |
| აელ-აეკ | 0:0 (1:0) |

| ჩეხეთის თასი. ფინალი | |
|---|---|
| სპარტა-სიგმა | 0:1 |

| რუსეთი. საჩემპიონო ზონა | |
|---|---|
| რუბინი-ზენიტი | 2:2 |
| სპარტაკი-დინამო | 1:1 |
| ყუბანი-ანჟი | 2:2 |
| ლოკომოტივი-ცსკა | 0:3 |

| გასავარდნი ზონა | |
|---|---|
| ნალჩიკი-როსტოვი | 2:2 |
| ამკარი-კრასნოდარი | 2:2 |
| ვოლგა-ტერეკი | 1:3 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| სკა ენერგია-ბალტიკა | 0:0 |
| ენისეი-გაზოვიკი | 1:1 |
| [illegible] | 3:1 |
| [illegible]-ჩერნომორეცი | 0:0 |
| [illegible] | 1:0 |

| [illegible] | |
|---|---|
| არსენალი-ვოლინი | 3:0 |
| მეტალურგი-დნიპრო | 0:3 |
| ტავრია-ვორსკლა | 0:2 |
| ოლექსანდრია-ჩერნომორეცი | 1:3 |
| კარპატი-კრივბასი | 2:0 |
| მეტალისტი-შახტარი | 1:2 |
| ობოლონი-ილიჩივეცი | 0:0 |
| ზორია-დინამო | 0:0 |

| ხორვატიის თასი. ფინალი. I მატჩი | |
|---|---|
| ოსიეკი-დინამო | 0:0 |

| რუმინეთი | |
|---|---|
| ტარგუ-ვასლუი | 2:3 |
| ასტრა-რაპიდი | 0:1 |
| დინამო-უნივერსიტატეა | 2:2 |

| ლატვია | |
|---|---|
| დაუგავა-გულბენე | 3:0 |
| იურმალა-ვენტსპილსი | 1:2 |
| დაუგავა რიგა-მეტალურგსი | 1:3 |
| იეგლავა-სპარტაკსი | 1:3 |
| მეტა-სკონტო | 1:2 |

| ლიტვა | |
|---|---|
| ტაურასი-კრუოია | 0:4 |
| ეკრანასი-სუდუვა | 2:0 |

| ბოსნია | |
|---|---|
| ჟვიეზდა-სლობოდა | 1:0 |
| ოლიმპიკი-ველეჟი | 0:0 |
| რუდარი-კოჟარა | 3:0 |
| შიროკი ბრიეგი-ლეოტარი | 5:1 |
| ტრავნიკი-სარაევო | 1:2 |
| ზორაცი-სელიკი | 2:0 |
| ჟელეზნიჩარი-გაბელა | 5:0 |
| ჟრინსკი-სლავია | 3:1 |

| ისრაელის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| ჰაპოელი (თ-ა)-ირონი | 0:0 დ.დ. 3:0 |
| მაკაბი (ჰ)-აშდოდი | 2:1 |

| ჩემპიონთა ლიგა. აზია | |
|---|---|
| ესტეგალი-ალ რაიიანი | 3:0 |
| ალ ჯაზირა-ნასაფი | 4:1 |
| ფახთაქორი-ალ ითიჰადი | 1:2 |
| ალ არაბი-ბანი | 0:4 |
| ადელაიდა-ბუნიოდკორი | 0:0 |
| პოჰანგი-გამბა | 2:0 |
| ტოკიო-ბრისბენი | 4:2 |
| ბეიჯინგი-ულსანი | 2:3 |

### კალათბურთი

| ესპანეთი | |
|---|---|
| ობრადოირო-ვალენსია | 76:62 |
| ფუენლაბრადა-კახა ლაბორალი | 87:92 |
| ხუვენტუდი-ალიკანტე | 74:63 |
| მურსია-მანრესა | 78:60 |

| იტალია | |
|---|---|
| აველინო-ვარეზე | 78:77 |
| ბენეტონი-მილანი | 76:84 |
| ბიელა-კაზერტა | 88:84 |
| კანტუ-მონტეგრანარო | 81:63 |
| სასარი-ვენეცია | 81:74 |
| მონტეპასკი-ბოლონია | 69:78 |
| სკავოლინი-რომა | 82:75 |
| ტერამო-მონფერატო | 85:77 |

| თურქეთი | |
|---|---|
| ბეშიქთაში-ანტალია | 99:100 |

### ჩოგბურთი

| ATP. ბელგრადი | |
|---|---|
| დოდიგი-სეპი | 4:6, 2:6 |
| ლაიოვიჩი-სოუზა | 2:6, 0:6 |
| მიულერი-შვანკი | 6:3, 7:6 |
| ნალბანდიანი-ბედენე | 6:4, 6:3 |

| ATP. ესტორილი | |
|---|---|
| ჰაასე-სერვანტესი | 5:7, 6:4, 6:2 |
| ვავრინკა-ნავარო | 7:6, 6:1 |
| ჩიპოლა-მუნიოსი | 4:6, 4:6 |
| გასკე-ლორენცი | 6:1, 6:1 |

| ATP. მიუნხენი | |
|---|---|
| ჩილიჩი-ბახინგერი | 6:3, 6:2 |
| ბალდატისი-ბრაუნი | 1:6, 6:4, 6:4 |
| ცონგა-ჰაასი | 1:6, 4:6 |
| იუჟნი-ხირალდო | 6:7, 6:4, 6:4 |

| WTA. ბუდაპეშტი | |
|---|---|
| ტატიშვილი-ლუკაში | 6:1, 6:2 |
| ერაკოვიჩი-ამანმურადოვა | 6:0 უარი |
| კადანტუ-ვოზნიაკი | 7:6, 0:6, 0:6 |
| ცურენკო-ბრიანტი | 7:5, 5:7, 4:6 |
| მარტიჩი-ჰსიე | 6:4, 6:1 |
| ვესნინა-პერვაკი | 6:2, 6:3 |
| ბ. ზახვალოვა-ზაკოპალოვა | 6:3, 6:3 |
| ერანი-ჩინკი | 6:4, 1:6, 6:1 |

| WTA. ესტორილი | |
|---|---|
| ვინჩი-კოლერი | 6:2, 6:0 |
| სოლერი-მედინა გარიგესი | 3:6, 6:3, 7:5 |
| ჟენგი-ვოსკობოევა | 4:6, 1:6 |
| გაიდოშოვა-პეტროვა | 6:7, 0:6 |
| კინგი-კანეპი | 3:6, 4:6 |
| ჩეტკოვსკა-უოტსონი | 6:3, 6:1 |
| კნაპი-კირილენკო | 1:6, 6:1, 7:5 |
| ჰერცოგი-სუარეს ნავარო | 4:6, 0:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ ფოტოს შესახებ ტექსტში წაიკითხავთ



-66 კგ. მუსა მოგუშკოვი-შალვა ქარდავა 1:0



-81 კგ. არსენ პშმახოვი-ავთანდილ ჩირიკაშვილი 1:2

## TimeLine

Username: ვაჟა
Password: სიმონიშვილი



საქართველოს ნაკრები გუნდური ოქროს მოსაგებად მზადაა



-73 კგ. ბატრაზ კაიმაზოვი-ნუგზარ ტატალაშვილი 1:1



-90 კგ. კირილ ვოპროსოვი-ვალერი ლიპარტელიანი 1:3

# ფანტასტიკა... ყველაფერი დასრულებულია... რუსებისთვის

**განვლილი შვიდი დღის მთავარი ქართული მოვლენა ძიუდოისტთა მიერ რუსების მათსავე დარბაზში ძლევა იყო. ვალერი ლიპარტელიანმა 90 კგ-მდე წონით კატეგორიის ფინალში სულემინი დაამარცხა, ხოლო გუნდურ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებმა ფინალში 3:1 აჯობა რუსებს. აქაც გადამწყვეტი ორთაბრძოლა ლიპარტელიანმა მოიგო, ვოპროსოვი კისერზე ატრიალა. სწორედ ამიტომ, დღევანდელ ნომერში ვალერის კარიკატურას და მის შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებებს შემოგთავაზებთ. რუბრიკის მეორე ნაწილს კი ფოტოებს დავუთმობ. გასულ შვიდდღეულში ყველაზე მეტი ფოტომონტაჟი „რეალის“ მცველის სერხიო რამოსის დარტყმულ პენალტს (ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, „ბაიერნის“ კარში) მოჰყვა. მეც ყველაზე საინტერესო სურათები შევარჩიე და შეგვიძლია ერთად ვიხალისოთ. პატარაობაში ფეხბურთს ვთამაშობდი. რომელიმე თანაგუნდელს (მე მარჯვენა დაბალ კითხეში დარტყმა მიყვარდა...) ბურთი სერხიო რამოსივით რომ გაეფრინა, მწვრთნელი კომენტარს უძღვნიდა: ყვავები ჩამოყარაო.**

სამწუხაროდ, ვერ მივაგენი ვალერი ლიპარტელიანის ჭიდაობის ამსახველი ფინალური ვიდეოჩანაწერის რუსულ კომენტარს. თუმცა, ინგლისელი კომენტატორებიც საინტერესოდ ლაპარაკობდნენ:

„...ქართველი ლიპარტელიანი რუსი ვოპროსოვის წინააღმდეგ. მასპინძელი სერიოზული ამოცანის წინაშე დგას, აუცილებლად უნდა მოიგოს. მისი მარცხი რუსებისთვის ყველაფრის დასრულების ნიშანია. ამ ორთაბრძოლის წინ საქართველოს ნაკრები 2:1-ს იგებს.

...და აი, საოცარი გდება. 10:0 - ქართველმა მნიშვნელოვანი ქულები მოიპოვა. ეს შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ვოპროსოვისა და რუსეთის ნაკრების მდგომარეობა დამძიმდა.

...როგორც ჩანს, რუსეთში ძიუდოს დიდად აფასებენ, დარბაზი სავსეა და გულშემატკივარიც აქტიურად ქომაგობს თავისიანს. თუმცა ქართველის კიდევ ერთი ილეთი და... ფანტასტიკა! რუსებისთვის ყველაფერი დამთავრდა. შეხედეთ, ძიუდოისტებს ერთმანეთისთვის ხელი ჯერ არ ჩამოურთმევიათ, რომ დარბაზი ცარიელდება. ხალხი გაწბილებულია, გასასვლელებისკენ მიიჩქარის.“

■ ■ ■

თბილისის აეროპორტის გამოსასვლელთან ძიუდოისტებს უამრავი ადამიანი შეხვდა. ჩემპიონებს ყველა ულოცავდა. ვალერი ლიპარტელიანს მამამ სვანური ქუდი დაახურა. ეს ეპიზოდი არასოდეს ამოვა ჩემი მეხსიერებიდან. თურმე, მამას შვილისთვის სვანური ქუდი წინა ევროპის ჩემპიონატისთვის მოუმზადებია, მაგრამ რადგან ვალერი ჩემპიონი ვერ გახდა (ფინალი დათმო), ქუდმა კარადაში „დაიდო ბინა“ და ლიპარტელიანის რუსეთში გაჩემპიონებას დაელოდა.

ცხადია, ვერც კარიკატურა დაიხატებოდა სვანური ქუდის გარეშე: თუ კარგად დააკვირდებით, გლობუსზე ევროპაა დაფარული - გასულ უქმეებზე ხომ ვალერი ლიპარტელიანმა სვანური ქული ევროპას დაახურა.

■ ■ ■

როგორ მოიგო მან ევროპირველობა და რა კომენტარი გააკეთა საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ამ საკითხებზე ჩვენს გაზეთში უკვე წაიკითხავდით, აქ კი ერთ კითხვას დავსვამ, რომელიც ვალერის მიერ სულემინის ძლევისას გამიჩნდა:

- ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ თითით ტრიბუნაზე მიანიშნე. ალბათ, იყო არენაზე ნაცნობი, ვისაც გამარჯვება მიუძღვენი, - ვკითხე ვალერი ლიპარტელიანს.

- ჩელიაბინსკში ჩამოვიდა ადამიანი, რომელიც ჩემი მეუღლე უნდა გახდეს - გიული ჭკუასელი. სწორედ მისი დარბაზში ყოფნა იყო მთავარი სტიმული წარმატებული გამოსვლისთვის.



ავტორის მეგობრული შარჟი






რამოსის ერთადერთი გზა პენალტის გატანისთვის



 აი, სად დაეშვა სერხიოს მიერ დარტყმული ბურთი






აი, თურმე რატომ ააცილა: ვილაცამ „ბარსელონას“ დროშა აუფრიალა



რეალის ერთმა ქომაგმა „ფეისბუქზე“ ეს ფოტო მოძებნა და გაბრაზებულმა მიაწერა: სერხიო, შენ ამ გოგოს რა ღირსი ხარ!

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია